

# **სამოქალაქო**

## **პროცესი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე**

2021, №11

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Civil Cases  
(in Georgian)**

2021, №11

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Zivilsachen  
(in der georgischen Sprache)**

2021, №11

**Решения Верховного Суда Грузии  
по гражданским делам  
(на грузинском языке)**

2021, №11

**გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
კეთევან გენერალი**

**ტექნიკური რედაქტორი  
გარივა გაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:**

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით**

## საპირელო

<b>1. მესამე პირები</b>	
საპროცესო უფლებამონაცვლეობა	..... 4
<b>2. სასარჩელო წარმოება</b>	
აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა	..... 8; 23
<b>3. სარჩელის უზრუნველყოფა</b>	
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება	..... 32; 53
სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორით	..... 61
სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება	..... 63
სასამართლო გადაწყვეტილებით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება	..... 77
<b>4. დაუსწრებელი გადაწყვეტილება</b>	..... 84
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები	..... 84; 91; 102
<b>5. სასამართლო გადაწყვეტილება</b>	
გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადება	..... 108
<b>6. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება</b>	
გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა	..... 118
<b>7. საქმის წარმოების შეწყვეტა გადაწყვეტილების გამოტანის     გარეშე</b>	
მორიგება	..... 128
<b>8. საქმის წარმოების შეჩერება</b>	
სასამართლოს მოვალეობა შეაჩეროს საქმის წარმოება	..... 151
<b>9. საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება</b>	
გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაპრუნება ხელახლა განსახილველად	..... 160
მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები	..... 174

## 1. მესამე პირები

### საპროცესო უფლებამონაცვლება

განხილვა  
საქართველოს სახელით

№ას-543-543-2018

19 ოქტომბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიეროშვილი,  
პ. ქათამაძე

საკასაციო პალატაში ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადება მოვალის უფლებამონაცვლის დადგენის, ასევე, მის წინააღმდეგ სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე და

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ გ-ის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკამაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტის შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კასატორ ა(ა)იპ გ-ის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს (ს/კ №...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 130 ლარის გადახდა.

2019 წლის 15 აპრილს ხსენებულ გადაწყვეტილებაზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ და მოითხოვა სააღსრულებო ფურცელში მოვალის უფლებამონაცვლის დადგენა, ასევე, შესწორებული სააღსრულებო ფურცლის გადაცემა. განცხადების თანახმად, ა(ა)იპ გ-ის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის 2019 წლის 14 ივნისის წერილით ირკვევა, რომ გ-ის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 28 ივნისის №2105 ბრძანებით 2018 წლის 28 ივნისს დასრულდა რამდენიმე ა(ა)იპ-ის რეორგანიზაცია შერწყმით/გაერთიანებით. რეორ-

განიზაცია შეეხო ა(ა)იპ გ-ის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს და საბოლოოდ დაფუძნდა ახალი იურიდიული პირი – ა(ა)იპ გ-ის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (ს/კ №4...).

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა განცხადების საფუძვლი-ანობა, შეაფასა მასზე დართული მტკიცებულებები და მიმწერები, რომ სისპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სადაც ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, უფლებამონაცვლეობის დადგენის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს იურიდიული პირის რეორგანიზაცია, ამასთანავე, ნორმის თანახმად, უფლებამონაცვლეობა დაიშვება პროცესის ყველა სტადიაზე, მათ შორის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევებში, მართალია, სასამართლო განხილვა დასრულებულია და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, თუმცა, ვინაიდან პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე, აღსრულება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისათვის სასამართლო პროცესში მოიაზრება, ხსენებული ნორმის გამოყენება დასაშვებია მათ შორის გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე.

საკასაციო სასამართლო განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გ-ის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის №2105 ბრძანებისა და ა(ა)იპ გ-ის მინიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის წერილის შესწავლის შედეგად იზიარებს განმცხადებლის პოზიციას ა(ა)იპ გ-ის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის რეორგანიზაციის თაობაზე, რომლის უფლებამონაცვლესაც სხვა იურიდიულ პირებთან შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული ა(ა)იპ გ-ის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი წარმოადგენს.

მართალია, ხსენებული დოკუმენტიდან ნათლად დგინდება უფლებამონაცვლეობა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, აღმასრულებელს

შეეძლო სასამართლოსათვის მომართვის გარეშე გადაეჭრა უფლებამონაცვლების საკითხი, თუმცა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს რეორგანიზაციის განხორციელების თარიღზე – უფლებამონაცვლე იურიდიული პირი ჩამოყალიბდა სწორედ 2018 წლის 28 ივნისს და ამ აქტის რეგისტრაციის მომენტიდან მიენიჭა რეორგანიზაციას სამართლებრივი მნიშვნელობა. საკასაციო სამართლნარმოება დასრულდა 2019 წლის 22 თებერვალს და ამ დროისათვის რეორგანიზაციის დასრულების მიუხედავად, უფლებამოსილ პირს სასამართლოსათვის არ მოუწოდებია უფლებამონაცვლების დამადასტურებელი მტკიცებულებები. სწორედ ამან განაპირობა როგორც გადაწყვეტილებაში, ისე – მის საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში წინამორბედი იურიდიული პირის მითითება.

ამდენად, ვინაიდან საქმის განხილვის დასრულებამდე მოხდა იურიდიული პირის რეორგანიზაცია, საკასაციო სასამართლო და-საშვებად მიიჩნევს აღმასრულებლის მოთხოვნას სასამართლო წესით უფლებამონაცვლის დადგენის თაობაზე.

რაც შეეხება უფლებამონაცვლის საწინააღმდეგოდ სააღსრულებო ფურცლის ამონერას, საკასაციო პალატა ამ მოთხოვნას უარყოფს და განმარტავს, რომ „სააღსრულებო ნარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი არეგულირებს შემთხვევას, როდესაც უფლებამონაცვლის დაშვებამდე სააღსრულებო ფურცელი არ არის გაცემული. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ 2019 წლის 15 აპრილს გასცარა სააღსრულებო ფურცელი, არ არსებობს უფლებამონაცვლის საწინააღმდეგოდ მისი ხელახლა გაცემის წინაპირობა, არამედ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალოგით, მსგავსად 2019 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებისა, სააღსრულებო ფურცელში მითითებული ა(ა)იპ გ-ის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის (ს/კ №4...) უფლებამონაცვლედ მიჩნეულ უნდა იქნას ა(ა)იპ გ-ის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (ს/კ №...).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე, 284-ე, 285-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადება მოვალის უფლებამონაცვლის დადგენისა და მის წინააღმდეგ სააღსრულებო ფურცლის ამონერის თაო-

ბაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის №ას-543-543-2018 გადაწყვეტილებასა და მის საფუძველზე 2019 წლის 15 აპრილს გაცემულ №ას-543-543-2018 სააღსრულებო ფურცელში მითითებული მოვალის – ა(ა)იპ გ-ის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის (ს/კ №4...) უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნას ა(ა)იპ გ-ის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (ს/კ №4...).

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საპოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. სასარჩელო ნარმოება

### აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა

განხილება  
საქართველოს სახელით

№ას-921-2018

02 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
კ. ქათამაძე

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ზ. ქ-მა (შემდეგში: მოსარჩელე ან მოწინააღმდეგ მხარე) სარჩელი აღძრა ე. ხ-ის, ნოტარიუს ხ. შ-ის (შემდეგში – ნოტარიუსი), კ. ჯ-ის, ც. ბ-ის, ნ. ბ-ისა და ქ. ლ-ის (შემდეგში: მოპასუხე ან პელანტი ან კასატორი) წინააღმდეგ და მოითხოვა 2011 წლის 30 სექტემბერს ნოტარიუსის მიერ მოსარჩელის სამკვიდრო ქონებაზე ე. ხ-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა; ასევე, 2010 წლის 06 ოქტომბერს ე. ხ-სა და კ. ჯ-ს, 2011 წლის 8 ნოემბერს კ. ჯ-სა და ც. ბ-ეს შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა; 2012 წლის 28 მარტს ც. ბ-ესა და ნ. ბ-ეს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულებისა და 2013 წლის 3 ივლისს ნ. ბ-ესა და ქ. ლ-ვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოსარჩელეს უარი ეთქვა ნოტარიუსის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე; ბათილად იქნა ცნობილი 2011 წლის 30 სექტემბერს ე. ხ-ის მიმართ გაცმული სამკვიდრო მოწმობა №...; ბათილად იქნა ცნობილი 2010 წლის 06 ოქტომბერს ე. ხ-სა და კ. ჯ-ს შორის დადებული უძრავის ნივთის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება; ბათილად იქნა ცნობილი 2011 წლის 08 ნოემბერს კ. ჯ-სა და ც. ბ-ეს შორის დადებული უძრავის ნივთის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება; ბათილად იქნა ცნობილი 2012 წლის 28 მარტს ც. ბ-ესა და ნ. ბ-ეს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება; ბათილად იქნა ცნობილი 2012 წლის 03 ივლისს ნ. ბ-ესა და მოპასუხეს შორის და-

დებული უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება.

3. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის გა-დაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხის მი-ერ.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩი-ვარი არ დაემაყოფილდა.

5. სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნია მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6. გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში რეგისტრირებული იყო ნ. ქ-ის (ხ-ის) კომლის უფროსად ირიცხებოდა ნ. ქ-ი (ხ-ი). კომლის უფრო-სის გარდაცვალების შემდეგ კომლში დარჩა ბოლო წევრი ი. (ო.) ქ-ი, რომელიც გარდაიცვალა 2007 წლის 5 მარტს და რომელსაც პირვე-ლი რიგის მემკვიდრე არ დარჩენია. მოსარჩელე ზ. ქ-ი წარმოად-გენს ი. ქ-ის ძმისშვილს. ე. ხ-ი და ნ. ქ-ი (ხ-ი) არიან დები და შესაბა-მისად, ი. ქ-ი არის ე. ხ-ის დისმვილი.

7. 2011 წლის 26 ივნისს გარდაბნის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება ე. ხ-ის სარ-ჩელისა გამო, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, სამკვიდროს ვადის აღდგე-ნის შესახებ, რომლითაც სარჩელი დაემაყოფილდა.

8. 2011 წლის 30 სექტემბერს ნოტარიუს ხ. შ-ის მიერ ი. ქ-ის სამ-კვიდრო ქონებაზე გაცემული იქნა სამკვიდრო მონმობა. სამკვიდ-რო მონმობის საფუძველზე საჯარო რეესტრში 2011 წლის 6 ოქ-ტომბერს სადაც უძრავი ქონება ე. ხ-ზე აღირიცხა.

9. 2011 წლის 6 ოქტომბერს ც. მ-ს, როგორც ე. ხ-ის წარმომადგე-ნელსა (ამავე დროს ც. მ-ი წარმოადგენს ე. ხ-ის შვილს) და კ. ჯ-ს შორის გაფორმდა უძრავი ნივთის მდებარე, გარდაბნის რაიონი, სო-ფელი სართიჭალა 4000,00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკ-ვეთი, საკადასტრო კოდი №8.-12.07.7... შენობა ნაგებობები №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8 ნასყიდობის ხელშეკრულება.

10. 2011 წლის 8 ნოემბერს კ. ჯ-სა და ც. ბ-ეს შორის გაფორმდა უძრავი ნივთის, მდებარე, გარდაბნის რაიონი, სოფელი სართიჭა-ლა 4000,00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი, საკადას-ტრო კოდი 8.-12.07.7... შენობა ნაგებობები №1, №2, №3, №4, №5, ნასყიდობის ხელშეკრულება.

11. მოსარჩელე ზ. ქ-ის განცხადების საფუძველზე გარდაბნის რაიონული სასამართლოს მიერ 2011 წლის 1 დეკემბრის გადაწყვე-

ტილებით ბათილად იქნა ცნობილი ამავე სასამართლოს 2011 წლის 26 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის ნარმოება.

12. 2012 წლის 28 მარტს ც. ბ-ესა და ნ. ბ-ეს შორის გაფორმდა უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი 8-.12.07.7...) ჩუქების ხელშეკრულება.

13. გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 25 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ე. ხ-ის სარჩელი ზ. ქ-ის მიმართ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ. დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალში.

14. 2012 წლის 3 ივლისს ნ. ბ-ესა და ქ. ლ-ს შორის შედგა უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №8-.12.07.7...) ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით.

15. გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 1 დეკემბრის განწყვეტილებით დადგენილ იქნა, რომ ი. ქ-ის გარდაცვალების შემდეგ მის საცხოვრებელ სახლში ცხოვრობდა ზ. ქ-ი. ამდენად, ი. ქ-ის სამკვიდრო მიიღო ზ. ქ-მა ფაქტობრივი ფლობით, როგორც მეორე რიგის კანონისმიერმა მემკვიდრემ.

16. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნარმოდგენილი სარჩელით მოთხოვნილი იყო ყველა იმ გარიგებების ბათილად ცნობა, რაც სადაც უძრავი ქონების გასხვისებას უკავშირდებოდა. ამასთან, მოპასუხებს – ე. ხ-ს, ხ. შ-ს, კ. ჯ-ს, ც. ბ-ეს და ნ. ბ-ეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება (იხ., ამ განჩინების პ-2) არ გაუსაჩივრებიათ. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება აღნიშნული მოპასუხების მიმართ შესული იყო კანონიერ ძალაში. სააპელაციო საჩივრით კი, მოპასუხე სადაც ხდიდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას 2013 წლის 3 ივლისს 6. ბ-ესა და მოპასუხებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში. შესაბამისად, სააპელაციო პალტამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებს კანონიერება შეამოწმა აღნიშნულ ნაწილში და ყურადღება გაამახვილა შემდეგზე:

17. საქმეზე ნარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე მიჩნეული იქნა, რომ მოპასუხე არ ნარმოადგენდა უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენს.

18. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. ამასთან, ივარაუდება, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ნე-

ბისმიერი ხელშეკრულება მხარეთა გონივრული განსჯისა და ურ-თიერთშორის პოზიციების შეჯერების შედეგია, სადაც თითოეულ მხარეს შეგნებული და გააზრებული აქვს თავისი ქმედება, რეალური შესაძლებლობები და გათვალისწინებული აქვს ის რისკები, რაც შეიძლება ხელშეკრულების შესრულებასა თუ მის შეუსრულებლობას მოჰყვეს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. სსკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტო.

19. საპპლაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო უფლებებს, რომლის არსებობა მხოლოდ საჯარო რეესტრიდან ვლინდება, განსაკუთრებული თავისებურება ახასიათებთ. აღნიშნული უფლებების, გასხვისების, დატვირთვის ან სხვაგვარი განკარგვის შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მესამე პირთა უფლებებს, რომლებისთვისაც აღნიშნული უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია წარმოადგენს მყარ გარანტიას სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის. საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაციისა კი, სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ნდობის და კეთილსინდისიერების პრინციპის ერთერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. ზოგიერთ შემთხვევაში, ნივთის არამართლზომიერი, სამართლებრივ საფუძველს მოკლებული განკარგვის გამო, ერთმანეთთან ნინააღმდეგობაში მოიდის ნივთის შემძენისა და მისი ნამდვილი მესაკუთრის ინტერესი. სსკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილი აღნიშნულ კონფლიქტს შემძენის სასარგებლოდ წყვეტს. კეთილსინდისიერების ზოგადსამართლებრივი პრინციპიდან გამომდინარე, საკუთრების და სხვა სანივთო უფლებების დაცვა უნდა განხორციელდეს იმდაგვარად, რომ თანაბრად იყოს დაცული სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილის ინტერესი. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის და საიმედოობის გარანტიების არარსებობის შემთხვევაში, კეთილსინდისიერი შემძენი, რო-

მელმაც ხელშეკრულების დადებისას გამოიჩინა გონივრულობა და სიფრთხილე, ქონების არამართლზომიერი დაკარგვის რისკის მატარებელი გახდება.

20. საჯარო რეესტრის მონაცემები მხოლოდ მაშინ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უსწოროდ, თუ ამ ჩანაწერების საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი ან შემძებნა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. ანუ პირველ შემთხვევაში საკმარისია, რომ ჩანაწერი უზუსტოა იცოდეს, რომ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი ამ უფლების შეძენის გარიგების დადებამდე, ხოლო მეორე შემთხვევაში საქმარისია, რომ უფლების შეძენის შესახებ გარიგების დადებამდე მისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებების შესახებ (საჩივრის გარდა), რის გამოც ეს ჩანაწერები უზუსტოა. მხოლოდ ამ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში უფლების შემძენი არ არის კეთილსინდისიერი. წინააღმდეგ შემთხვევაში, განსახილველი ნორმის მიხედვით, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუცია, შესაბამისად, რეესტრის მონაცემები მესამე პირისათვის ყოველთვის ითვლება სწორად და არ არის აუცილებელი დამატებით ამ სისწორის დადასტურება. ერთადერთი, რაც რეესტრის უტყუარობის პრეზუმუციას არღვევს, სწორედ შემძენის არაკეთილსინდისიერებაა. ზემოთ დასახელებული ნორმები შეიცავს არაკეთილსინდისიერების იურიდიულ განმსაზღვრელ ელემენტს – შემძებნა იცის, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამდენად, შემძენის ინტერესების დამცავი ნორმის გამოყენებისას უნდა შემონმდეს არა მარტო საჯარო რეესტრის მონაცემები, ასევე უტყუარად უნდა დადგინდეს, რომ შემძენმა ნივთის შეძენამდე არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა საჯარო რეესტრის უზუსტობის თაობაზე.

21. სააპელაციო პალატამ აპელანტის, როგორც შემძენის, კეთილსინდისიერების შეფასების მიზნებისათვის, ყურადღება მიაქცია საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

22. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმე ე. მ-ის მიერ მიცემული ჩვენების თანახმად, მან (ე. მ-მა) მოპასუხეს უთხრა, რომ სახლი იყო სადაცო. მოწინააღმდეგებ მხარის ადვოკატმა გ. ჭ-ძემ „საბუთები“ გადასცა მოპასუხეს და გააფრთხილა, რომ ბინაზე მიმდინარეობდა დავა. მოპასუხეს „ბე“ მიცემული ჰქონდა და გამომძიებელი ეუბნებოდა, რომ დარჩენილი თანხა აღარ მიეცა. იგი (ე. მ-ი) უშუალოდ ესწრებოდა მოპასუხის და გ. ჭ-ძის საუბარს.

23. სააპელაციო სასამართლოში მოპასუხებ დაადასტურა მის მიერ საგამოძიებო ორგანოში 2013 წლის 24 სექტემბერს მოწმის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენება (2013 წლის 24 სექტემბრის ჩვენება ერთვის საქმეს) და განმარტა, რომ როდესაც იგი მეზობლებს მა-

მა-შვილს უორას და ნუნუს გაეცნო, მათ უთხრეს, რომ სახლის ყოფილ მემკვიდრეებს შორის დავა მიმდინარეობდა. აღნიშნულის შემდგომ იგი დაუკავშირდა გამყიდველს – ნ. ბ-ეს და ჰეითხა, თუ რა დავა მიმდინარეობდა სახლთან დაკავშირებით, რომლის ყიდვასაც აპირებდა. ნ. ბ-ემ უპასუხა, რომ მართლაც არსებობდა დავა სახლის ყოფილ მემკვიდრეებს შორის, თუმცა, განუმარტა, რომ მან აღნიშნული სახლი კანონიერად იყიდა 60 000 ლარად და არის კეთილსინდისიერი შემძები. მას (მოპასუხებს) ასევე, დაუკავშირდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი გ. ჭ-ძე, რომელმაც უთხრა, რომ თავი შეეკავებინა სახლის ყიდვისაგან, რადგან სადაცი იყო. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდგომ იგი (ქ. ლ-ი) ვაზიანის პოლიციაში წავიდა, სადაც პოლიციის უფროსმა განუცხადა, რომ საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებით ადრე იყო დავა ორ მემკვიდრეს შორის და მოხდა გამოსხლება. მან (ქ. ლ-მა) კონსულტაცია გაიარა თავის ადვოკატთან და გამომძიებელთან, რომლებმაც უთხრეს, რომ გამყიდველს კეთილსინდისიერად ჰქონდა შეძენილი ქონება და პრობლემები არ შეექმნებოდა. მან ასევე, შეამონმა საჯარო რეესტრის ჩანაწერი და სახლზე რაიმე უფლებრივი დატვირთვა არ ყოფილა, რის შემდგომაც სახლის მეპატრონებს თანხა სრულად გადაუხადა (იხ: სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი).

24. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ თავად მოპასუხის ახსნა-განმარტების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე სამკვიდროთი დაინტერესებული პირის ზ. ქ-ის ადვოკატის გ. ჭ-ძის მიერ ინფორმირებული იყო, რომ ბინა სადაცო ნივთს წარმოადგენდა და რომ დაწყებული იყო სისხლისა-მართლებრივი დევნა. დავის შესახებ მოპასუხე გაფრთხილებული იქნა, ასევე, მეზობლების – ე. მ-ძისა და ნ. ტ-ის მიერ, რომლებიც სასამართლო სხდომაზე დაეთხოებული იქნენ მოწმეებად და რომლებმაც დაადასტურეს მოპასუხის ინფორმირება ქონების სადავოობასთან დაკავშირებით.

25. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სახლის სადავოობის შესახებ მოპასუხის ინფორმირებულობა დასტურდება, ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხული ნ. რ-ის ჩვენებით.

26. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა (ინფორმირებულობა ბინის სადავოობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის არსებობის შესახებ) გამორიცხავდა შემძენის – მოპასუხის დაცვას კეთილსინდისიერების საფუძვლით.

27. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2018 წლის 26 თებერვლის განჩინება საკასაციო სა-

ჩივრით გასაჩივრდა აპელანტის მიერ, რომელმაც მოითხოვა გასა-ჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უარყოფა მოპასუ-ხესა და ნ. ბ-ეს შორის დადებული გარიგების ბათილად ცნობის ნა-ნილში.

28. კასატორი არ დაეთანხმა გასაჩივრებული განჩინების ფაქ-ტობრივ გარემოებებს, რომელთა მიხედვითაც, სააპელაციო პალა-ტამ დაასკვნა, რომ აპელანტი (მოპასუხე) გაფრთხილებული იყო გარიგების საგნის სადაცობისა და გარიგებაში მონაწილე პირთა მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის არსებობის თაობაზე. კა-სატორი აღნიშნავს, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები პირველი ინსტანციის სასამართლო სისხლის სამართლის საქმის მასალების ამოღების შედეგად დაადგინა, ისე, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში დასახელებული მოწმეები არ დაკითხულან სასარჩე-ლო წარმოების პროცესში.

29. კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინებით მისი არგუმენტები და მოსარჩელის მოწვეული მოწმეების ჩვენებები სა-ერთოდ არ არის გათვალისწინებული. გარდა ამისა, სამართლებრი-ვად არაა შეფასებული ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მი-სედვით კასატორი ინფორმირებული იყო სადაცო საგანზე მემკვიდ-რეებს შორის დავის დასრულების შესახებ. ასევე, ის ფაქტი, რომ პოლიციის უფროსს, გამომძიებელს და პროკურორს ნ. ბ-ე კეთილ-სინდისიერ შემძენად მიაჩნდათ და უბნის ინსპექტორის მეშვეო-ბით ყველა დაინტერესებულ პირს (მათ შორის, მოწმეებად დასა-ხელებული და დაკითხული პირები, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარის ახლობლები არიან) წერილობით აფრთხილებდნენ ნ. ბ-ის-თვის არ შეეძლათ ხელი მისი საცხოვრებელი სახლის გასხვისება-ში, წინააღმდეგ შემთხვევაში, 500 ლარით დაჯარიმდებოდნენ.

30. კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ სამართლებრივი შე-ფასების გარეშე დატოვა აგრეთვე ის ფაქტი, რომ მოწინააღმდეგე მხარე გამოსახლებული იყო სადაცო საცხოვრებელი სახლიდან, ხო-ლო კასატორმა ადვოკატებთან და გამომძიებელთან კონსულტა-ციების მიღების შედეგად შეიტყო, რომ იგი კეთილსინდისიერ შემ-ძენად მიიჩნეოდა და ამ საკითხის გამო, პრობლემები არ შეექმნე-ბოდა.

31. კასატორის მოსაზრებით, გარიგების საგნის უნაკლობა და-დასტურდა ნოტარიუსის მიერ გარიგების დამოწმებისას. ავრეთ-ვე, მხედველობაში იყო მისაღები ის გარემოება, რომ სისხლისსა-მართლებრივი დევნის პროცესში, ც. ბ-ის მიერ ნ. ბ-ისათვის სადა-ცო სახლის ჩუქებასთან დაკავშირებით სამართალდამცავებს არ ჰქონიათ პრეტენზიები. აღნიშნულ სახლზე საჯარო რეესტრის მო-ნაცემებითაც არ დაფიქსირებულა მისი სადაცობის, უფლებრივი

დატვირთვის ან რაიმე შეზღუდვის თაობაზე, რის გამოც, კასატორ-მა თანხის მეორე ნაწილიც გადაიხდა.

32. კასატორმა განმარტა, რომ მის მიერ გამოჩენილი ზემოაღნიშნული სიფრთხილე განპირობებული იყო იმით, რომ სადავო სახლის შესაძენად მათ თავიდან გადახდილი ჰქონდა 4 000 აშშ დოლარი, ახლოვდებოდა მეორე ნაწილის გადახდის დრო და 6. ბ-ე აფრთხილებდა, რომ დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, დაკარგვადა სახლის შეძენის უფლებასა და უკვე გადახდილ თანხას. შესაბამისად, საეჭვო ვითარების არსებობის შემთხვევაში, კასატორს ერჩია უკვე გადახდილი თანხის დაკარგვა და არ აიღებდა ბანკიდან სესხს, რომელსაც დღემდე ვერ იხდის.

33. კასატორმა აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს დასკვნები მხოლოდ იმაზეა დამყარებული, რომ კასატორმა იკოდა სახლის სადავოდ ყოფნის შესახებ, რაც კანონის არასწორ განმარტებაზე მიუთითებს (სსკ-ის 185-ე მუხლი) და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობაზე სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ეკრძოდ, სწორად უნდა განხორციელებულიყო სიტყვა „ცოდნის“ და „უზუსტობის“ ინტერპრეტაცია.

34. საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან საპაექტო სიტყვაში მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოების მთელ რიგ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე, სადაც ამომწურავადაა განმარტებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის მნიშვნელობა და სამოქალაქო ბრუნვის დაცვისადმი კანონის და სასამართლო პრაქტიკის დამოკიდებულება, საფარაუდო უზუსტობის შემოწმების ფარგლები.

35. კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოყენებინა სსკ-ის 390-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც არ გულისხმობს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებისა და დასკვნების ბრმად გაზიარებას, თუ ისინი არ გამომდინარეობენ საქმეზე გამოკვლეული ყველა მტკიცებულების ერთობლიობის ობიექტური და მიუკერძოებელი შეფასებიდან, მატერიალური კანონიდან და უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკიდან. (სუსგ №2ბ/1232-12, №ას-189-182-2013, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე №2ბ/795-09 და №2ბ/4210-11). სასამართლო პრაქტიკით კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით უარყოფილია ზოგადსამართლებრივი თანაბარი მოპყრობის პრინციპი, უფლებრივი პრიმატი ენიჭება კეთილსინდისიერ შემძენს. კეთილსინდისიერება სუბიექტური კატეგორია და გადამწყვეტია სუბიექტური აღქმა – შემძენმა იკოდა თუ არა, რომ რეესტრში მესა-

კუთრედ მითითებული პირი არ წარმოადგენდა „უფლებამოსილ პირს. ამასთან, „უზუსტობასთან“ დაკავშირებით სამართლებრივ ჭრილ-ში მეტ-ნაკლებად ანგარიშგასასაწევი მოდავება მხოლოდ მაშინ შე-იძლება დასაბუთებულად და ნამდვილ უფლებაზე დამყარებულად ჩაითვალოს, თუ ასეთად თავისი გადაწყვეტილებით აღიარებს სა-სამართლო. ცხადია, ასეთი აღიარება წინ უნდა უძლვოდეს საკუთ-რების ობიექტის შეძენას და თანაც შემძენისთვის ეს ცნობილი უნ-და იყოს.

36. კასატორი მიუთითებს დასახელებული პრაქტიკის მსჯელო-ბაში უძრავი ქონების ჭრილში მსჯელობისას მოძრავ ნივთებთან მიმართებაში არსებული დებულებების გამოყენების დაუშვებლო-ბა, რაც განსახილველ დაგაზე არ გამხდარა მსჯელობის საგანი.

37. საკასაციო საჩივრის ავტორი სუსგ-ს 2012 წლის 13 დეკემ-ბრის განჩინებაში საქმეზე №28/1232-12 განმარტებაზე მითითე-ბით თვლის, რომ „ცოდნა“ უნდა გულისხმობდეს ინფორმირებუ-ლობას იმის თაობაზე, რომ რეესტრში პირი არაა კანონისმიერი მე-საკუთრე, ხოლო ასეთს წარმოადგენს სხვა კონკრეტული პირი.

38. კასატორი ასევე მიუთითებს თბილისის სააპელაციო სასა-მართლოს დასახელებულ გადაწყვეტილებებში სასამართლოს მსჯელობაზე და განმარტავს, რომ ცალსასად მხოლოდ „სადავოო-ბა“, „საეჭვოობა“ ვერ გახდება სადავო გარიგების ბათილობის სა-ფუძველი, მითუმეტეს, იმ პირობებში, რომ თავად მოწინააღმდეგე მხარის მიერ დასახელებული მოწმები ამყარებენ კასატორის პო-ზიციას. მათვე განმარტეს, რომ გარიგების საგნის სადავოდ ყოფ-ნის შესახებ ინფორმაციის მიღების დღესვე კასატორი ენვია ვაზი-ანის პოლიციის უფროსს და მისგანაც მიიღო განმარტება, რომ ნ. ბ-ე ამ საგნის კეთილსინდისიერი შემძენი და კანონიერი მესაკუთრე იყო.

39. კასატორის განმარტებით, რომც დავუშვათ საქმესთან კავ-შირში მყოფი პირების მსჯავრდების კანონიერება, ც. ბ-ის მიერ სახ-ლის შეძენის შემდევ ბრალდების ჯაჭვი წყდება, რადგან მისი კე-თილსინდისიერ შემძენად აღიარება ეჭვს არ იწვევს. შესაბამისად, კასატორი არ იყო ვალდებული დაინტერესებულიყო წინა ტრანზაქ-ციებით, რომლებიც მრავალჯერ განხორციელდა.

40. კასატორმა დამატებით აღნიშნა, რომ განაჩენით აღიარე-ბულია დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია, რასაც შედე-გად მოჰყვა მსჯავრდება. სამოქალაქო საქმეთა განმხილველი მო-სამართლე არ იყო ვალდებული სადავო შეფასებები გაეზიარებინა და თავის გადაწყვეტილებაში გადაეტანა. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ც. და ნ. ბ-ეს არ შეუტანით სააპელაციო საჩივარი, ეს გამოწ-ვეულია უსახსრობით და არა იმით, რომ ეთანხმებიან სასამართლოს

**გადაწყვეტილებას.**

41. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია პროცესუალური კანონიც, იმ თვალსაზრისით, რომ არ დაასაბუთა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ ერთი მხარის არგუმენტებზე დაფუძნების კანონიერება და მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების საფუძვლიანობა. ასევე, კასატორი სადაცოდ ხდის იმ ფაქტს, რომ გადაწყვეტილებაში საერთოდ არ იყო მითითებული მისი მიღების სამართლებრივი საფუძვლები და ეს ხარვეზი სსსკ-ის 260-ე მუხლის საფუძველზე გამოსწორდა, თუმცა კანონით გათვალისწინებულ არც „უსწორობას“ და არც „აშკარა არითმეტიკულ შეცდომას“ არ ჰქონია ადგილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

42. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2018 წლის 18 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2018 წლის 12 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საპროცესო სამართლებრივი საფუძვლით.

43. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

44. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელით მოთხოვნილია ყველა იმ გარიგებების ბათილად ცნობა, რაც სადაცო უძრავი ქონების გასხვისებას უკავშირდებოდა (იხ., ამ განჩინების პ-1). რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი: 2011 წლის 30 სექტემბერს ე. ხ-ის მიმართ გაცემული სამკვიდრო მოწმობა; 2010 წლის 06 ოქტომბერს ე. ხ-სა და კ. ჯ-ს შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება; 2011 წლის 08 ნოემბერს კ. ჯ-სა და ც. ბ-ეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება; 2012 წლის 28 მარტს ც. ბ-ესა და ნ. ბ-ეს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება; 2012 წლის 03 ივლისს ნ. ბ-ესა და მოპასუხეს შორის დადებული ხელშეკრულება. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელადაა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის

26 თებერვლის განჩინებით. კასატორი მოითხოვს ამ განჩინების იმ ნაწილში გაუქმებას და სარჩელის უარყოფას, რომლითაც მოპასუ-სესა და ნ. ბ-ეს შორის დადებული გარიგება ბათილად იქნა ცნობი-ლი.

45. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინე-ბის ნაწილობრივ გაუქმების ნაწილში (ამ განჩინების პ-44) კასატორ-მა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაშვები (დასაბუთებული) საკასა-ციო პრეტენზია.

46. პირველ რიგში, საკასაციო პალატა ხაზს უსვამს საკასაციო სასამართლოს მიზანს, რომელიც ინდივიდუალური ინტერესის დაც-ვის სამსახურში დგას და თავის მხრივ, მიმართულია მხარეთა უფ-ლებებისა და ინტერესების დაცვისაკენ და საჯარო ინტერესების დაცვას, რომელიც მიმართულია კანონების ერთგვაროვან გაგება-სა და ერთიანი მართლმსაჯულების ჩამოყალიბებისაკენ (იხ., ლი-ლუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ. 2005, 494). მითითებული მიზნები მიიღწევა როგორც ზოგადად პროცესუალუ-რი ურთიერთობების სისტემისათვის დამახასიათებელი სამარ-თლებრივი მექანიზმების ამოქმედებით, ასევე – იმ სპეციალური პროცესუალური საშუალებების გამოყენებით, რომლებიც საბოლო-ოდ მიმართულია საკასაციო სასამართლოს წინაშე დასმული ამო-ცანებს გადაწყვეტისაკენ. აღნიშნული სამართლებრივი საშუალე-ბების გამოყენების კანონზომიერება ფაქტობრივად განსაზღვრავს საკასაციო სასამართლოს პროცესუალურ-სამართლებრივ საქმია-ნობას. სწორედ დასახელებული მიზნიდან გამომდინარე, საკასა-ციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში, აღძრული აღიარებითი სარჩელის (სარჩელის კლასიფიკაცია პროცესუალური წინით), რომლითაც მოთხოვნილია 2011 წლის 30 სექტემბერს ნოტარიუსის მიერ მო-სარჩელის სამკვიდრო ქონებაზე ე. ხ-ის სახელზე გაცემული სამ-კვიდრო მონაბიძის ბათილად ცნობა; ასევე, 2010 წლის 06 ოქტომ-ბერს ე. ხ-სა და კ. ჯ-ს, 2011 წლის 8 ნოემბერს კ. ჯ-სა და ც. ბ-ეს შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა; 2012 წლის 28 მარტს ც. ბ-ესა და ნ. ბ-ეს შორის დადებული ჩექების ხელშეკრულებისა და 2013 წლის 3 ივლისს ნ. ბ-ესა და ქ. ლ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა (იხ., ამ განჩინების პ-1), იურიდიულ ინტერესად კი, მოსარჩელებ მიუთითა სადაცვო ქონების საწყის მდგომარეობა-ში დაბრუნება, საჯარო რეესტრში მოსარჩელის სახელზე რეგის-ტრაციის და ამ გზით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაუ-რება (იხ., სარჩელის იურიდიული ინტერესი). საგულისხმოა, რომ სარჩელის მოთხოვნები (იხ., ამ განჩინების პ-1) იურიდიულ ინტე-

რესს არ უზრუნველყოფს და მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენის წინაპირობა ვერ გახდება, ვინაიდან, სარჩელით არ არის მოთხოვნილი რაიმეს მიკუთვნება ან შესრულება, ხოლო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია (სსსკ-ის 248-ე მუხლი) (შდრ: სუსგ №ას-486-454-2017, 31 იანვარი, 2018 წელი. პ-18.2; აგრეთვე იხ., საქმე №ას-782-782-2018, 12 სექტემბერი, 2018 წელი, პ-36-37).

47. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი ალძრულია გარიგებების ბათილად ცნობის მოთხოვნით [სსსკ-ის 180-ე მუხლი, სსკ-ის 54-ე მუხლი]. ამასთან, მოთხოვნის იურიდიული ინტერესის არსებობა მოსარჩელემ დაასაბუთა იმით, რომ მას გააჩნდა უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრაციის და ამ გზით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ლეგიტიმური ინტერესი.

48. აღიარებითი სარჩელის სამართლებრივი ბუნების შესახებ საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ: აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების წებისმიერ ეტაპზე. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ – უფლების სადაცობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებ-საც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიურია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02.03.2017; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №ას-1089-1009-2017, 05.12.2017; №ას-437-409-17 29.09.17, №-ას-916-857-

17 12.09.17, №ას-302-285-17, 16.06.17, №ას-244-232-17 19.05.17  
№ას-937-887-2015, 10.11.2015წ.; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.;  
№ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015,  
11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016,  
06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308, 2016,  
03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ; №ას-375-359-2016,  
17.06.2016წ; საქმე №ას-595-554-2017, 15 დეკემბერი, 2017 წელი).

49. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის სახეე-  
ბად დაყოფას (მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი) პრაქ-  
ტიკული მნიშვნელობა გააჩნია და უზრუნველყოფს პირის კანო-  
ნით დაცული უფლებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაც-  
ვას. როგორც წესი, მოსარჩელის ინტერესი განსაზღვრული სამარ-  
თლებრივი შედეგის მიღწევას უკავშირდება (მაგ. ხელშეკრულე-  
ბით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ქონების დაბრუნება,  
პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და  
ა.შ.), რომელიც მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელით მიიღწევა და  
ასეთ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის აღდგრა დაუშეებულია,  
რადგანაც, საპროცესო ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე,  
დარღვეული უფლების აღდგენასა და სამართლებრივი მდგომარე-  
ობის გაუმჯობესებას პირმა ერთი და არა რამდენიმე სარჩელის  
აღდგრის გზით უნდა მიაღწიოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღ-  
არებითი სარჩელის დაკმაყოფილებას მოსარჩელისათვის მისთვის  
სასარგებლო შედეგი უნდა მოპქონდეს და მიკუთვნებითი სარჩე-  
ლის აღდგრის საჭიროება აღარ უნდა არსებობდეს.

50. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვე-  
ვაში, სასარჩელო მოთხოვნა მხოლოდ გარიგებათა ბათილად ცნო-  
ბის შესახებ, საბოლოოდ არ აყენებს მოსარჩელისათვის სასარგებ-  
ლო იურიდიულ შედეგს და მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყო-  
ფილებული გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე, მხოლოდ გა-  
რიგებათა ბათილად ცნობით არ მიიღწევა მოსარჩელის საკუთრე-  
ბის უფლების აღრიცხვა სადაც ფართზე.

51. სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვა წარმოებს იმ წე-  
სების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა  
განხილვისათვის სსსკ-ის 372-ე მუხლით, ანუ საქმე არსებითად იხი-  
ლება. აქედან გამომდინარე, სსსკ-ის 380-ე მუხლის პირველი ნაწი-  
ლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას  
შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს  
ახალი მტკიცებულებები.

52. მოცემულ შემთხვევებში, უნინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ  
სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმის გადასაწყვეტად მნიშ-  
ვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება, თუმცა, მოსარჩელის

მოთხოვნიდან გამომდინარე არ შეამოწმა სარჩელის გამართულობა (დასაბუთებულობა), რა დროსაც სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, თუ რა სურდა მოსარჩელეს. მართლმსაჯულების ეფექტიანობა მის საპროცესო ეკონომიკაშიც გამოიხატება და სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს მოსარჩელისათვის შეკითხვების მეშვეობით უნდა მიეცა სასარჩელო მოთხოვნის დაკანკრეტების (დაზუსტების) შესაძლებლობა (სსსკ-ის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილი), რადგანაც ამ შემთხვევაში გარიგების ბათილობა, საგარაუდოდ იმის ნინაპირობას ნარმოადგენს, რის მიღწევაც სურს მოსარჩელეს, ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის დაზუსტება, მოთხოვნის გამართულად ჩამოყალიბება არ ნარმოადგენს იმ შემთხვევას, რომელიც დადგენილია სსსკ-ის 381-ე მუხლით და დაუშვებლად მიიჩნევს სააპელაციო სამართალნარმოების ეტაპზე დავის საგნის შეცვლას ან გადიდებას.

53. სწორედ აღნიშნული საპროცესო დანაწესის ფარგლებში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, რამდენად არის შესაძლებელი მიკუთვნებითი მოთხოვნის დაყენება ანუ არა არსებული ფაქტობრივი გარემოების ან ახალი მტკიცებულებების ნარდგენის/მითითების გზით, არამედ – უკვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, რათა მოსარჩელემ მთავრობის მისთვის სასურველ იურიდიულ შედეგს, რომელიც აღსრულებადი იქნება. სამართალნარმოების მიზანი პირის დარღვეული უფლების დაცვა და აღდგენაა, რაც მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს. გადაწყვეტილება აღსრულებადი უნდა იყოს, ნინააღმდეგ შემთხვევაში, მხარისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებითაც კი ვერ დაკამაყოფილდება მისი სამართლებრივი ინტერესი.

54. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორი სწრაფიც არ უნდა იყოს მართლმსაჯულება, როგორი სამართლიანი და კანონიერიც არ უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილება, მართლმსაჯულების მიზნები და ამოცანები განუხორციელებელი რჩება, თუ არ მოხდება გადაწყვეტილების აღსრულება. ადამიანის უფლებათა ეგროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და განმარტავს, რომ „სასამართლოსათვის სარჩელის ნარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება“ (იხ. „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი

№40765/02; Burdov v. Russia, no. 59498/00, §34, ECHR 2002-III; Hornsby v. Greece , judgment of 19 March 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-II, p. 510, §40 Hornsby; Mutishev and Others v. Bulgaria, 18967/03, §129, 3 December 2009; Antonetto v. Italy, no. 15918/89, §28, 20 July 2000).“

55. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონშებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ზამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაგება).

56. საქმის ხელახლი განხილვის დროს სააპელაციო სასამართლომ თვითონ უნდა გამოიკვლიოს, თუ რა სახის მიკუთვნებითი მოთხოვნა შეიძლება გააჩნდეს მოსარჩელეს მოპასუხის მიმართ და მას შემდეგ, რაც მოსარჩელე სარჩელის გარემოებებსა და მოთხოვნას დააზუსტებს, უნდა დაადგინოს რომელი სამართლის ნორმიდან ან ნორმებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ამგვარი მოთხოვნა (სახელშეკრულებო, თუ კანონისმიერი) და შესრულებულია თუ არა იმ სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წარმატებარი, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს.

57. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: а) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამონმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

58. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელა-

ციონ ან საკასაციო სასამართლო დაბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყვდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

- ქ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 თებერვლის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
- საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა**

**განერიცება  
საქართველოს სახელით**

№ას-62-2019

17 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ე. გასიჭაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ვალდებულების შეწყვეტილად ცნობა

### **აღნერილობითი ნაწილი:**

1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 19 ნოემბრის განჩინებით თ. ც-ქსა (შემდეგში: მოსარჩელე ან კასატორი)

და ბ. კ-ძეს (შემდეგში: ან. გარდაცვლილი) შორის მორიგების აქტით შეწყდა საქმის ნარმოება სამოქალაქო საქმეზე. მორიგების აქტის თანახმად ან გარდაცვლილს მოსარჩელისათვის უნდა გადაეხადა 3500 ლარი 6 თვის ვადაში. თანხის გადახდა უნდა დამთავრებულიყო 2014 წლის 1 აპრილს. თანხის გადახდის შემდეგ მოსარჩელე უძრავ ქრინგბას დაუბრუნებდა ან გარდაცვლილს და ეს უკანასკნელი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდებოდა მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ (ს/კ ...).

2. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 7 დეკემბრის განჩინებით ლ. მ-ის (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი ან ან გარდაცვლილის უფლებამონაცვლე) განცხადება დაკმაყოფილდა; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს №2/262-2013წ. საქმეზე, ან გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა მოპასუხე; შესაბამისად, მხარეთა შორის დამტკიცებულ მორიგების განჩინებაზე სასამართლომ გასცა ახალი სააღსრულებო ფურცელი, რომელიც სააღსრულებო ბიუროში მოპასუხემ იძულებით აღსასრულებლად წარადგინა.

### 3. სარჩელის საფუძვლები

3.1. მოსარჩელემ 2018 წლის 1 ივნისს სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხის წინააღმდეგ და მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეწყვეტილად ცნობა და სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

3.2. მოსარჩელის განმარტებით, ან გარდაცვლილს მითითებულ ვადაში თანხის გადახდა არ დაუწყია, თანხა არც მოგვიანებით გადაუხდია. მოსარჩელემ განმარტა, რომ მან ინტერესი დაკარგა მხარეთა შორის არსებული მორიგებისადმი. 2015 წლის 31 მარტს ბ. კ-ძე გარდაიცვალა და საქმეზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება შეწყდა 2015 წლის 19 აგვისტოს მის მარწმუნებელთან შეთანხმებით. ამავე საქმეზე ან გარდაცვლილის უფლებამონაცვლის – მოპასუხის მიერ მოხდა ახალი სააღსრულებო ფურცლის ამონერა და კვლავ დაიწყო სააღსრულებო წარმოება, რითაც მოპასუხეს სურს აიძულოს მოსარჩელე მიიღოს ის შესრულებულა. მოპასუხეს მაშინ ექნებოდა ან გარდაცვლილის ვალდებულების შესრულების უფლება, როგორც უფლებამონაცვლეს, თუკი ან გარდაცვლილის ვალდებულების შესრულებისათვის დათქმული ვადა გაშვებული არ ექ-

3.3. მოსარჩელის განმარტებით მას არავითარი ვალდებულება არ აკისრია ან გარდაცვლილის უფლებამონაცვლის – მოპასუხის მიმართ, რადგან მორიგების აქტით განსაზღვრულ ვადაში მოპასუხის მხრიდან ვალდებულება არ შესრულებულა. მოპასუხეს მაშინ ექნებოდა ან გარდაცვლილის ვალდებულების შესრულების უფლება, როგორც უფლებამონაცვლეს, თუკი ან გარდაცვლილის ვალდებულების შესრულებისათვის დათქმული ვადა გაშვებული არ ექ-

ნებოდა, მას მოსარჩელისაგან საპასუხო მოქმედების მოთხოვნის უფლება ექნებოდა მაშინ, თუკი ან გარდაცვლილის სიცოცხლეში გადახდილი ექნებოდა მორიგების აქტში მითითებული თანხა, რა-საც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

3.4. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ ფულის ინფლაციის გამო მითითებული თანხით ანალოგიურ მინის ნაკვეთს ვერ შეიძენს.

#### **4. მოპასუხის შესაგებელი**

4.1. მოპასუხებ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩე-ლი არ ცნო და განმარტა, რომ საადსრულებო ფურცელი ამონერა ორჯერ. საადსრულებო წარმოება შეჩერებული იყო და განახლდა მოპასუხის განცხადებისა და საადსრულებო ფურცლის წარდგე-ნის შემდეგ, შესაბამისად, იგი უნდა აღსრულდეს. მოპასუხის გან-მარტებით მოსარჩელის მოთხოვნა არის უკანონო და არ უნდა დაკ-მაყოფილდეს.

#### **5. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება**

5.1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 17 აგვის-ტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ოზურგეთის რა-იონული სასამართლოს 2013 წლის 19 სექტემბრის მორიგების აქ-ტით მოსარჩელესა და ან გარდაცვლილს (უფლებამონაცვლე – მო-პასუხე) შორის განსაზღვრული ვალდებულებები შეწყვეტილად იქ-ნა ცნობილი; შეწყდა საადსრულებო წარმოება სსიპ ადსრულების ეროვნულ ბიუროს თბილისის საადსრულებოს წარმოებაში არსე-ბულ საქმეზე №A 18027506-005/002 21.03.2018 ნ. (ოზურგეთის რა-იონული სასამართლოს მიერ 2017 წლის 16 ნოემბერს გაცემული №2/262-13 საადსრულებო ფურცელი).

5.2. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, სა-ქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) მე-8, 170-ე, 317-ე, 319-ე, 361-ე, მე-400, 405-ე და 484-ე მუხლებით.

#### **6. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი**

6.1. მოპასუხებ (ან გარდაცვლილის უფლებამონაცვლემ) სააპე-ლაციო წესით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტი-ლება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყო-ფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

#### **7. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

7.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2018 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით აპელან-ტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრე-ბული გადაწყვეტილება და მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილ-და.

7.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩი-

ნების 1-2 პუნქტებში ასახული გარემოებები და აღნიშნა, რომ ვინაიდან მორიგების განჩინება ორმხრივ ვალდებულებას ითვალისწინებდა, სააღსრულებო ფურცელში კრედიტორად, იმავდროულად მიზინააღმდეგე მხარეებად მიეთითა მოსარჩელე და ან. გარდაცვლილი.

7.3. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააღსრულებო საქმის წარმოების შენვეტას მოსარჩელე ორი საფუძვლით ითხოვდა: 1) მოვალე მხარის გარდაცვალების გამო; 2) ასევე იმ საფუძვლით, რომ მორიგების განჩინებაში მითითებულ ვადაში, 2014 წლის 1 აპრილამდე, მოვალემ – ან გარდაცვლილმა არ გადაიხადა თანხა, რითიც მას მოესპოვა ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება. მოსარჩელე უთითებდა, რომ მან დაკარგა ინტერესი აღსარულებელი გადაწყვეტილების მიმართ. მოსარჩელის მტკიცებით მის მიერ მითითებული გარემოებები სააღსრულებო წარმოების შენვეტის საფუძველს წარმოადგენდა.

7.4. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 92-ე მუხლის თანახმად სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყველა სტადიაზე.

7.5. უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა.

7.6. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნას გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ, ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საზინააღმდეგოდ თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია, ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ, ან დაამოწმა ნოტარიუსმა.

7.7. მითითებული ნორმების დაცვით, აპელანტი ცნობილი იქნა ან გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ მორიგების განჩინებაზე, შესაბამისად, აპელანტი აღჭურვილი იქნა ყველა იმ უფლება-მოვალეობებით, რომელსაც კრედიტორ მხარეს ანიჭებს სპეციალური კანონი. აღნიშნული გა-

რემოვება, ამასთან ბ. კ-ძის გარდაცვალება არ არის სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

7.8. დადგენილია, რომ მორიგების აქტით მხარეთა ურთიერთვალდებულებების შესრულების ვადად 2014 წლის 1 აპრილი დასახელდა; ამ ვადაში მხარეებმა ნებაყოფლობით არ აღასრულეს ერთმანეთის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები, მაგრამ იმავე მორიგების აქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუკი მორიგების აქტის პირობები ნებაყოფლობით აღსრულდებოდა, აღსრულების ქვემდებარე აქტი იძულებით აღსასრულებლად მიექცეოდა; აღსრულების საერთო ვადა კი 10 წელია.

7.9. უდავოა ისიც, რომ უფლებამონაცვლეობა ნებისმიერ ეტაპზე დაწვებული, მათ შორის – აღსრულების ეტაპზეც.

7.10. ამასთან, ორმხრივი ვალდებულების შესრულებისას მხოლოდ ერთ-ერთი კრედიტორი მხარის მიერ საკითხისადმი ინტერესის დაკარგვა ვერ გახდება აღსრულების შეწყვეტის საფუძველი.

7.11. სასამართლომ აღნიშნა, რომ მორიგების განჩინება არის ის უდავო და შეუძლებადი შეთანხმება მხარეებისა, რომელიც კანონით დადგენილი წესით უნდა აღსრულდეს. სასამართლო მხარეთა მორიგების დამტკიცებამდე, მის მონაცილე მხარეებს განუმარტავს მორიგების სამართლებრივ შედეგებს, მათ შორის კანონის დანაწესს, რომელიც იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით სასამართლოსადმი ხელმორჩედ მიმართვას გამორიცხავს და საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია (სსსკ-ის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეყუნქტი და 273-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

7.12. საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგებს: გადაწყვეტილება – კანონიერ ძალაში შესულის შემდეგ იძენს უდავობისა და სავალდებულობის თვისებას, რაც იმას გულისხმობს, რომ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს, არ შეუძლიათ სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობაზე.

7.13. სსსკ-ის 142-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი, მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

7.14. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ მუხლზე მითითებით განმარტა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული მორიგების განჩინების აღსრულების ვადა შეადგენს 10 წელს ამ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან, კონკრეტულ შემთხვევაში კი ეს ვადა გასული არ არის, რაც გამორიცხავს მოსარჩელის სარჩე-

ლის დაკმაყოფილებას სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შესახებ.

### **8. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

8.1. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

8.2. კასატორმა გაიმეორა ის პრეტენზიები, რაც სარჩელში ჰქონდა და ასახული (იხ. ამ განჩინების 3.2-3.3 ქვეპუნქტები).

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, საქმის მასალები და მიმჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

9. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის, საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიეუთვნება, არამედ – უფლების სადაცობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, ნარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიეუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02.03.2017 წ; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №ას-937-887-2015, 10.11.2015წ.; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-773-730-

2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-323-308-2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.06.2016წ; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

10. აღსანიშნავია, რომ სარჩელის ინსტიტუტის საპროცესო კლასიფიკაცია შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზით და დოქტრინაში განვითარებული შეხედულებით. სარჩელთა ძირითად სახეებად გვევლინება მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი სარჩელები. პირველი ორი ჯგუფის სარჩელების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ამ ტიპის სარჩელებზე მიღებული გადაწყვეტილება რეალური, აღსრულებადი გადაწყვეტილებაა და ამიტომ მათ აღსრულებად სარჩელადაც მოიხსენიებენ. რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, ის ასევე დარღვეული, თუ სადაცოდ ქცეული უფლების დაცვის საპროცესო სამუალებაა, თუმცა, აღიარებითი სარჩელის მიმართ საკანონმდებლო დათქმები განსხვავებულია.

11. იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღმდერით. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი. სსსკ-ის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, კერძოდ: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

12. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულების შეწყვეტილად აღიარება მოსარჩელის შესაძლო დარღვეული უფლების აღდგენის ნინაპირობა ვერ გახდება, ვინაიდან, სარჩელით არ არის მოთხოვნილი რაიმეს მიკუთვნება ან შესრულება, ხოლო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, საუთარი ინიციატივით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია (სსსკ-ის 248-ე მუხლი).

13. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის – შეწყვეტილად იქნეს აღიარებული მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულება და სააღსრულებო წარმოება

შეწყდეს, იურიდიული ინტერესი ბუნდოვანი და გაურკვეველია. თუ მოსარჩელეს, როგორც კრედიტორს, შესრულების მიღების ინტერესი არ აქვს, მას შეუძლია უარი თქვას შესრულების მიღებაზე, თუმცა მოსარჩელეს, როგორც მოვალეს კანონით არ ენიჭება უფლება უარი განაცხადის კრედიტორის (განსახილველ შემთხვევაში ან გარდაცვლილის უფლებამონაცვლის) წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, ინტერესის დაკარგვის გამო. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, შესაბამისად, მოსარჩელის სუბიექტური შეფასება, თუ რატომ არ უნდა აღსრულდეს მხარეთა შორის სასამართლოს განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტი, ამ აქტის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულება ან გარდაცვლილის უფლებამონაცვლის წინაშე, სრულიად დაუსაბუთებელი და უკანონოა.

14. საკასაციო სასამართლო, განსახილველი საკითხის სიცხადის მიზნით მოიშველიებს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციას, რომლის მე-6 მუხლით აღიარებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განსილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფუძნებიან და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომნურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა არ მოჰყვება შედეგად.

15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულების სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯდარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, par. 30). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის იმ პრეტენზიებზე, რომელთაც საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

16. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი განუხილველად უნდა დარჩენილიყო საქმისწარმოების პირველივე ეტაპზე.

შესაბამისად, არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი.

17. ამასთან, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან, საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 399-ე, 372-ე მუხლებითა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამავე კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები).

18. კასატიკის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში (სსსკ-ის 187.2 მუხლი).

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 187.2, 408.3 მუხლებით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ო. ც-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. ო. ც-ძის სარჩელი დარჩეს განუხილველად;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

#### განხილვა საქართველოს სახალი

№ას-1665-2019

10 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს სავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდეგში: დეპარტამენტი, განმცხადებელი, პირველი საჩივრის ავტორი ან საარბიტრაჟო მოსარჩელე) თავმჯდომარის ი. ქ-ის განცხადება დამაყოფილდა ნაწილობრივ:

1.1. დეპარტამენტის საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, სს „ტ.კ.ჭ.-ს ფილიალი ტოლინი ს.პ.ა. ფ.თ“-ს (ს/ნ ...; შემდეგში: სს, მეორე საჩივრის ავტორი, საარბიტრაჟო მოპასუხე ან კონტრაქტორი) აეკრძალა მის სახელზე რეგისტრირებული, 171 ერთეული სატრანსპორტო საშუალების განცარგვა და უფლებრივად დატვირთვა, რაც გულისხმობს ამ სატრანსპორტო საშუალებების გასხვისების, დაგირავებისა და მესამე პირების სასარგებლოდ მათი უფლებრივად დატვირთვის აკრძალვას;

1.2. ასევე, ყადაღა დაედო, სს „ს. ბ-ში“, სს-ის სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშზე – GE16B#00000002543... არსებულ ფულად სახსრებს – 113 105 997.00 ლარის, 5 415 262.38 ევროსა და 4 621 461.62 აშშ დოლარის ფარგლებში, მაგრამ ანგარიშზე არსებული, ან/და ჩარიცხული თანხის არაუმეტეს 50%-ისა;

1.3. არ დაკმაყოფილდა დეპარტამენტის მოთხოვნა, 113 105 997 ლარის, 5 415 262.38 ევროსა და 4 621 461.62 აშშ დოლარის ფარგლებში, ერთობლივი საწარმოს – T.C.G... S.p.a – T.C.I. E. & C.Co. L-ის

მიერ, სს „ს. ბ-ში“ გახსნილ საბანკო ანგარიშზე – GE39BG000000319..., არსებულ ფულად სახსრებზე ყადაღის დადების ნაწილში;

1.4. არ დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა, 113 105 997 ლარის, 5 415 262.38 ევროსა და 4 621 461.62 აშშ დოლარის ფარგლებში, ერთობლივი სანარმოს – T.c.G.. S.p.a – T.C. . & C.C. L.-ის ფულად მოთხოვნებზე ყადაღის დადების თაობაზე, დეპარტამენტის მიმართ, რაც გამომდინარებს 2013 წლის 11 მარტს, E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისის ახალი შემოსავლელი გზის მშენებლობის მიზნით გაფორმებული EWHIP/CW/ICB-03 ხელშეკრულებიდან. ასევე არ დაკმაყოფილდა დეპარტამენტის მოთხოვნა ერთობლივი სანარმოსათვის – T.c.G.. S.p.a – T.C. & C.C. L.-სათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხისა და სხვა თანხების მოთხოვნისა და მიღების აკრძალვის თაობაზე;

1.5. არ დაკმაყოფილდა დეპარტამენტის მოთხოვნა – „აეკრძალოს დეპარტამენტს, ერთობლივ სანარმოსა და დეპარტამენტს შორის, 2013 წლის 11 მარტს, E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისის ახალი შემოსავლელი გზის მშენებლობის მიზნით გაფორმებული EWHIP/CW/ICB-03 ხელშეკრულების ფარგლებში, ერთობლივი სანარმოს – T.c.G.... S.p.a – T.C. . & C.C. L.-ს მოთხოვნის საფუძველზე დაყენებული ან მომავალში დასაყენებელი ნებისმიერი თანხის გადახდა, 113 105 997 ლარის, 5 415 262.38 ევროსა და 4 621 461.62 აშშ დოლარის ფარგლებში“;

1.6. განმცხადებელს, ამ განჩინების ჩაბარებიდან 10-დღიანი ვადა მიეცა საარბიტრაჟო სარჩელის წარსადგენად და განემარტა, რომ თუ იგი სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ წარადგენდა საარბიტრაჟო სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით, ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანდა განჩინებას, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიების გაუქმების შესახებ.

2. სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 18 ოქტომბრის განჩინება საჩივრით გაასაჩივრეს როგორც განმცხადებელმა, ასევე სს-ამ. პირველი საჩივრის ავტორმა გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და განცხადების სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა, ხოლო მეორე საჩივრის ავტორმა – გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება. საარბიტრაჟო მოპასუხემ ასევე მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შეჩერება.

3. პირველი საჩივრის ავტორის განმარტებით, დეპარტამენტის მიერ განცხადებით მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება (რაც გათვალისწინებულია სა-

დავონ განჩინებით) საკმარისი არ არის საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, შემდგომში მნიშვნელოვნად გართულდება ან შეუძლებელი გახდება დეპარტამენტის კანონიერი ინტერესების განხორციელება, ვინაიდან არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ საარბიტრაჟო მოპასუხე, სასარჩელო მოთხოვნებისაგან თავის დაღწევის მიზნით, განახორციელებს ისეთ ქმედებას, რაც საბოლოოდ შეუძლებელს გახდის ან დააბრკოლებს სს-ის ინტერესების სანინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. აღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა, მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას პირველი საჩივრის ავტორის ქონებრივ ინტერესებს.

4. განმცხადებლის განმარტებით, არსებობს რეალური საფრთხე, რომ საარბიტრაჟო მოპასუხის მიმართ სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ონისისძიებების დროულად გაუტარებლობის შემთხვევაში, განკარგული იქნება შესაბამისი ქონება და ფულადი სახსრები, რაც შემდგომში ფაქტობრივად გამომრიცხავს ან/და გააძნელებს დეპარტამენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამ ქმედებით კი დიდი ზიანი მიადგება სახელმწიფოს ინტერესებს, რაც ნეგატიურად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტზე, რომელიც დაკარგვას დიდი ოდენობით ფულად სახსრებს, 113 105 997 ლარს, 5 415 262.38 ევროსა და 4 621 461.62 აშშ დოლარს.

5. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა კონტრაქტორის (სს) შემდგომი ქმედებების მნიშვნელოვანი რისკი – დეპარტამენტის მიერ წარდგენილი კორესპონდენციებით ნათელია, რომ კონტრაქტორი, საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, ხელს შეუშლის გადაწყვეტილების აღსრულებას. ის არ აპირებს ინჟინირის მიერ, ხელშეკრულების შესაბამისად, მიღებული სამართლიანი განსაზღვრების აღსრულებას და დეპარტამენტისთვის კუთვნილი თანხების, მათ შორის, პირდაპირ გადახდილი ავანსის თანხის – 16 565 089.20 ლარის, 2 099 584.17 ევროსა და 2 293 158.52 აშშ დოლარის ანაზღაურებას. დეპარტამენტის მოთხოვნების მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებით სასამართლომ კონტრაქტორს დაუტოვა შესაძლებლობა, თავი აარიდოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მისი ვალდებულებების შესრულებას და მნიშვნელოვნად გაართულოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული თანხების ანაზღაურების პროცესი.

6. **პირველი საჩივრის ავტორის განმარტებით**, სასამართლომ არ გაითვალისწინა ერთობლივ საწარმოში – T.c.G... S.p.a – T.C. & C.C. L.-ში წარმყვანი პარტნიორის – T.c.G... S.p.a-ს როლი. კერძოდ, კონტრაქტორის წილობრივი მონაწილეობა ერთობლივ საწარმოში შე-

ადგენს 60%-ს და მას, ერთობლივი საწარმოს ფარგლებში, თანხების სრულად განკარგვის უფლება აქვს. შესაბამისად, როგორც კი მოხდება თანხის ანაზღაურება ერთობლივი საწარმოსთვის – T.c.G... S.p.a – T.C. & C.C. L.-ისათვის, ეს თანხები მიექცევა კონტრაქტორის განკარგვის სფეროში, რასაც ის დიდი ალბათობით სრულად გამოიყენებს.

7. საარბიტრაჟო მოსარჩევებ აღნიშნა, სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ 2013 წლის 11 მარტს გაფორმებული EWHIP/CW/ICB-03 ხელშეკრულების ფარგლებში დეპარტამენტი წარმოადგენს სხვა პირს. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, მოთხოვნას თანხის გადახდაზე ერთობლივი საწარმო – T.c.G... S.p.a – T.C. & C.C. L. წარდგენს ინჟინერს და ინჟინერი გამოსცემს გადახდის სერტიფიკატს (როგორც ეს მითითებულია დეპარტამენტის საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაში). ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ერთობლივ საწარმოს – T.c.G... S.p.a – T.C. & C.C. L.-ს უკვე წარდგენილი აქვს 2019 წლის 18 სექტემბერს საბოლოო ანგარიშმსწორების სერტიფიკატის პროექტი ინჟინირისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ ერთობლივ საწარმოს – T.c.G... S.p.a – T.C. & C.C. L.-ს აეკრძალოს თანხის მოთხოვნის უფლება, არამედ დეპარტამენტს აეკრძალოს მისთვის თანხის გადახდა ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

8. განმცხადებელმა აღნიშნა, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ დეპარტამენტს არ ექნება ბერკეტი, არ აუნაზღაუროს მოთხოვნილი თანხა ერთობლივ საწარმოს. იმ შემთხვევაში, თუ დეპარტამენტი არ გადაიხდის ამ თანხებს, მას დაეკისრება პირგასასმტებლო ფინანსური ხარჯის სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2013 წლის 11 მარტს გაფორმებული EWHIP/CW/ICB-03 ხელშეკრულების ზოგადი პირობების 14.8 მუხლის შესაბამისად, რაც გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დამატებითი ხარჯის განევას. იმ შემთხვევაში კი, თუ დეპარტამენტს აეკრძალება ერთობლივი საწარმოსთვის – T.c.G... S.p.a – T.C. & C.C. L.-ისთვის თანხების გადახდა ამ ხელშეკრულების ფარგლებში, მაშინ სახელმწიფო ბიუჯეტი არ დაკარგავს ზედმეტ თანხებს ფინანსური ხარჯის სახით და შეუნარჩუნდება ის თანხები, რომლებიც შემდგომში გამოყენებული იქნება ზიანის ანაზღაურების მექანიზმად საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

9. მეორე საჩივრის ავტორის განმარტებით, არ არსებობდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები. საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც მოცემულია N EWHG/CW/ICB-03 ხელშეკრულების მე-20 მუხლში, ნაადრევია განმცხადებლის მიერ საარბიტ-

რაუო სასამართლოსათვის მიმართვა, რადგან მხარეთა შეთანხმების მიხედვით, დავა განხილული უნდა იქნეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავების განმხილველი საბჭოს მიერ, რისთვისაც 20.4 პუნქტით გათვალისწინებულია 84 დღე, თუ სხვა ვადა არ იქნება შეთანხმებული. დავების განმხილველი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, თუ ასეთი გადაწყვეტილება არ გახდება სავალდებულო და საბოლოო, მხარეებმა დავის გადაწყვეტა უნდა შეეცადონ მორიგების გზით, რისთვისაც იმავე ხელშეკრულების 20.5 პუნქტი აწესებს 56 დღეს. მხარეთა შორის მორიგების შეუძლებლობის შემთხვევაში, დავა საბოლოოდ უნდა გადაწყვეტის არბიტრაჟის გზით. განსახილველ შემთხვევაში, არბიტრაჟისათვის მიმართვამდე განმცხადებელს ამონურული არ აქვს დავის გადაწყვეტის სავალდებულო წინაპირობები, რის გამოც ის უფლებამოსილი არ არის, კანონით დადგენილ 10-დღიან ვადაში აღძრას საარბიტრაჟო სარჩელი. სასამართლომ კი ისე დააკმაყოფილა განმცხადებლის შუამდგომლობა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, რომ არ იმსჯელა და არც კი მიუთითა საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, რომელზედაც მას სავალდებულო წესით უნდა ემსჯელა სსსკ-ის 356<sup>18</sup>-ე მუხლის დანაწესი-დან გამომდინარე.

10. საარბიტრაჟო მოპასუხის მტკიცებით, განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნილი იქნა არაუფლებამოსილი პირის მიერ. სადაც განჩინების მიხედვით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის № 1589 განკარგულებით განისაზღვრა საარბიტრაჟო დავის დაწყება და დადგინდა, რომ სახელმწიფო ონტერესების დამცველად საერთაშორისო არბიტრაჟში განისაზღვრა იუსტიციის სამინისტრო. მიუხედავად ამისა, განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შეტანილი იქნა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლის და არა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის მიერ.

11. ამასთან, სასამართლომ არ დაასაბუთა, რატომ არის გადაუდებელი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ასევე არ გაითვალისწინება საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებები და მისი გადაწყვეტილების აღსრულებადობა ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად.

12. **მეორე საჩივრის ავტორმა აღნიშნა, დაუსაბუთებელია განმცხადებლის მითითება, რომ საარბიტრაჟო მოპასუხეს არ გააჩნია საკმარისი ქონება, გინაიდან მის ხელშემკვრელ მხარეს წარმოადგენს არა საქართველოში მოქმედი უცხოური საწარმოს ფილიალი, არამედ წარმატებული კომპანია – T.c.G... S.p.A, რომელიც მთელი**

მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებს პროექტებს, რომელთა ჯამური ლირებულება რამდენიმე მილიარდი ევროა. კომპანიის მხრიდან ქონების გასხვისების თაობაზე საფრთხის მითითებისას, სასამართლოს უნდა შეეფასებინა, რამდენად არსებობდა რისკი, რომ სს, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებს საქმიანობას, შეწყვეტს ყველა მიმღინარე პროექტს და გაასხვისებს საკუთარ აქტივებს, განმცხადებლის მიმართ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით.

13. **საარბიტრაჟო მოპასუხის განმარტებით, სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას არ დაიცვა უფლებათა დაცვის პროპორციულობის პრინციპი, არ დაიცვა სამართლიანი ბალანსი მხარეთა ინტერესებს შორის და საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოიყენა უკიდურესი, საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების და ასევე, სატრანსპორტო საშუალებების გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვის ღონისძიება, რითაც ხელყო საარბიტრაჟო მოპასუხის შესაძლებლობა, შესარულის მესამე პირთა წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. გარდა ამისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ნეგატიური ეფექტი, რომელიც გარდაუვლად ექნება გასაჩივრებულ განჩინებას საერთაშორისო კონტრაქტორის საქმიანობაზე, რომელიც საფრთხის წინაშე აყენებს კომპანიის საქმიანობას საქართველოში და მის შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში გამოცხადებულ ტენდერებში და აღებული ვალდებულებები შეასრულოს.**

14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ნოემბრის განჩინებით დეპარტამენტისა და სს-ის საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 18 ოქტომბრის განჩინები და საჩივრები, საქმის მასალებთან ერთად, საკასაციო სასამართლოში გადმოიგზავნა.

15. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 356<sup>13</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით, 356<sup>14</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) 23-ე მუხლით, სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 192-ე მუხლის პირველი ნაწილით და განმარტა, რომ კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩევე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სარჩელის აღქრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩევე უნდა მიუთითოს და დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სარ-

წმუნო და დამაჯერებელ საფუძველზე, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკამაყოფილება, თუმცა ეს დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს.

16. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით დასკვნა, რომ დეპარტამენტსა და სს-ს შორის 2017 წლის 27 ივნისს, გაფორმდა №EWHG/CW/ICB-03 ხელშეკრულება, E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის სამტრედია – გრიგოლეთის საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობის შესახებ. ხელშეკრულების ლირებულება 138 042 409.99 ლარს შეადგინდა. კონტრაქტორს სამუშაოების დაწყების უფლება მიეცა 2017 წლის 12 ივლისიდან. ხელშეკრულების ზოგადი და სპეციალური პირობების 1.1.3.3 პუნქტის შესაბამისად, მას სამუშაოები უნდა დაესრულებინა 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში, ანუ 2019 წლის 12 ივლისს.

17. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მითითებით, კონტრაქტორი მუდმივად არღვევდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ინჟინერმა ორჯერ მისცა კონტრაქტორს გამოსწორების შეტყობინება და მოუწოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაკენ, თუმცა უშედეგოდ. სამუშაოების დასრულების ვადის 79%-ის გასვლის, კერძოდ, სამუშაოების დაწყებიდან 19 თვის შემდეგაც, კონტრაქტორს შესრულებული ჰქონდა სამუშაოების დახლოებით 2%. დეპარტამენტის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, კონტრაქტორმა არ წარმოადგინა შესაბამისი საბანკო გარანტიები და ვერ უზრუნველყო, დაებრუნებინა დეპარტამენტისათვის, მის მიერ მიღებული დაუქვითავი ავანსის თანხა 16 565 089.20 ლარი, 2 099 584.17 ევრო და 293 158.52 აშშ დოლარი. დეპარტამენტმა 2019 წლის 18 თებერვალს კონტრაქტორს გაუგზავნა ხელშეკრულების შეწყვეტის წერილი. 2019 წლის 4 მარტს კა დაადასტურა ხელშეკრულების ზოგადი პირობების 15.2 პუნქტით ხელშეკრულების შეწყვეტისთვის გათვალისწინებული 14-დღიანი პერიოდის გასვლა და ხელშეკრულების შეწყვეტა გახდა ეფექტური. განმცხადებელმა მიუთითა, რომ 2017 წლის 27 ივნისის №EWHG/CW/ICB-03 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ის აპირებს საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას სს-ის წინააღმდეგ, 113 105 997 ლარის, 5 415 262.38 ევროს და 4 621 461.62 აშშ დოლარის დაკამაყოფის მოთხოვნით. შესაბამისად, სარჩელი, რომლის უზრუნველყოფა მოახდინა სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით, მიკუთვნებითი კატეგორიისაა, ანუ ის წარმოად-

გენს აღსრულებით სარჩელს. ეს კი იმას გულისხმობს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლაზე (როგორც ეს აღიარებითი სარჩელის შემთხვევაშია), არამედ – მოპასუხის ნებაზე. ასეთი ნების არარსებობის შემთხვევაში კი, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს გადაწყვეტილების დაცვას შესაძლო დაბრკოლებისაგან აღსრულების ეტაპზე.

18. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დამოკიდებულია ვარაუდზე, რომ შესაძლოა მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნებისაგან თავის დაღწევის მიზნით განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც საბოლოოდ შეუძლებელს გახდის მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლო არ იკვლევს სარჩელის საფუძვლიანობას და მის დასაბუთებულობას, არამედ ხელმძღვანელობს სამართლებრივი დასკვნით, რომ შესაძლოა სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

19. განსახილველ შემთხვევაში, დეპარტამენტის განცხადებამ სააპელაციო სასამართლოს შეუქმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობით, საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეიძლება საფრთხე შეექმნას გადაწყვეტილების აღსრულებას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მეორე საჩივრის ავტორის მტკიცება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობების არარსებობის თაობაზე და განმარტა, რომ მეორე საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემონებები საარბიტრაჟო სარჩელის აღდერის დაუშვებლობისა და მისი დაუსაბუთებლობის შესახებ არ შეიძლება სადაცო განჩინების გაუქმების საფუძველი გახდეს, ვინაიდან მხარის მიერ მითითებული ეს გარემონებები, წარმოადგენს საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის მიღებისა და სარჩელის არსებითი განხილვის საგანს და მასზე საარბიტრაჟო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სარჩელის მიღებისა და საქმის არსებითი განხილვის დროს. გარდა ამისა, დაუსაბუთებელია საჩივრის ავტორის მტკიცება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საგანსა უფლებათა დაცვის პროპორციულობის დარღვევისა და არაადეკვატური უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, ვინაიდან, სასამართლომ სწორედ მოსარჩელის უფლებასა და მოპასუხის ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვის მიზნით გამოიყენა სარჩელის უზრუნველყოფის

ღონისძიება და ყადაღა დაადო მოპასუხის კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, მაგრამ ანგარიშზე არსებული, ან/და ჩარიცხული თანხის არაუმეტეს 50%-ისა. ასევე, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით არ გამოიყენა ყადაღა მოპასუხის კუთვნილ მოძრავ ქონებაზე და მიიჩნია, რომ მოძრავი ქონების (სატრანსპორტო საშუალებების) გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვით საჯმარისად იქნებოდა უზრუნველყოფილი როგორც მოსარჩელის მოთხოვნის აღსრულების შესაძლებლობა, ასევე, უძრავი ქონების მესაკუთრის ინტერესები – სამეწარმეო მიზნებისათვის, დანიშნულებისამებრ ისარგებლოს უძრავი ქონებით.

20. სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნიაა მეორე საჩივრის ავტორის მტკიცება, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განცხადების არაუფლებამოსილი პირის მიერ აღძვრის შესახებ. აღსანიშნავია, რომ საქმეზე წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ხელშემკვრელ და საარბიტრაჟო დავის წარმოებაზე უფლებამოსილ პირს წარმოდგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომელმაც კანონით დადგენილ 10-დღიან ვადაში, 2019 წლის 25 ოქტომბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლობით და საერთაშორისო იურიდიული კომიანის – White and Case-ს მეშვეობით აღძრა საარბიტრაჟო სარჩელი საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟში.

21. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით მან უზრუნველყო პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, სამართლიანი ბალანსის დაცვა მხარეთა ინტერესებს შორის.

22. ასევე უსაფუძვლოა პირველი საჩივრის ავტორის მოთხოვნა ერთობლივ საწარმოსთან – T.c.G... S.p.a – T.C. & C.C. L.-სთან მიმართებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების შესახებ, ვინაიდან სსსკ-ის 191-ე მუხლის დისპოზიციის თანახმად, განვითარებლის მიერ მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება პირდაპირ კავშირში უნდა იყოს აღძრულ „ან აღსაძრავ სარჩელთან. ამასთან, სსსკ-ის 198-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებები (ყადაღის დადება და მოქმედების შესრულების აკრძალვა) დასაშვებია გამოყენებული იქნეს მოპასუხის სტატუსის მატარებელი პირის მიმართ. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს სხვა პირებისათვის აკ-

რძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება.

23. სსსკ-ის 194-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულებას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია გარკვეული დროით შეაჩეროს აღსრულება ან გააუქმის უზრუნველყოფისათვის უკვი მიღებული ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ მეორე საჩივრის ავტორს რაიმე გარემოებებზე, რომელთა საფუძველზეც სააპელაციო სასამართლოს შეექმნებოდა რწმენა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეჩერების აუცილებლობის ან მიზანშეწონილობის თაობაზე, არ მიუთითებია. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ მოთხოვნის აღძვრა და სათანადო არგუმენტების გარეშე, ზოგადი ხასიათის მითითება მოსალოდნელ შესაძლო ზიანზე, საკმარისი არ არის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მოქმედების შესაჩერებლად.

24. საარბიტრაჟო მოსარჩელემ 2020 წლის 22 იანვარს განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და წარმოადგინა საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 2019 წლის 28 ოქტომბრის წერილი, რომელშიც საარბიტრაჟო სასამართლოს სამდივნო ადასტურებს დეპარტამენტის საარბიტრაჟო სარჩელის განსახილველად მიღებას 2019 წლის 25 ოქტომბრიდან და მიუთითებს, რომ საარბიტრაჟო განხილვა დაწყებულია ამ თარიღიდან. განცხადებას ასევე ერთვის საერთაშორისო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი, რომლითაც საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო აქვეყნებს განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციას საერთაშორისო ტრიბუნალისთვის.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი საჩივრებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ნოემბრის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2019 წლის 18 ოქტომბრის განჩინება.

25. სსსკ-ის 399-ე მუხლის საფუძველზე, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც სსსკ-ის XLIX თავი შეიცავს. სსსკ-ის 197-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამავე კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

26. სპეციალური კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსსკ-ის 356<sup>18</sup>-ე, 192-ე, 198-ე, 191-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. იმისთვის, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იქნებს გამოყენებული, უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, კერძოდ, განცხადებაში უნდა მიეთითოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გამო უზრუნველყოფის ღონისძიებების მიუღებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გაზდის გადაწყვეტილების აღსრულებას და, ასევე, მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფის იმ ღონისძიებებზე, რომელთა გატარებაც განმცხადებელს მიზანშეწონილად და გამართლებულად მიაჩნია.

27. სარჩელის უზრუნველყოფა დამოკიდებულია ვარაუდზე, რომ შესაძლოა მოპასუხემ სასაარჩელო მოთხოვნებისაგან თავის დაღწევის მიზნით განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც საბოლოოდ შეუძლებელს გახდის მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლო არ იკვლევს სარჩელის საფუძვლიანობას და მის დასაბუთებულობას, არამედ ხელმძღვანელობს სამართლებრივი დასკვნით, რომ შესაძლოა სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს (შდრ. სუსგ ას-16-354-09, 05.02.09 წ.).

28. სსსკ-ის 192-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღმდეგ.

29. დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სარჩელის აღდვრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სარწმუნო და დამაჯერებელ საფუძველზე, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

30. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული განჩინებით გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის აღდვრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიება მართლზომიერია შემდეგ გარემოებათა გამო (შდრ. სუსგ №ას-1586-2018, 26.10.18 წ.):

30.1. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, პირველი საჩივრის ავ-

ტორის (დეპარტამენტის; საარბიტრაჟო მოსარჩელის) ძირითადი მოთხოვნა და პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ იგი დამატებით ითხოვს საარბიტრაჟო სარჩელის აღმცრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებას და მიმწევს, რომ უკვე გამოყენებული ზომები საკმარისი არ არის, შესაძლოა საარბიტრაჟო მოპასუხემ ქონება გაასახვისოს და საბოლოოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობის საფრთხე დადგეს (იხ. წინამდებარე განჩინების 3-8 პუნქტები);

30.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში ამახვილებს ყურადღებას კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითად დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (იხ. საქმე შპს „იზა“ და მაკრაზიძე საქართველოს წინააღმდეგ“). სხვა საქმეში ევროსა-სამართლომ ასევე განმარტა, რომ სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ – ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება (იხ. Hornsby, cited above, §§ 40 and seq.);

30.3. მოცემულ შემთხვევაში, საარბიტრაჟო სარჩელის დავის საგანია თანხის დაკისრება. ასეთი სარჩელი კი არის მიუუთვნებითი, ანუ აღსრულებითი სარჩელი, რაც მართებულად განმარტა სააპელაციო სასამართლომ. ეს წინავს, რომ სარჩელის დაკამაყიფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დაგომა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლაზე, არამედ – ასევე მოპასუხის ნებაზე – განახორციელოს გარკვეული მოქმედება, გადაიხადოს დაკისრებული თანხა. თანხის გადახდის თაობაზე ნების არარსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა დამოკიდებული ხდება ისეთ საშუალებაზე, როგორიცაა იძულებითი აღსრულება.

30.4. ვინაიდან შეუზღუდულია მესაკუთრის ნება, განახორციელოს საკუთარი ქონების მიმართ სამართლებრივი შედეგის მქონე

მოქმედებები, მაგალითად გაყიდვა, გაჩუქრება და სხვა, მოცემულ შემთხვევაში არ არის უსაფუძღლო, რომ საარბიტრაჟო მოპასუხემ, სხვადასხვა მოტივით, განახორციელოს მითითებული მოქმედებები და უძრავი ქონება აღმოჩნდეს მესამე პირთა, შესაძლო კეთილსიზისირ პირთა მფლობელობაში. ასეთ შემთხვევაში, თუკი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის არ იარსებებს ქონება, რომელზედაც შესაძლოა მიქცეულ იქნეს იძულებითი აღსრულება, გადაწყვეტილება იქცევა აღუსრულებელ გადაწყვეტილებად, ხოლო სარჩელის მიზანი მიღწეული ვერ იქნება. შესაბამისად, საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადება შეიცავს შესაბამის დასაბუთებას გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის თაობაზე.

30.5. სსკ-ის 198.1 მუხლის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხს სასამართლო წყვეტს იმის მიხედვით, თუ როგორია სასარჩელო მოთხოვნის ხასიათი და შინაარსი. საქმის გარემონტების და სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით, სასამართლოს მართებულად მიჩნია საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იმ ფარგლებში, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა, რამდენადაც ამგვარი შეზღუდვით უზრუნველყოფილი იქნება საარბიტრაჟო მოსარჩელისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების აღსრულება.

30.6. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის აღდვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიება სრულად ამართლებს სარჩელის უზრუნველყოფის მიზანს და იცავს საარბიტრაჟო მოსარჩელეს შემდგომში შესაძლო მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დაბრკოლებისაგან. სწორედ ამიტომ არ არსებობს არც დამატებითი ღონისძიებების გამოყენების და არც უკვე არსებულის გაუქმების წინაპირობები; პირველი საჩივრის ავტორი დამაჯერებლად ვერ ასაბუთებს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველსაყოფად უკვე გამოყენებული ღონისძიებების გარდა, დამატებითი ღონისძიებების გამოყენების საფუძველს.

30.7. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო მოსარჩელის სასარგებლოდ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება სარჩელის აღდვრამდე სავსებით აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს და შესაბამება საკასაციო სასამართლოს პრაქტიკას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას უზრუნველსაყოფი მოთხოვნის მოცულობის გათვალისწინებით მოპასუხის უფლების

პროპორციულად შეზღუდვის თაობაზე. საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარეთა ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბეჭედზე გავლენას ვერ მოახდენს. აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალურია, როდესაც საუბარია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაზე (შეად. სუსგ-ებს №ას-437-437-2018, 28.05.2018წ.; №ას-1586-2018, 26.10.2018წ.). ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და დასაბუთებული, შესაბამისად, უარყოფილია პირველი საჩივრის აეტორის პრეტენზია.

31. მეორე საჩივრის ავტორი (კონტრაქტორი; საარბიტრაჟო მოპასუხე) საარბიტრაჟო სარჩელის აღმდეგამდე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას ითხოვს და მიიჩნევს, რომ დარღვეულია საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის პროცედურა, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება არაუფლებამოსილი პირის მიერაა წარდგენილი, სასამართლომ არ გაითვალისწინა ნიუ-იორკის კონვენციის მოთხოვნები, გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის არაპროპორციული ზომა და არ არსებობს საარბიტრაჟო მოსარჩელის სასარგებლოდ შესაძლო გადაწყვეტილების აღსურულებლობის საფრთხე; გასაჩივრებული განჩინებიდან არ იკვეთება, მიუთითა თუ არა განმცხადებელმა სასამართლოს, რომ ხელშეკრულების მე-20 მუხლის თანახმად, რომელშიც საარბიტრაჟო შეთანხმებაზეა მითითება, საარბიტრაჟო მოსარჩელემ და-არღვია დასახელებული მუხლის მოთხოვნა; სასამართლომ იმსჯელა და ისე დააკმაყოფილა შუამდგომლობა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, რომ არც კი მიუთითა საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, რომელზედაც ვალდებული იყო, ემსჯელა სსსკ-ის 356<sup>18</sup>-ე მუხლის დანაწესის მიხედვით; სასამართლოს არ დაუსაბუთებია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება რატომ არის გადაუდებელი; სასამართლომ არ გაითვალისწინა საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებანი და მისი გადაწყვეტილების აღსრულებადობა ნიუ იორკის კონვენციის თანახმად; ასევე, არ უმსჯელია, თუ რატომ გართულდებოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილე-

ბის აღსრულება; გასაჩივრებული განჩინებით არ არის დაცული მხარეთა ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსი და საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოიყენა უკიდურესი ზომა – საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება; სასამართლომ არ გაითვალისწინა მოდავე მხარეებისა და დავის თავისებურებები, საერთაშორისო კონტრაქტორს აუკრძალა სატრანსპორტო სამუალებების განკარგვა ან უფლებრივად დატვირთვა, რომელიც სამუშაოთა სანარმოებლად გამოიყენება, რითაც ეს სამუალებები შეზღუდა საქართველოში ფილიალის საქმიანობით; სასამართლომ არ შეაფასა საერთაშორისო კონტრაქტორის საქმიანობაზე ის ნეგატიური ეფექტი, რომელიც გარდაუვალი იქნება გასაჩივრებული განჩინებიდან გამომდინარე, რადგან საფრთხის წინაშე დგება კონტრაქტორის საქმიანობა საქართველოში და მისი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ტენდერებში როგორც საქართველოში, ისე – მის ფარგლებს გარეთ და შეასრულოს აღებული ვალდებულებები;

31.1. საარბიტრაჟო მოპასუხებ მიუთითა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლსა და სსსკ-ის 356<sup>18</sup>-ე მუხლის მოთხოვნებზე, რომელთა შესაბამისად, დასაშვებია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოიყენების მიზნით სასამართლოსათვის მიმართვა გადაუდებელ შემთხვევაში, რა დროსაც გამოიყენება სსსკ-ის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო თავისებურებათა გათვალისწინებით. საჩივრის ავტორის მტკიცებით, ირლვევა საჯარო მართლწესრიგი, რადგან მოცემულ შემთხვევაში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოიყენება ეწინააღმდეგება ასეთი ღონისძიების გამოიყენების სამართლებრივ საფუძვლებს, რაც მოუწოდებს და/ან ხელს უწყობს მოდავე მხარეს საარბიტრაჟო შეთანხმების დარღვევისაკენ.

31.2. საარბიტრაჟო მოპასუხის საჩივართან დაკავშირებით, პირველ რიგში, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს განცხადების არაუფლებამოსილ პირის მიერ წარდგენაზე, რადგან თუკი ეს პრეტენზია დასაბუთებული იქნებოდა, მაშინ სხვა პროცედურული და სამართლებრივი საკითხების კვლევის საჭიროებას გამოეცლებოდა საფუძველი. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს, წინამდებარე განჩინების მე-20 პუნქტში ასახულ შეფასებას და დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს სახელმწიფოს მისი ინტერესების დაცვის მიზნით იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს (იხ. სამინისტროსათვის მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის №1589 განკარგულება), ხოლო ეროვნულ

სასამართლოში განცხადების შეტანა სწორედ დეპარტამენტის წარმომადგენელს შეეძლო, რადგან დეპარტამენტი არის კონტრაქტორთან ხელშემკვრელი მხარე, კონტრაქტორს არ წარმოუდგენია ამ გარემოების სახითააღმდეგოდ სამართლებრივად წონადი მტკიცებულება. ამდენად, განცხადება უფლებამოსილი პირის მიერ არის წარდგენილი.

31.3. საარბიტრაჟო მოპასუხის (კონტრაქტორის) სხვა პრეტენზიებთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო, უწინარესად, მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81). განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს არსებობს თუ არა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობები. ამ თვალსაზრისით, უპირველესად, საყურადღებოა განცხადების დასაშვებობის საკითხი, რადგან საარბიტრაჟო განხილვა სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლებას კი არ წარმოადგენს, არამედ, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებაა და სასამართლო კონტროლის მინიმალურ სტანდარტს ადგენს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლი „დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული“. სსსკ-ის 356<sup>13</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო განიხილავს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საქმეებს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განხილვის უფლებამოსილება გააჩნია სააპელაციო სასამართლოს (სსსკ-ის 356<sup>13</sup>.3 მუხლი) და სსსკ-ის 356<sup>18</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამოიყენება ამ კოდექსს XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით. მოხმობილი ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფისათვის კანონმდებელი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის დადგენილი სტანდარტით სარგებლობის აუცილებლობას (შეად. სუსგ-ას №ას-1603-2019, 31.01.2020ნ.).

31.4. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხ-

ლის თანახმად, მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ორნისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებაზი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სსსკ-ის XXIII თავით დადგენილი წესებიდან გამომდინარეობს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა საარბიტრაჟო განხილვა საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს. ამასთან, ორივე შემთხვევაში, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს სსსკ-ის XXIII თავით დადგენილი წესები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართალი ან სამართლებრივი სისტემა აირჩიეს მხარეებმა მათ შორის ნარმოშობილი დავის მოსახლესრიგებლად. ეს მსჯელობა შეესატყვისება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსს, რომლის მიხედვით, მხარეთა ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე, გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს. მოხმობილი ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთა მიერ არჩეული სამართლის ნორმები დავის შინაარსობრივი ნაწილის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის ნორმებია. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმება საერთაშორისო არბიტრაჟზე, მათივე შეთანხმებით იმას გულისხმობს, რომ საარბიტრაჟო ნარმოება შედგება ქალაქში, სადაც მდებარეობს მხარეთა მიერ შერჩეული საარბიტრაჟო დაწესებულების მთავარი ოფიციისი ან რომელიმე სხვა ადგილას, რომელიც შერჩეულია შესაბამისი საერთაშორისო წესების საფუძველზე (იხ. ხელშეკრულების 20.6 მუხლი – არბიტრაჟი). შესაბამისად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ, ამ წესების გამოყენებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ნარმოების თავისებურებები. საერთაშორისო არბიტრაჟის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები თავმოყრილია უპირატესად საერთაშორისო ხელშეკრულებებში, კანონებში და საარბიტრაჟო რეგლამენტებში. საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, უპირველესად, აღსანიშნავია 1958 წლის ნიუ-

იორების კონვენცია, რომელზეც მეორე საჩივრის ავტორი უთითებს. დასახელებული კონვენცია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ფუნდამენტია და იგი საქართველოსთვის ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით. მითითებული კონვენცია არ შეიცავს სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შიდა სამართლის გამოყენების ამკრძალავ ნორმებს. უფრო მეტიც, კონვენცია პირდაპირ მიუთითებს ეროვნულ სამართალზე, როცა საკითხი ეხება უცხოური და არაადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცედურას (მუხლი 3). არბიტრაჟთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებიც არსებობს, მაგალითად, საერთაშორისო საგაჭრო არბიტრაჟის შესახებ 1961 წლის ევროპული კონვენცია; ვამინგტონის 1965 წლის კონვენცია; მოსკოვის 1972 წლის და კიევის 1992 წლის კონვენციები, რომლებთანაც საქართველო არ არის მიერთებული და, შესაბამისად, ამ კონვენციებს საქართველოსათვის სავალდებულო ძალა არ გააჩნიათ. საერთაშორისო არბიტრაჟის ნორმატიულ საფუძვლებზე მითითებისას, შეუძლებელია UNCITRAL-ის 1985 წლის (2006 წელს მიღებული ცვილებების გათვალისწინებით) მოდელურ კანონის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ მიუთითებლობა, რომელიც საერთაშორისო არბიტრაჟის მომწერლი რეზომების უნიფიცირებულ კანონს წარმოადგენს. ეს კანონი მიღებულია გაეროს საერთაშორისო საგაჭრო სამართლის კომისიის მიერ, რომელთან დაკავშირებითაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ყველა სახელმწიფომ დადგენილი წესით მხედველობაში უნდა მიიღოს მოდელური კანონი, ვინაიდან სასურველია კანონის ერთგვაროვნება არბიტრაჟის პროცედურებთან და საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის პრაქტიკის კონკრეტულ მოთხოვნებთან მიმართებაში“. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობის უნიფირება მსოფლიო დონეზე, მეორე მხრივ კი, თითოეული სახელმწიფო ინარჩუნებს კანონში მისი სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინების შესაძლებლობას. ზემოხსენებული მოდელური კანონი იმპლემენტირებულ იქნა სამოცდაათზე მეტ ქვეყანასა და შტატში. ქვეყნების ნაწილმა მოახდინა ამ კანონის პირდაპირი რეცეფცია, მასში ცვილებების შეტანის გარეშე. სხვა ქვეყნებმა მიიღეს მოდელური კანონის სუ-

ლისკვეთებით გამოჭვალული თანამედროვე კანონები არბიტრაჟის შესახებ. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი სწორედ ამ მოდელური კანონის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტია, რომელშიც ასახულია მოდელური კანონის ძირითადი დანაწესები, მათ შორის – წესები საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ (შეად. სუსგ-ას №ას-538-511-2013, 03.7.2013წ.);

31.5. საარბიტრაჟო მოპასუხის პრეტენზია, რომ ნაადრევი იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებაზე მსჯელობა იმ პირობებში, როდესაც მას არ გამოუკვლევია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შე-20 მუხლის წინა-პირობები დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

31.5.1. მხარეთა შეთანხმების მიხედვით 20.2 მუხლი ითვალისწინებს დავების გადატანის შესაძლებლობას საპრეტენზიო საბჭოში (DB) და შესაბამისად, 20.3-20.4 მუხლები განსაზღვრავს საპრეტენზიო საბჭოს წევრების შერჩევის, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების, საბჭოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარის მიერ შემდგომი ქმედების წესებსა და პროცედურებს, 20.5 მუხლი კი ადგენს მშვიდობიანი მოგვარების წინაპირობას, რომლის მიხედვით „....თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ, საარბიტრაჟო წარმოება შეიძლება დაიწყოს ორმოცდამეთქვსმეტე დღეს ან მის შემდეგ დაუკმაყოფილებლობის და საარბიტრაჟო წარმოების დაწყების განზრახვის შესახებ შეტყუბინების მიწოდების დღიდან, იმ შემთხვევაშიც კი თუ არ მომხდარა დავის მეგობრულად მოგვარების რაიმე მცდელობა“. ხელშეკრულების 20.6 მუხლის მიხედვით კი, მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ განსაკუთრებულ პირობებში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, წებისმიერი დავა, რომელიც მეგობრულად არ არის მოგვარებული და რომლის მიმართაც DB-ს გადაწყვეტილება (თუ გამოტანლია) არ გახდა საბოლოო და ხელშემკვრელი, საბოლოოდ უნდა გადაწყდეს საერთაშორისო არბიტრაჟის მიერ. საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ 2019 წლის 24 ოქტომბერს კონტრაქტორის (საარბიტრაჟო მოპასუხის) მიმართვის საფუძველზე იმსჯელა დავების საბჭომ წინასწარი საშუალების შესახებ, რომელიც ხებოდა სახელშეკრულებო დებულებებს არბიტრაჟის დაწყებამდე არსებულ პირობებთან დაკავშირებით. დავების საბჭომ თავის გადაწყვეტილებაში, უწინარესად, იმსჯელა იურისდიციის შესახებ და მოუთითა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 20.4, 20.5 და 20.6 მუხლების ფორმულირება არის ნათელი, მაგრამ კონტრაქტორის კითხვაზე, დაირღვა თუ არა ამ დებულებების პირობები, როდესაც დაიწყო საარბიტრაჟო წარმოება წინმსწრები პირობების დაკმაყოფილებამდე, პასუხი არ შეიძლება გაეცეს საქართველოს კანონის იზოლირების

პირობებში, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს გამონაკლი-სებს. საბოლოოდ, დავების საბჭომ უარი განაცხადა კონტრაქტო-რის განცხადების დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ დავე-ბის საბჭოს შესაბამისი იურისდიქცია არ გააჩნია (იხ. დავების საბ-ჭოს გადაწყვეტილება). მიუხედავად იმისა, რომ დავების საბჭოს დასახელებული გადაწყვეტილება, როგორც აღინიშნა, მიღებულია 2019 წლის 24 ოქტომბერს, ანუ სააპელაციო სასამართლოს მიერ 2019 წლის 18 ოქტომბრის განჩინების მიღებამდე, ეს სამართლებ-რივად მაინც არ ცვლის ვითარებას, რადგან სააპელაციო სასამარ-თლომ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შართებულად იმ-სჯელა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით შესა-ბამისი ღონისძიების გამოყენებაზე და მიღო დასაბუთებული გა-დაწყვეტილება; საკასაციო სასამართლომ დავების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე მხოლოდ იმ თვალსაზრისით გაამახ-ვილა ყურადღება, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელემ გამოიყენა კა-ნონით მინიჭებული შესაძლებლობა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო რაც შეეხება საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარ-სზე არსებითად მსჯელობის უფლებამოსილებას, რომელიც, ასე-ვე, მოიცავს, საარბიტრაჟო განსჯის დაწყებამდე მხარეთა შეთან-ხმებით გათვალისწინებულ პროცედურების მართებულობის კვლე-ვასა და შემოწმებას, არც ეს განეკუთვნება საერთო სასამართლო-ების, ამ შემთხვევაში განსჯადობით სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციას, რომლის „ჩარევის“ ფარგლები ძალზედ ფრთხილი და კანონით ზედმინევნით განსაზღვრულია, როგორც ეს დადგე-ნილია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლით, ასევე, მოწესრიგებულია 23-ე მუხლებით და სსსკ-ის XXIII თავით (დასახელებულ ნორმათა დეფინიცია იხ. ზემოთ, შესაბამისად, 31.10-31.11 ქვეპუნქტებში). კონტრაქტორის (საარბიტრაჟო მოპა-სუხის) საჩივრის დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით, საკასა-ციო სასამართლო, ზემოთ მითითებულის გარდა, დაწვრილებით აღარ იმსჯელებს სხვა არარსებით პრეტენზიებზე, რადგან სარჩე-ლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კანონიერება და დასაბუთებულობა სპეციალური კანონისა და საპროცესო კო-დექსის მოთხოვნათა მიხედვით საგვებით კანონიერად და დამა-ჯერებლად არის ასახული სააპელაციო სასამართლოს განჩინება-ში, რომლის გაუქმების საფუძველი არ არსებობს და უცვლელად უნდა დარჩეს.

31.5.2. რაც შეეხება საარბიტრაჟო მოპასუხის პრეტენზიის იმ ნაწილს, რომ კომპანიას მთელ მსოფლიოში აქვს ქონება და არ არ-სებობს მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების აღუსრუ-ლებლობის საფრთხე, საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 196.3 მუხ-

ლზე მითითებით განმარტავს, რომ ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკა საქმეზე გამოყენებული უზრუნველყოფის სახის დაგის საგანთან ადეკვატურობის თაობაზე, არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სარჩელი საერთოდ უზრუნველყოფის გარეშე დარჩეს (იხ. სუსგ №ას-54-2019, 06.06.2019 წ.). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 196-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის შესაძლებლობას, ეს კი საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე დასაშვები მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თუმცა, ეს არ არის მხარის აბსოლუტური უფლება და იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი წინაპირობების არსებობისას (იხ. სუსგ №ას-498-478-2016, 28.07.2016წ.).

32. ზემოხსენებული სამართლებრივი დასაბუთებით, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ წარმოდგენილი საჩივრები დაუსაბუთებელია, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ნოემბრის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2019 წლის 18 ოქტომბრის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 399-ე, 372-ე მუხლებით, 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და T.c.G.. S.p.A.-ს საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ნოემბრის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2019 წლის 18 ოქტომბრის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სარჩელის უზრუნველყოფის ორგანიზაციის გამოყენება

### განხილვა საქართველოს სახელით

№ას-841-2020

23 სექტემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** გარიგების ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. 2019 წლის 11 დეკემბერს მცხეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. გ-მა (შემდეგში – მოსარჩელე ან საჩივრის ავტორი) მოპასუხების დ. მ-ის (შემდეგში – პირველი მოპასუხე) და დ. ს-ას (შემდეგში – მეორე მოპასუხე) მიმართ, რომლითაც მოითხოვა: ა) პირველი მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 15000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება; ბ) პირველ და მეორე მოპასუხეს შორის 2018 წლის 13 ნოემბერს უძრავ ნივთზე ს/კ: ... დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და უძრავ ნივთის მესაკუთრედ პირველი მოპასუხის აღირცხვა.

2. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის განჩინებით სარჩელი არ იქნა მიღებული განსახილველად და გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 ნოემბრის (№12/54-19) განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მეორე მოპასუხეს აეკრძალა მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ნივთის ს/კ: ... გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 13 დეკემბრის განჩინება მოსარჩელემ გაასაჩივრა კერძო საჩივრით, რომელიც მიღებული იქნა წარმოებაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივნისის განჩინებით.

4. მოსარჩელემ/კერძო საჩივრის ავტორმა 2020 წლის 10 ივნისს განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით №... საიდენტიფიკაციო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების

აუცილებლობა, მხარემ დაასაბუთა სადაც უძრავი ნივთის კეთილ-სინდისიერ შემძენზე გასხვისების პირობებში ნამდვილი მესაკუთრის უფლების დარღვევით.

5. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ამ განჩინების პ.4-ში მოხსენიერული განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ონისძიების გამოყენების შესახებ შეიცავს მოსარჩელის მიერ, თავის დროზე, 2020 წლის 05 ივნისს სასამართლოში რეგისტრირებული განცხადების იდენტურ მოთხოვნას.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის კერძო საჩივარი და უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის განჩინება, ხოლო მოსარჩელის მიერ 2020 წლის 05 ივნისსა და 2020 წლის 10 ივნისს რეგისტრირებული განცხადებები (სარჩელის უზრუნველყოფის ონისძიების გამოყენების შესახებ) არ დაკმაყოფილდა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივნისის განჩინება გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ. საჩივარში აღნიშნულია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ 05.06.2020 და 10.06.2020 წელს წარდგენილ განცხადებაზე სასამართლომ განმცხადებელს უარი უთხრა გასაჩივრების უფლების გარეშე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ-ის) 419-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად, ზემდგომი საამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ივლისის განჩინებით საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივნისის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სააპელაციო პალატამ შუალედური ნორმის – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგი – სსსკ-ის) 372-ე მუხლის გამოყენებით იხელმძღვანელა სარჩელის უზრუნველყოფის ამავე კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესებით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 191-ე მუხლზე, რომლის საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია მხარის მოთხოვნის საფუძველზე გამოიყენოს სარჩელისა თუ სასამართლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ონისძიება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს, განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებების შეფასების შედეგად გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძ-

ლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ, ეკისრება განმცხადებელს. აღნიშნული გარემოებების მტკიცების ტვირთი მხარეს ეკისრება იმ ფარგლებში, რომ სასამართლოს შეუქმნას კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების აუცილებლობის რჩება, ვარაუდი. ამასთან, საკმარისია მარტოდენ მითითება ასეთ გარემოებებზე და სავალდებულო არ არის მათი დადასტურება რაიმე მტკიცებულებებით. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია მხოლოდ ალბათობის მაღალი ხარისხით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდი, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, სხვაგვარად, აღნიშნული გარემოებების არსებობის ალბათობა უნდა გადასწონიდეს ვარაუდს მისი არარსებობის შესახებ.

10. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მის მიერ 2020 წლის 10 ივნისის განჩინებაში განვითარებული მსჯელობა, რომლის თანახმად სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მცხეთის არიონული სასამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის განჩინების ძალაში დატოვების პირობებში, განსახილველად არმილებული სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული რომელიმე ღონისძიების შენარჩუნება ან ახალი ღონისძიების გამოყენება შეუძლებელი იყო.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჩივრის ავტორს უარი ეთქვა 05.06.2020წ.-ს და 10.06.2020წ.-ს რეგისტრირებული განცხადებებით მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

12. იმავდროულად, სასკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმატიული შინაარსის განმარტების შედეგად სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შემთხვევაში, ნორმა ითვალისწინებს საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობას, მაგრამ სსკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციური დანაწესი ერთმნიშნელოვნად მიუთითებს, რომ ეს შესაძლებელია განსახილველად მიღებული სარჩელის არსებობის პირობებში, რომლის უზრუნველსაყოფადაც შესაძლებელია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

13. საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლი-სა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილ-

დეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი, დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სსსკ-ის 399-ე და 372-ე მუხლების (შუალედური ნორმები) დისპოზიციური ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებისათვის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმის განხილვის წესებით, თუ აღნიშნული წესები საკასაციო პალატისათვის განსაზღვრულ სპეციალურ ნორმებს არ ენინააღმდეგა.

15. განსახილველ შემთხვევაში, წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საკასაციო პალატის განხილვის საგანია სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით წარდგენილი განცხადებების, რომელიც სასამართლოში რეგისტრირებულია 05.06.2020 წ.-სა და 10.06.2020 წ.-ს, დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ თბილოსის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივნისის განჩინების კანონიერება. აღნიშნული განჩინების კანონიერების შემოწმების მიზნით კი, საკასაციო პალატამ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით. ნორმის დანაწესით მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩინა მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩინდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებას ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება და კამაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

16. ამასთან, სსსკ-ის 199-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ამ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

17. ნინამდებარე საქმეზე დადგენილია, რომ ამ განჩინების პ.1-

ში აღძრული სარჩელის უზრუნველსაყოფად მცხეთის რაიონული სა-სამართლოს მიერ, ერთხელ უკვე იყო გამოყენებული სარჩელის უზ-რუნველყოფის სახით, სადავო უძრავი ნივთის გასხვისებისა და იპო-თეკით დატვირთვის აკრძალვის ღონისძიება (იხ., ამ განჩინების პ.2; მცხეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 ნოემბრის (№12/54-19) განჩინება). თუმცა, გამოყენებული სარჩელის უზრუნველ-ყოფის ღონისძიება გაუქმდა სსსკ-ის 1991-ე მუხლის საპროცესო სა-მართლებრივი საფუძვლით, იმის გამო, რომ მცხეთის რაიონული სა-სამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის განჩინებით სარჩელი არ იქნა მიღებული განსახილველად (იხ., ამ განჩინების პ. 2).

18. დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის განჩინებაზე წარდგენილი იქნა კერძო საჩივარი, რომელსაც აგრეთვე ეთქვა უარი დაკმაყო-ფილებაზე.

19. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სსსკ-ის 419-ე მუხლის პირ-ველი და მე-3 ნაწილების მიხედვით, კერძო საჩივრის თაობაზე გან-ჩინება გამოქაქს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს და მისი გან-ჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

20. მაშასადამე, მოსარჩელის კერძო საჩივრის უარყოფისა და მცხეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის გან-ჩინების უცვლელად დატვირთვის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივნი-სის განჩინება კანონიერ ძალაშია შესული. ეს კი, იმ საპროცესოსა-მართლებრივ შედეგზე მიუთითებს, რომ ნ. გ-ის მიერ აღძრული სარ-ჩელი სასამართლოს წარმოებაში არ არის.

21. რაც შეეხება ნ. გ-ის საჩივარს, რომლითაც მოთხოვნილია მო-სარჩელის/კერძო საჩივრის ავტორის მიერ სასამართლოში 2020 წლის 05 ივნისა და 2020 წლის 10 ივნისს რეგისტრირებული გან-ცხადებების (სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყე-ნების შესახებ) დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, თბილი-სის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივნისის განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველ-ყოფის ღონისძიების გამოყენება, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ მისი დაკმაყოფილებისთვის ვარგისი საპროცესოსამართლებრივი საფუძველი არ არსებობს შემდეგ გარემოებათა გამო:

22. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სსსკ-ის 191-ე მუხლის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე, კანონ-მდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელეს, საკუთარი კანო-ნიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს, აღძრული სარჩე-ლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებისა და მათი დამტკიცების ტვირთი, რომ-

ლებიც ადასტურებენ ვარაუდს უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ, ეკისრება განმცხადებელს. სწორედ განმცხადებელმა უნდა შეუქმნას სასამართლოს კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების/უზრუნველყოფის ღონისძიების მოცულობის (ანუ, მოპასუხის შეზღუდვის ფარგლები) აუცილებლობის რჩმენა, ვარაუდი. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, საკმარისია მარტოდენ გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელ გარემოებებზე მითითება და სავალდებულო არ არის მათი დადასტურება რაიმე მტკიცებულებებით, რამდენადაც გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი, ჯერ კიდევ, არ მიმდინარეობს. სასამართლოს დასარწმუნებლად კი, საკმარისია მხოლოდ ალბათობის მაღალი ხარისხით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდი, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, კერძოდ, ასეთი გარემოებების არსებობის ალბათობა უნდა გადასწონიდეს ვარაუდს მისი არარსებობის შესახებ. იმავდროულად, ზემოაღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც, კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე, ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმეზე განპირობებული იურიდიული შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

23. ამდენად, თუკი განცხადება ემყარება საკუთრების რაიმე ფორმით შეზღუდვას (ყადაღის დადება, იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა და ა.შ.), ასეთი შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. კერძოდ, საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და მხოლოდ იმ ფარგლებში ზღუდავდეს მესაკუთრის უფლებებს, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად. „უზრუნველყოფის ღონისძიების სახით საკუთრების შეზღუდვის გამართლება უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით – სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის საჯარო მიზნისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კერძო ინტერესების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (შეადრ: სუსგ 2015 წლის 25 ნოემბრის განჩი-

ნება საქმეზე №ას-1165-1095-2015).

24. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებასა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტური წინაპირობაა. მართლმსაჯულების ეფექტურობა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და დროულ სამართალნარმოებაში პოვებს გამოხატულებას (იხ. შ. შმიტი, ჰ. რიპტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013, 3.). როგორი სწრაფიც არ უნდა იყოს მართლმსაჯულება, როგორი სამართლიანი და კანონიერიც არ უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილება, მართლმსაჯულების მიზნები და ამოცანები განუხორციელებელი რჩება, თუ გადაწყვეტილება არ აღსრულდება.

25. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და განმარტავს, რომ „სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება“ (იხ., „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №40765/02; Burdov v. Russia, no. 59498/00, §34, ECHR 2002-III; Hornsby v. Greece, judgment of 19 March 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-II, p. 510, §40 Hornsby; Mutishev and Others v. Bulgaria, 18967/03, §129, 3 December 2009; Antonetto v. Italy, no. 15918/89, §28, 20 July 2000).“

26. შესაბამისად, უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, მოპასუხისათვის თავისი ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვის თუ კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის სხვა საშუალებების გამოყენების გზით“ (იხ., თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მეორე გამოცემა), თბ., 2005, 299.).

27. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას, რომელიც დაარწმუნებს სასამართლოს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროებაში (მდრ. სუსგ-ები №ას-1220-2019, 1.10.2019; №ას-1135-1082-2013, 6.10.2014).

28. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან დადგენილია, რომ ნ. გ-ს

სარჩელის მიღებაზე ეთქვა უარი, რაც კანონიერ ძალაშია შესული (იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივნისის განჩინება), წარმოება ნ. გ-ის სარჩელზე დასრულებულია.

29. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ივლისის განჩინების დასაბუთებას, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი. კერძოდ, სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელეს, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, თუ იქმნება ვარაუდი, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შემდგომში გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება საჭიროა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და მის აღსრულებამდე. მოცემულ შემთხვევაში კი, დადგენილია, რომ სარჩელი სასამართლოს წარმოებაში არ იქნა მიღებული. ამ მოცემულობაში, კი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება აბსოლუტურად გაუმართლებელია; და დაუსაბუთებლად, ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე, ხელყოფს მოპასუხის ქონებრივ ინტერესს, შეზღუდავს რა მას არალეგიტიმური საპროცესო ღონისძიენებით.

30. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. 6. გ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივნისისა და 13 ივლისის განჩინებები დარჩეს უცვლელად;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორიტ

## განხილვა საქართველოს სახელით

№ას-1596-2019

18 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: პ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**პალატამ გამოარკვია:**

საკასაციო სასამართლოს წარმოებაშია შპს „ა-ასა“ და შპს „ს. ი-თის“ საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ივლისის განჩინებაზე, სადაც დავის საგანს წარმოადგენს თანხის დაკისრება.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „ა-ამ“ და განმარტა, რომ შპს „ს. ი-თის“ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად თბილისის საქალაქო სასამართლომ 2017 წლის პირველი ივნისის განჩინებით ყადაღა დაადო განმცხადებლის სხვადასხვა მოძრავ ქონებას, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებას, ავტომანქანა „Ford Transit-ს“ (სახ. № U.., საიდენტიფიკაციო №W...). განმცხადებლის განმარტებით, ვინაიდან ის აპირებს ავტომობილის რეალიზაციას, მოითხოვა მისი ჩანაცვლება ავტომანქანა Ford Transit-ით (რომლის სარეგისტრაციო №B..., საიდენტიფიკაციო №W..., სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობა №AM..., გაცემული 17.01.2020).

განცხადებას ერთვის შპს „ე. ჯ-ის“ დასკვნები, რომელთა თანახმადაც ჩასანაცვლებელი მოძრავი ნივთის ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება ყადაღით დატვირთული სატრანსპორტო სამუალების საბაზრო ღირებულებას. განცხადებას ასევე ერთვის სსიპ მომსახურების სააგენტოს ცნობა სატრანსპორტო საშუალებაზე სანივთო შეზღუდვის არარსებობის შესახებ და მ. ლ-ძის განცხადება, ავტომანქანა „Ford Transit-ის“ (სახ. № ... საიდენტიფიკაციო №W...) ყადაღისაგან გათავისუფლების შემთხვევაში, მისი შესიდვის შესახებ.

საკასაციო პალატამ განცხადება თანდართული მასალებით გა-

უგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს, რომელმაც წერილობით დაადასტურა, რომ არ არის წინააღმდეგი, შეიცვალოს სარჩელის უზრუნველყოფის საგანი.

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ შპს „ა-ას“ განცხადება საფუძვლიანია შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებულია საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – დისპოზიციურობა, რომლის საფუძველზეც მხარეები უფლებამოსილი არიან აღიარონ ან უარყონ მათ მიმართ წარდგენილი მოთხოვნები, შესაბამისად, სასამართლო, მხარეთა ნების უპირატესი გათვალისწინებით წყვეტს სადაც საკითხს. მოცემულ შემთხვევაში, შპს „ს. ი-თის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის წერილობითი განცხადებით ირკვევა, რომ ის ეთანხმება შპს „ა-ას“ მოთხოვნას სარჩელის უზრუნველყოფის საგნის ჩანაცვლების თაობაზე, რაც სასამართლოს აძლევს განცხადების დაკმაყოფილების საშუალებას.

ასეც რომ არ იყოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196<sup>1</sup>-ე მუხლი დასაშეხებად მიიჩნევს უზრუნველყოფის საგნის შეცვლას და ნორმის სისტემური ანალიზი მოთხოვნის წინაპირობად ამ საგანთა უზრუნველყოფილ მოთხოვნასთან ტოლფასოვნებას განიხილავს. განმცხადებელი ნებაყოფლობით ითხოვს უფრო მაღალი ღირებულების ნივთით ყადაღადადებული ქონების ჩანაცვლებას, შესაბამისად, მოთხოვნა ამ მხრივაც წარმატებულია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ა-ას“ განცხადება საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 196<sup>1</sup>-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ა-ას“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. შეიცვალოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 1 ივნისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის 2.7. პუნქტით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის საგანი და ყადაღისაგან გათავისუფლდეს შპს „ა-ას“ (ს/კ

№20...) საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება – ავტომანქანა Ford Transit, სახ. № ..., საიდენტიფიკაციო №W....

3. ყადაღა დადედოს შპს „ა-ას“ (ს/კ №2...) საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებას – ავტომანქანა Ford Transit-ს სარეგისტრაციო №..., საიდენტიფიკაციო №WF..., სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობა №A..., გაცემული 17.01.2020.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სარჩევის უზრუნველყოფით გამოვლეული ზარალის ანაზღაურება

### განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1041-2018

20 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ.ქათამაძე,  
ე.გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით, „ა.“ (შემდგომში – მოსარჩევე) სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხების ქონებაზე განხორციელდა მთელი რიგი შეზღუდვები.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი შპს „ჯ-ის“ (შემდგომში პირველი მოპასუხე შპს) მიმართ დაკმაყოფილდა, ამ უკანასკნელს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 3 636 986 აშშ დოლარის გადახდა, სასარჩელო მოთხოვნა შპს „ტ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე შპს), ი. გ-ისა (პირველი მოპასუხე) და დ. ტ-ის (მეორე მოპასუხე) მიმართ სოლიდარულად თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

3. ამასთან, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც პირველ მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონებების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა, ყადაღა დაედო მის წილებს კომპანიებში, საკუთრებაში არსებულ ავტომობილებს, მოპასუხე შპს-ს აეკრძალა კუთვნილი უძრავი ქონებების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა. მეორე მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა, ყადაღა დაედო მის წილებს კომპანიებში და კუთვნილ ავტომობილებს.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2017 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელებ და პირველმა მოპასუხე შპს-მ შეიტანეს სააპელაციო საჩივრები.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხე შპს-ს, პირველი და მეორე მოპასუხების განცხადების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით დადგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის გარანტია, მოსარჩელეს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე დაევალა 3 636 986 აშშ დოლარის განთავსება, რომელიც განთავსებულ უნდა ყოფილიყო საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე ამ განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის განმავლობაში. მოსარჩელეს განემარტა, რომ ამ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით დადგენილი თანხის შეტანის დამადასტურებელი მტკიცებულება უნდა წარმოედგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოში ამ განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის განმავლობაში. ამასთან, ამ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით დადგენილი თანხის შეტანის დამადასტურებელი მტკიცებულების 7 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმოუდგენლობის შემთხვევაში დაუყონებლივ გაუქმდებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

7. მოსარჩელებ საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სა-სამართლოს 2017 წლის 20 ოქტომბრისა და 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინებების გაუქმების მოთხოვნით.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 4 დეკემ-ბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის საჩივარი თბი-ლისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინებაზე და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ნოემ-ბრის განჩინებაზე დაუსაბუთებლობის გამო და საქმის მასალებ-თან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განჩინებით საჩივარი ნაწილობ-რივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინე-ბა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო, მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის თაობაზე და ამავე სა-სამართლოს 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნ-ველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, ხოლო საქმე დაუბ-რუნდა სააპელაციო სასამართლოს მოპასუხე შპს, პირველი და მე-ორე მოპასუხების მიერ წარდგენილი მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ განცხადე-ბის ხელახლა განსახილველად.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 23 აპრი-ლის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით დადგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის გარანტია. მოსარჩელეს, მოსალოდნელი ზარა-ლის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ოუს-ტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენ-ტის სადეპოზიტო ანგარიშზე დაევალა 1 860 000 აშშ დოლარის გან-თავსება, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზი-ტო ანგარიშზე ამ განჩინების ჩაბარებიდან 21 დღის განმავლობა-ში. ასევე, მოსარჩელეს განემარტა, რომ ამ განჩინების სარეზო-ლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით დადგენილი თანხის შეტანის დამა-დასტურებელი მტკიცებულება უნდა წარმოდგენილიყო თბილისის სააპელაციო სასამართლოში ამ განჩინების ჩაბარებიდან 21 დღის განმავლობაში. მოცემული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით დადგენილი თანხის შეტანის დამადასტურებელი მტკი-ცებულების 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლო-ში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, დაუყონებლივ გაუქმდებო-და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-

ლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენების შესახებ.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2018 წლის 7 ივნისის განჩინებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მოსარჩელის შუამდგომლობა ნანილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხე შპს-ს, პირველი და მეორე მოპასუხების ქონებაზე გავრცელდა რიგი შეზღუდვები.

12. სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა შოსარჩელებ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 აპრილისა და 2018 წლის 7 ივნისის განჩინების გაუქმება შემდეგ გარემოებათა გამო:

13. საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო საქმეში წარმოდგენილ დასკვნას, როდესაც დაადგინა, რომ პირველ მოპასუხესა და მოპასუხე შპს-ს ადგებათ ზიანი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით. მისივე განმარტებით, აღნიშნული დასკვნაში არაფერია ნათქვამი მეორე მოპასუხის მიმართ რაიმე სახის ზიანის მიყენების შესახებ. მის მიმართ მოთხოვნილია სოლიდარულად თანხის დაკისრება, რაც შესაძლებელია დაკმაყოფილდეს, თუმცა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებით მოსარჩელეს წაერთვა თანხის ამოღების პერსპექტივა.

14. საჩივრის ავტორის მითითებით, ზემოაღნიშნული დასკვნის თანახმად, მოპასუხე შპს-ს სჭირდება შესასყიდი საქონლის 10%-ის გადახდა ავანსის სახით, და რომ საბანკო კრედიტის გარეშე ის ვერ ახერხებს ავტომანქანების შეძენას, თუმცა აღნიშნული გარემოება ექსპერტის მხრიდან წარმოდგენილია როგორც დაშვება და არა როგორც დადგენილი ფაქტი. აღნიშნულ საკითხს ექსპერტი არ იკვლევს. ის მიუთითებს, რომ კომპანიისაგან აქვს მიღებული განმარტება, რომ კრედიტი სჭირდება. შესაბამისად, საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტებას, რადგან აღნიშნული საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება.

15. საჩივრის ავტორმა ეჭვქვეშ დააყენა ის გარიგება, რომელიც მხარემ წარმოადგინა სასამართლოში ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად. მან მიაჩნია, რომ აღნიშნული გარიგება ფიქტიურ ხასიათს ატარებს, რადგან შეთანხმებაში თანხის გადახდის ვალდებულება დგება ავტომანქანების მიწოდების შემდეგ, რაც ასევე აბსურდულია. ასევე საეჭვოა იმ დოკუმენტის ავთენტურობა, რაც გაცემულია ერთ-ერთი ბანკის სახელით, მასში არ არის მითითებული სუბიექტები და გაგზავნის თარიღი.

16. საჩივრის ავტორის მითითებით, 2016 წლის 1 დეკემბრით და-თარიღებული დოკუმენტის თანახმად, რომელსაც ექსპერტის მი-ერ წარმოდგენილი დასკვნა ახლავს, კონკრეტულ ფიზიკურ პირს უნდა შეეძინა პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქონება, გარიგების ფასად კი მითითებულია 5.5 მილიონი აშშ დოლარი. აღნიშნული დოკუმენტი არ არის შედგენილი ნოტარიალურად და შეუძლებელია იმის დადგენა, მოხდა თუ არა მისი დადება იმ თა-რიღში რაც მასზეა მითითებული. დარღვეულია დოკუმენტის შედ-გენის ფორმალური წინაპირობები, რის გამოც შესაძლებელია ეს შეთანხმება ფიქტიურად იყოს დადგებული.

17. საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამარ-თლომ დაარღვია შეჯიბრობითობის პრინციპი, როდესაც 2018 წლის აპრილში მიიღო გარანტიის წარმოდგენის შესახებ განჩინება და მოსარჩევეს არ მიეცა შესაძლებლობა, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია იმ მტკიცებულებაზე, რომელიც მხარემ 2018 წლის 15 მარტს წარმოადგინა.

18. საჩივრის ავტორის მითითებით, უზრუნველყოფის ღონის-ძიების მიუღებლობა გადაწყვეტილების აღუსრულებელების ტოლ-ფასია. რადგან საქმეში წარმოდგენილია ამონანერი ეივებე-ის სა-ძიებო სისტემიდან, საიდანაც ჩანს რომ მოპასუხე შპს-მ უკვე გა-ასხევსა საკუთარი ბიზნესი და გადასცა იგი სხა კომპანიას. აღნიშ-ნული არ არის სიახლე რადგან საქმეში, ასევე, წარმოდგენილია 2016 წლის 24 მაისის წერილი, სადაც მეორე მოპასუხე აღნიშნავს, რომ იგი მზად არის, ბიზნესი მიჰყიდოს მოსარჩევეს 22 მილიონ დოლა-რად, აღნიშნული თანხიდან გაიქვითება არსებული დავალიანება და მოსარჩევეს მოუწევს მხოლოდ 18 მილიონის გადახდა.

19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2018 წლის 3 ივნისის განჩინებით მოსარჩევის საჩი-ვარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად განსახილ-ველად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

20. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ იურიდიული პირის ქო-ნებაზე შეზღუდვების გავრცელებით მოპასუხეს შესაძლებელია, ხელი შეეშალოს სამენარმეო საქმიანობის განხორციელებაში. აღ-ნიშნულის გათვალისწინებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონის-ძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლო უნდა გაითვალისწინოს მონინააღმდეგე მხარის ინტერესებიც.

21. მენარმეობა არის დამოუკიდებელი, ინიციატივიანი საქმია-ნობა (საქონლის წარმოება, მომსახურების განვევა, სამუშაოთა შეს-რულება), რომელიც საკუთარი ან ნასესხები სახსრებით, რისკისა და პასუხისმგებლობის განვევით ხორციელდება მთავარი მიზნის –

მოგების მისაღებად. ეს არის არაერთჯერადი, შემოქმედებითი საქმიანობა, რომლიც მოითხოვს სიახლეების დაწერგვას. შეზღუდვების დაწესებით მოპასუხები მოკლებული იქნებიან შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, შეუძლებელი გახდება საწარმოს მატერიალური რესურსის გამოყენება საწარმოს ინტერესებისათვის. შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა მოეთხოვოს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

22. ამასთან, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სასამართლო მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურებას იყენებს არა ყოველთვის, არამედ მაშინ, როცა დარწმუნდება ამ ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაში. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანის მიყენება გულისხმობს უფლების დაუშვებელ ხელყოფას, როგორიცაა მაგალითად, ფაქტობრივი ზიანის დადგომა ან შემოსავლის დაკარგვა, სწორედ ასეთ შემთხვევაშია მოპასუხე უფლება-მოსილი, მოითხოვოს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა, ანუ ე.წ. უზრუნველყოფის შებრუნვება. 199-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, უზრუნველყოფის გარანტია, სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.

23. მოცემულ შემთხვევაში არსებობს უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების (უზრუნველყოფის შებრუნვების) აუცილებლობა, ვინაიდან, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს აყენებს მოწინააღმდეგე მხარეებს. კერძოდ, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხე შპს წარმოადგენს რა იურიდიულ პირს და მეწარმე სუბიექტს, შესაბამისად, მისი საქმიანობა დაფუძნებულია მოგების მიღებაზე. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს – მოპასუხებს ისინ წარმოადგენს რა მეწარმეებს, შესაბამისად, მათ საკუთრებაში არსებული ქონება გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობისათვის. პირველი მოპასუხის მიერ 2017 წლის 31 მარტიდან 2020 წლის 30 მარტამდე პერიოდის განმავლობაში მიღებული და მისაღები ზარალი ჯამურად შეადგენს 450 000 აშშ დოლარს, მათ შორის, 31.03.2017-28.02.2017 წლების პერიოდის განმავლობაში მიღებული ზარალი შეადგენს 137,260 აშშ დოლარს, ხოლო 01.03.2017-30.03.2020 პერიოდის განმავლობაში მისაღები ზარალი შეადგენს 312,740 აშშ დოლარს.

24. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 აპრილის განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სა-

მოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით დადგენილ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე მართებულად იქნა გამოყენებული უზრუნველყოფის გარანტია, რომლის თანახმადაც მოსარჩელეს, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საპქს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 21 დღის განმავლობაში 1 860 000 აშშ დოლარის განთავსება, თანხის შეტანის დამადასტურებელი მტკიცებულება უნდა წარმოედგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, განჩინების ჩაბარებიდან 21 დღის განმავლობაში, ასევე, განემარტა, რომ 1 860 000 აშშ დოლარის შეტანის დამადასტურებელი მტკიცებულების 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმოუდგენლობის შემთხვევაში დაუყონებლივ გაუქმდებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ;

25. ასევე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს კანონით დადგენილი წესით ჩაპერდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 აპრილის განჩინება, მაგრამ მან სსსკ-ის 199-ე მუხლით დადგენილი წესით და ვადაში უზრუნველყოფის ღონისძიებით მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა არ განახორციელა.

26. სსსკ-ის 199-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა გაუქმდეს მოსარჩელე მხარის მიერ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ გარანტიის წარმოუდგენლობის გამო.

27. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ივნისის განჩინებით, სასამართლომ ასევე მართებულად მიიჩნია, რომ უნდა გაუქმდებულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების

### **სამოტივაციო ნაწილი:**

28. საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების

ბა გაუქმდეს და საქმე დაუპრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

29. სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასამართლო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

30. დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარჩმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რჩმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

31. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტის, ხოლო მეორე მხარეს უზღუდვას კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტილებისა და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

32. ამდენად, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვა-

ლისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

33. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს. აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალურია, როდესაც საუბარია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაზე.

34. სსსკ-ის 199-ე მუხლი ეხება სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას. მისი პირველი ნაწილის ძალით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.

35. კანონის მითითებული დანაწესი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისაგან მოპასუხის თავდასაცავ მექანიზმს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ამა თუ იმ სახის ღონისძიების გამოყენების შედეგი მოპასუხისათვის ზიანის მომტანია. ასეთ დროს დასაშვებია, მოსარჩელეს მოეთხოვოს ობიექტურად სავარაუდო ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. სასამართლო საკუთარი ინიციატივით აამოქმედებს აღნიშნულ მექანიზმს მხოლოდ მაშინ, თუ მოპასუხისათვის ზიანის მიყენების საფრთხე აშკარაა, წინააღმდეგ შემთხვევაში მითითებული გარემოების სარწმუნოდ დადასტურების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება (სსსკ-ის 102-ე მუხლი) (სუსგ 21.10.2016. საქმე წას-958-923-2016).

36. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხეების ქონებაზე განხორციელდა მთელი რიგი შეზღუდვები.

37. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი პირველი მოპასუხე შპს-ს მიმართ დაკმაყოფილდა, ამ უკანასკნელს

მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 3 636 986 აშშ დოლარის გადახდა, სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე შპს-ს, პირველი და მეორე მოპასუხების მიმართ სოლიდარულად თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

38. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა იმ ნაწილში, რომლითაც სარჩელს უარი ეთქვა მოპასუხე შპს-ს, პირველი და მეორე მოპასუხებისათვის 3636986 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების ნაწილში. თავის მხრივ, აღნიშნულმა მოპასუხეებმა განცხადებით მოითხოვეს უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება.

39. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის წინამდებარე საჩივარი ერთხელ უკვე გახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსჯელობის საგანი, რა დროსაც საკასაციო პალატამ საქმე ხელახლა განსახილელად დაუბრუნა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს კონკრეტული მითითებით.

40. გასაჩივრებული განჩინებების იურიდიული დასაბუთების შემოწების შედეგად საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატას არ გაუთვალისწინებია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 იანვრის განჩინებაში ასახული მითითებები და მოცემული საქმეზე რიგი გარემოებები სასამართლოს მხრიდან კვლევას კვლავაც საჭიროებს.

41. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ რეალურად უნდა შეაფასოს მოსარჩელის მოთხოვნის პერსექტიულობა, მათ შორის, მის სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობის საკითხი, რადგან სამართლიანი სასამართლოს უფლების მხარისათვის რეალიზება უდავოდ გულისხმობს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადობის უზრუნველყოფას.

42. საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ ეთანხმება მოსარჩელის საჩივრის არგუმენტს, რომ, სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით არ არის დასაბუთებული ის ზიანი, რომელიც შესაძლოა განმცხადებლებს (მოპასუხეებს) მიადგეთ მათ უძრავ-მოძრავ ქონებაზე მოსარჩელის სასარგებლოდ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამო.

43. აღნიშნული სადავო საკითხის დასადასტურებლად საკმარისად ვერ ჩაითვლება სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ მოპასუხე შპს და მოპასუხე ფიზიკური პირები წარმატებულ სამენარმეო საქმიანობას ენერგიან, საკუთრებაში არსებული ქონების სამენარმეო საქმიანობისათვის გამოყენება შეზღუდული აქვთ საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით, რის გა-

მოც მათ, როგორც საქართველოში ერთ-ერთ წარმატებულ მეწარმეებს, ზიანი ადგებათ.

44. სააპელაციო პალატის მხრიდან ასევე დამატებით შეფასებას საჭიროებს მოსარჩელის საჩივრის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ სრულიად დაუსაბუთებელია, თუ რაში გამოხატა სადაც უზრუნველყოფის ორნისძიების გამოყენების შედეგად მეორე მოპასუხისათვის მიყენებული ზიანი, რადგან აღნიშნულის თაობაზე რაიმე სარწმუნო დასაბუთებას მოპასუხეთა განცხადება არ შეიცავს.

45. აღსანიშნავია, რომ განმცხადებელ მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი საშემფასებლო დასკვნა მეორე მოპასუხის საკითხს არ ეხება.

46. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო პალატის მსჯელობაზე, რომ პირველი მოპასუხის მიერ 2017 წლის 31 მარტიდან 2020 წლის 30 მარტამდე პერიოდის განმავლობაში მიღებული და მისაღები ზარალი ჯამურად შეადგენს 450 000 აშშ დოლარს, მათ შორის, 31.03.2017-28.02.2017 წლების პერიოდის განმავლობაში მიღებული ზარალი შეადგენს 137,260 აშშ დოლარს, ხოლო 01.03.2017-30.03.2020 პერიოდის განმავლობაში მისაღები ზარალი შეადგენს 312,740 აშშ დოლარს.

47. აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ გულდასმით უნდა შეაფასოს, რამდენად სარწმუნო და გონივრულია პირველი მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მხარისათვის 2017 წლიდან 2020 წლიამდე მისაღები ზარალის დასადასტურებლად.

48. საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით მოპასუხისათვის განსაზღვრულია უფლებამოსილება, განცხადებით მოითხოვოს მისი უზრუნველყოფის გარანტია სასამართლოსაგან. თუმცა მისი გამოყენების აუცილებლობა მოპასუხის (მოვალის) მტკიცების ტვირთია (სსსკ-ის 102-ე მუხლი), ვინაიდან ზიანის უზრუნველყოფის გარანტიების შექმნის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც სასამართლოს აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ უზრუნველყოფის ორნისძიება შეიძლება გაუმართლებელი აღმოჩნდეს და ასევე სახეზეა ზიანი, რომელიც მოპასუხეს უზრუნველყოფის ორნისძიებით ადგება ან შეიძლება მიადგეს. სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ზიანის უზრუნველყოფის გამოუყენებლობის შემთხვევაში ზიანი მოპასუხის მტკიცების საგანმი შემავალი გარემოება ხდება და მან უნდა ამტკიცოს, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ორნისძიებით ადგება, ან გარდაუვალია მისთვის ზიანის მიყენება (სსსკ-

ის 199-ე, მე-4 და 102-ე მუხლი) (იხ. სუსგ ას-450-422-2017, 11.04.2017 წ.).

49. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ კიდევ ერთხელ უნდა იმსჯელოს ამ მიმართებით რამდენად შესარულა მოპასუხემ მტკიცების ტვირთი და თუკი დაადგენს მოპასუხეთათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების გამო მოსარჩელისათვის უზრუნველყოფის გარანტის დავალებას, ისიც უნდა შეაფასოს, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული სარჩელის, ანუ ფულადი თანხის იდენტური ოდენობით უნდა დაევალოს მოსარჩელეს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა, თუ შესაძლებელია ამ უკანასკნელისათვის სხვა ოდენობის თანხის დაკისრება.

50. სააპელაციო სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს დავის ფაქტობრივი გარემოები, მხარეთა მიერ ნარდგენილი მტკიცებულებების სანდობა და დასაბუთებულობა და ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის თაობაზე.

51. სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მომთხოვნმა მოპასუხემაც უნდა დაასაბუთოს უზრუნველყოფის გარანტის გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, დასაბუთება უნდა იყოს საფუძვლიანი, დასაბუთებული ვარაუდი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას არა მარტოდ ეჭვის ან ფორმალური ანალიზის საფუძველზე, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ლოგიურ დასკვნას მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ. მოხმობილი ხორმით გათვალისწინებული საპასუხო უზრუნველყოფა არის მოპასუხის ინტერესების სამართლებრივი დაცვის სამუალება, რომელიც უზრუნველყოფს გაუმართლებელი ღონისძიებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელის უზრუნველყოფის გარანტირება მოახდინოს როგორც თავისი ინიციატივით, ასევე მოპასუხე მხარის განცხადების საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში, მისი გამოყენება დამოკიდებულია მოსალოდნელ, შესაძლო ზიანის ნარმობობის საფრთხესთან. ასეთი საფრთხის ვარაუდს უნდა ქმნიდეს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რამაც შესაძლოა მხარეს ზიანი მიაყენოს.

52. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მხარეთა თანასწორობის პრინციპის გამოყენებისა და მტკიცებულებათა სრულფასოვნად გამოკვლევის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება და მოსარჩელეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების

გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა მოსთხოვა, რისი შეუსრულებლობის გამო, 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები გააუქმა.

53. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არათანასწორი მტკიცების ტვირთი დააკისრა მოსარჩელეს, რითაც საფრთხე შეექმნა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიას, რისთვისაც არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი. მხარემ, რომელიც ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას, უნდა მიუთითოს იმ მოსალოდნელ ზიანზე, რაც შეიძლება რეალურად მოჰყვეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას და, შესაბამისად, სარწმუნოდ დაასაბუთოს თავისი მოსაზრება. იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითების ვალდებულება, რომელიც ადასტურებს მოსარჩელისაგან შესაბამისი გარანტიის წარდგენის აუცილებლობის ვარაუდს, ეკისრება განმცხადებელს, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად (იხ. სუსგ №ას-832-884-2011, 13.06.2011).

54. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების გარეშე. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ევროსასამართლოს გადაწყვეტილება „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც განმცხადებლის საჩივარი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას ეხება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული უფლება, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილია მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის. (Apostol v. Georgia; §37; ასევე იხ. Hornsby v. Greece, §40). ამასთან, საქმეზე „შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“ სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA LTD and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v Russia, §34; Hornsby v. Greece, §40) (იხ. სუსგ ას-1238-1161-2015,

12.02.2016 წ.).

55. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებით მიზნად ისახავს, გარანტირებული იქნეს მხარეთა თანასწორობისა და მტკიცებულებათა შეფასების სსსკ-ით დადგენილი სტანდარტები. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, თავისთავად ცხადია, მოვალის უფლებები იზღუდება, თუმცა, ეს კანონით გათვალისწინებული საშუალებაა, დაცული იქნეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღუსრულებლობის საფრთხისგან. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას სასამართლო ვარაუდის საფუძველზე იღებს (სსსკ-ის 191.1 მუხლი), ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე გადაწყვეტილება უფრო მაღალ სტანდარტს ეფუძნება, ვიდრე ვარაუდია (სსსკ-ის 199.1 მუხლი).

56. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლომ კიდევ ერთხელ ზედმიწევნით შეფასოს მოპასუხეების 2017 წლის 9 ოქტომბრის განცხადება მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ, მოპასუხეთა კუთვნილი მტკიცების ტვირთის დაძლევის შეფასების გზით.

57. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სსსკ-ის 196-ე მუხლზე, რომელიც მოპასუხეს შესაძლებლობას აძლევს შეიმსუბუქოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით დაკასრებული ტვირთი იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის სარჩელი მისი მოთხოვნის ფარგლებში უზრუნველყოფილია და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას ეჭვეებ არ აყენებს.

58. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინებები და საქმე უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს მოპასუხე შპს, პირველი და მეორე მოპასუხეების მიერ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ წარდგენილი განცხადების ხელახლა განსახილვებით და

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 199-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ა-ს“ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-ქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 აპრილისა და 7 ივნისის განჩი-ნებები და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა გან-სახილველად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-ჩივრდება.

### სასამართლო გადაცევატილებით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

#### განერიება საქართველოს სახელით

№ას-871-2018

30 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გა-  
უქმება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. ა. ყ-ემ (შემდგომში – „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამარ-  
თლოში ნ. კ-ის (შემდგომში – „პირველი მოპასუხე“), ნ. ს-ის (შემ-  
დგომში – „მეორე მოპასუხე“), გ. ვ-ისა (შემდგომში – „მესამე მოპა-  
სუხე“) და ნოტარიუს ზ. ც-ის (შემდგომში – „მეოთხე მოპასუხე“)  
მიმართ თანხის დაკისრებისა და სამკვიდრო მოწმობისა და ჩუქე-  
ბის ხელშეკრულების ბათოლად ცნობის თაობაზე.

2. მოსარჩელემ სარჩელთან ერთად წარადგინა განცხადება სარ-  
ჩელის უზრუნველყოფის შესახებ, სადაც მან მიუთითა, რომ სარ-  
ჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა უნდა დადებოდა ან. გარ-  
დაცვლილი ნ. ს-ის სახელზე რიცხულ სამკვიდრო ქონებას, კერ-  
ძოდ: საცხოვრებელ ბინას, მდებარე: ქ. ჭიათურა, თ-ის ქ. №13-ში,  
სასარგებლო ფართით – 56.10 კვ.მ., საცხოვრებელი ფართით – 35.60

კვ.მ., დამხმარე ფართით – 20.50 კვ.მ. და ავტომანქანა ოპელ ასტრა G-ს, გამოშვების წელი – 1999, სახელმწიფო ნომრით – P-, ტრანსპორტის საიდენტიფიციაციო №W- (შემდგომში – „ავტომანქანა“).

3. საჩერის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის განჩინებით მოსარჩელის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და კუმაყოფილდა ნაწილობრივ და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით პირველ მოპასუხეს აეკრძალა მის თანასაკუთრებაში არსებული – ქ. ჭიათურაში, თ-ის ქ. №13-ში, მდებარე უძრავი ქონების, სართული 1, ბინა №2, (ფართით – 56. 10 კვ. მ., ს/კ: 3-) შესაბამისი წილის გასხვისება. ასევე მას აეკრძალა ან. გარდაცვლილი 6. ს-ის (3.6. 5.-) სახელზე რიცხული ავტომანქანის შესაბამისი წილის გასხვისება. სარჩელის უზრუნველყოფის განცხადება (მუამდგომლობა) დანარჩენ ნაწილში არ დაკუმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

4. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს.

5. პირველმა და მეორე მოპასუხემ აღდრეს შეგებებული სარჩელები და მოითხოვეს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

6. მოსარჩელები შეგებებული სარჩელები არ ცნო.

7. საჩერის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი პირველი, მეორე და მესამე მოპასუხის მიმართ დაკუმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო მეოთხე მოპასუხის მიმართ არ დაკუმაყოფილდა. შეგებებული სარჩელები არ დაკუმაყოფილდა.

8. საჩერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, როგორც მოსარჩელემ, ასევე პირველმა და მეორე მოპასუხემ.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები დაკუმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა საჩერის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. სარჩელი დაკუმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი სამკვიდრო მოწმობა 1/2 ნაწილში (№160644924 15/06/2016-4/97474), რომლითაც პირველმა და მეორე მოპასუხემ მემკვიდრეობით მიიღეს ავტომანქანა და აღნიშნულ ავტომანქანაზე პირველ და მესამე მოპასუხეს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება და დადგინდა ავტომანქანის ½ წილის უფლებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში საკუთრების უფლებით აღრიცხვა მოსარჩელის სახელზე. პირველ და მეორე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 2000 ლარი. სარჩელი პირველი და მეორე მოპასუხის მიმართ თანხის 3300

ლარის დაკისრების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა. სარჩელი პირ-ველი და მეორე მოპასუხებისთვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორ-თმევის მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა. მეორე მოპასუხების შეგვ-ბებული სარჩელი დაკმაყოფილდა. დადგინდა მოსარჩელის უკანო-ნო მფლობელობიდან ქ. ჭიათურა, თ-ის ქ. №13-ში მდებარე საც-ხოვრებელი ბინის გამოთხოვა და მისი თავისიუფალ მდგომარეობა-ში გადაცემა პირველი და მეორე მოპასუხებისთვის. მოსარჩელეს და-ეკისრა 260 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. პირველ და მეორე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 140 ლარი.

10. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წე-სით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 იან-ვრის განჩინებით საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. უც-ვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება.

12. 2018 წლის 20 მარტს პირველი მოპასუხების წარმომადგენელ-მა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საჩხერის რაიო-ნული სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის განჩინების გაუქმება და უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. ჭიათურა, თ-ის ქუჩა №13 (ს/კ: 3-), ყადალის მოხსნა.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 აპრი-ლის განჩინებით პირველ მოპასუხეს დაევალა ქუთაისის სააპელა-ციო სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით დაეკის-რებული ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუ-მენტის სასამართლოსათვის წერილობით წარდგენა.

14. 2018 წლის 16 აპრილს პირველი მოპასუხების წარმომადგენელ-მა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა საბანკო ქვი-თარი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ პირველმა მოპასუხემ მო-სარჩელის საბანკო ანგარიშზე ქუთაისის სააპელაციო სასამარ-თლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების მიზ-ნით ჩარიცხა 2140 ლარი.

15. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 აპრი-ლის განჩინებით პირველი მოპასუხების განცხადება დაკმაყოფილ-და. გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 17 ივ-ნისის განჩინებით განხორციელებული უზრუნველყოფის ღონის-ძიება, რომლითაც პირველ მოპასუხეს აეკრძალა მის თანასაკუთ-რებაში არსებული – ქ. ჭიათურაში, თ-ის ქ. №13-ში მდებარე უძრა-ვი ქონების, სართული 1, ბინა №2 (ფართი: 56.10 კვ.მ., ს/კ: 3-), შესა-ბამისი წილის გასხვისება და აღნიშნული ქონება გათავისუფლდა

გასხვისების აკრძალვისაგან.

16. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 აპრილის განჩინება საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელებმ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 აპრილის განჩინების გაუქმება იმ საფუძვლით, რომ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოში მხარეებს შორის დავა ჯერ არ იყო დამთავრებული, უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შემთხვევაში კი მონინააღმდეგე მხარე გაასხვისებდა სადაც უძრავ ქონებას.

17. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 14 მაისის განჩინებით საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

18. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის განჩინებით მოსარჩელის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 აპრილის განჩინების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმითა პალატაში.

19. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პირველი მოპასუხის მიერ მოსარჩელის წინაშე არსებული ვალდებულება სრულად იყო შესრულებული, შესაბამისად, მოსარჩელის სარჩელთან დაკავშირებით პირველი მოპასუხის მიმართ, არ იყო უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობის საჭიროება.

20. სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 აპრილის განჩინებით პირველი მოპასუხის მოთხოვნა საფუძვლიანად დაკმაყოფილდა და არ არსებობდა აღნიშნული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

21. მოსარჩელის იმ მითითებასთან დაკავშირებით, რომ მხარეთა შორის დავა არ იყო დასრულებული და სამკვიდროსთან დაკავშირებით ისევ მიმდინარეობდა, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის გაუქმებასაც განმცხადებელი ითხოვდა, სრულიად კონკრეტული დავის პირობებში, კონკრეტული სარჩელის უზრუნველსაყოფად იყო გამოყენებული და თუ რაიმე დავა ისევ არსებობდა მხარეთა შორის, მასზე მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად ვერ გამოდგებოდა წინამდებარე პირობებში გამოყენებული უზრუნველყოფა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

22. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძვლების გამოკვლევისა და გასაჩივრებული განჩინე-

ბის იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გა-საჩივრებული განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

23. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხლის თანახ-მად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილე-ბაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქ-მის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გა-დაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავში-რებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივ-რდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კა-ნონით დადგენილი წესით.

24. აღნიშნული ნორმა ავალდებულებს სასამართლოს, სარჩე-ლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, თავისი ინიცი-ატივით, გააუქმოს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც უნდა აისახოს გადაწყვეტი-ლების სარეზოლუციო ნაწილში. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზე-ზით, სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა აღნიშნული საკით-ხი და თავისი გადაწყვეტილებით არ გააუქმა გამოყენებული უზ-რუნველყოფის ღონისძიება, შესაძლებელია ეს ხარვეზი გამოსწორ-დეს საპროცესო კანონის ანალოგის გამოყენებით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი და 261-ე მუხლი), იმ თავისებურების გათვალისწინებით, რომ შესაბამისი განჩინე-ბის გამოტანა არ იქნება შეზღუდული რაიმე ვადით და გასაჩივ-რდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით (იხ. სუსგ №ას-806-773-2016, 29 დე-კემბერი, 2016 წელი).

25. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე და 420-ე მუხლების შესაბამისად, 197-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 199<sup>1</sup>-ე მუხლის დანარესი ვრცელდება ასევე საკასაციო სასამართლოში საჩივრის შეტანის წესზე.

26. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ქუთაისის სა-აპელაციო სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარ-ჩელეს ნაწილობრივ ეთქვა უარი. ხსენებული გადაწყვეტილებით არ გაუქმებულა სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებული უზ-რუნველყოფის ღონისძიება - ყადაღა. დადგენილია ასევე, რომ სარ-ჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში ვალდებულება მოპასუხეთა მი-ერ შესრულებულია.

27. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მი-იჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხლი და მართებულად გა-

აუქმა სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.

28. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ მხარეთა შორის დავა ჯერ არ არის დამთავრებული, რის გამოც არ უნდა გაუქმდეს უზრუნველყოფის ღონისძიება და მიუთითებს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს უზრუნველის სასამართლოს 2018 წლის 11 იანვრის განჩინებით უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს უკანასკნელი შევიდა კანონიერ ძალაში და მოცემული საქმის წარმოება დასრულდა. ამასთან, არ არსებობს გარემოება, რომელიც გამორიცხავს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას.

29. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში თუ მხარეთა შორის სხვა სასარჩელო წარმოების ფარგლებში რაიმე დავა კიდევ არსებობს, მოსარჩელეს მის ფარგლებში შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

30. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

31. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა. კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

32. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს მოსარჩელის საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე, 197<sup>1</sup>-ე, 199<sup>1</sup>-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ყ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილისა და ამავე სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის განჩინებები დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 4. დაუსწრებელი გადაცევატილება

### დაუსწრებელი გადაცევატილების გაუქმების საფუძვლები

#### განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1971-2018

27 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: მ. თოლდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 20 აპრი-  
ლის გადაწყვეტილებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სა-  
აგენტოს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოხარჩე-  
ლე, მონინააღმდეგე მხარე, კასატორი ან სააგენტო) სარჩელი, რომ-  
ლითაც ის, მ. მ-ძისათვის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, რო-  
გორც მოპასუხე ან აპელანტი) იჯარის ხელშეკრულებიდან გამომ-  
დინარე დაგალიანების – 3493.80 ლარისა და პირგასამტკებლოს –  
810.15 ლარის დაკისრებას მოითხოვდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილ-  
და. მოპასუხეს, მოხარჩელის სასარგებლოდ, საიჯარო ქირის დავა-  
ლიანება – 2943.80 ლარის, ხოლო პირგასამტკებლო – 810.15 ლარის  
ოდენობით დაეკისრა.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-  
რა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გა-  
უქმდის, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის უარ-  
ყოფის მოთხოვნით.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის  
განჩინებით, სააპელაციო საჩივარი დასაშეგებად იქნა ცნობილი და  
ამავე განჩინებით, საქმის განხილვა დაინიშნა მთავარ სხდომაზე,  
2018 წლის 24 სექტემბერს, 12:00 საათზე.

4. 2018 წლის 24 სექტემბერის სასამართლოს მთავარ სხდომაზე  
არც მოწინააღმდეგე მხარე (მოხარჩელე) და არც მსი წარმომად-  
გენელი არ გამოცხადებულა, რის გამოც, აპელანტმა დაუსწრებე-  
ლი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივრის დაკ-

მაყოფილების თაობაზე იშუამდგომლა (საქართველოს სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 387.2 მუხლი).

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 8 ოქტომ-ბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, აპელანტის შუამდგომლო-ბა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, დაკმა-ყოფილდა; მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გა-საჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და სარჩელი უარყოფილ იქნა.

6. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა საა-გენტომ, მისი გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთ-ხოვნით, იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 ნოემ-ბრის განჩინებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრე-ბული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა. სა-სამართლო სსსკ-ის 70-ე-78-ე, 387.2, 241-ე მუხლის „ბ“ პუნქტით, 230-ე, 233-ე და 215.3 მუხლებით იხელმძღვანელა.

7.1. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააგენტო, 2018 წლის 24 სექტემბერს 12:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვევისა და გამოუცხადებლობის სამართლებრივი შე-დეგების თაობაზე გაფრთხილებული იყო, სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხ-ლებით დადგენილი წესით, ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი სასა-მართლო უწყებით, თუმცა ის სხდომაზე არ გამოცხადებულა და არც გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე უცნობებია სასა-მართლოსთვის;

7.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სააპელა-ციონ საჩივარში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სააგენტომ არაჯეროვნად შეასრულა იჯარის ხელშეკრულებით ნა-კისრი ვალდებულებები, მანა მოპასუხეს არ გადასცა ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი; მოიჯარე ვერ სარგებლობდა მის-თვის გადაცემული მიწის ნაკვეთით, რადგან არსებობდა ზედდება მოცემულ მიწის ნაკვეთსა და მესამე პირების მიწის ნაკვეთებს შო-რის, რასთან დაკავშირებითაც პრეტენზიას გამოთქვამდნენ მესა-მე პირები; 2016 წლის 30 სექტემბერს მოიჯარე განცხადებით მი-მართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს სხვა მიწის ნაკ-ვეთზე შეთანხმების გაფორმების მოთხოვნით იმ დასაბუთებით, რომ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მიმდინა-რეობდა აღმინისტრაციული წარმოება.

პალატამ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 581-ე, 533-ე, 534-ე, 536-ე და 541-ე მუხლებზე მითითებით გან-

მარტა, რომ სააპელაციო საჩივარში ასახული ახსნა-განმარტება შეიცავდა იმ სახის ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებას, რაც იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას. ამასთან, დადგენილი იყო, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, სახელდობრ, როგორც უკვე აღინიშნა, გამოუცხადებელი მხარე მოწვეული იყო, სასამართლო სხდომაზე სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით; სასამართლოსთვის ცნობილი არ გამხდარა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას, ან სხვა მოვლენას, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო, რომ სააგენტოს არც საჩივარში მიუთითებია ზემოხსენებული საფუძვლებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელ რაიმე გარემოებაზე. ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობები, განსახილველ შემთხვევაში, არ ვლინდებოდა.

8. დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი ძალაში დატოვების შესახებ 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინება, საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსაარჩეულებ, დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვის მოთხოვნით. კასატორის მტკიცებით, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ სააპელაციო საჩივრის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია არა მხოლოდ აპელანტის მიერ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებები, არამედ მხარის მიერ ფაქტის სამართლებრივი შეფასებაც.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 მარტის განჩინებით, საკასაციო საჩივარი, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი

არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

11. სსსკ-ის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპე-ლაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგე-ნილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. სსსკ-ის 230-ე მუხ-ლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩე-ლე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა-ზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამ-ტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამარ-თლებს სასამარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წი-ნააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

12. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ კანო-ნის სრული დაცვით მიიღო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწ-ყვეტილება და ასევე, სწორად არ დააკმაყოფილა კასატორის საჩი-ვარი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

### **13. საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს შემდეგს:**

13.1. სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილ-ვისათვის, XLVI თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებე-ბით (სსსკ-ის 372-ე მუხლი).

13.2. აპელანტის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსა-ხილველად და 2018 წლის 30 ივლისის განჩინებით, იმავე წლის 24 სექტემბერს 12:00 საათზე, დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდო-მა (სსსკ-ის 373-ე და 376-ე მუხლები);

13.3. საქმეში განთავსებული 2018 წლის 30 ივლისს გაეგზავნილი სასამართლო უწყება, სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვევი-სა და გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე, სააგენტოს (მოწინააღმდეგე მხარეს) გაეგზავნა მის მიერ მითითე-ბულ მისამართზე და 2018 წლის 2 აგვისტოს ჩაპბარდა ორგანიზა-ციის წარმომადგენელ - ა. ტ-ს;

13.4. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდა; აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე, სა-სამართლო იხელმძღვანელა სსსკ-ის 387-ე მუხლის მეორე ნაწი-ლით და გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი. კასატორის მტკიცება, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინამ-დღვრები დაუსაბუთებელია;

13.5. უტყუარადაა დადგენილი, რომ მხარის გამოუცხადებლობას არ გააჩნდა საპატიო მიზეზი. სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა საქმის გარემოებები და დაასკვნა, რომ 2018 წლის 24 სექტემბრის სხდომის თარიღისა და ადგილის შესახებ, ასევე, გამოუცხადებლობის სამართლებრივ შედეგებზე, კასატორს კანონით დადგენილი წესით ეცნობა სხდომის ჩატარებამდე დიდი ხნით ადრე, 2018 წლის 2 აგვისტოს (სსსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილი).

14. სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიობის შესაფასებელ წინაპირობებად მიიჩნევს ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მოქმედების შესრულებას.

საყურადღებოა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სააგენტოს სადაცვოდ არ გაუხდია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მან საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით შედგენილი შეტყობინება ჩაიბარა; გარდა ამისა, ის არც იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მის გამოუცხადებლობას საპატიო მიზეზი ჰქონდა, აღნიშნულის დასადასტურებლად მას კანონით დასაშვები მტკიცებულება არ წარუდგენია სასამართლოსთვის.

15. სსსკ-ის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. შესაბამისად, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველ ნაწილი იმ შემთხვევების ჩამონათვალს იძლევა, რომელთა არსებობის დროს დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, კერძოდ, აღნიშნული ნორმის მიხედვით, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ: а) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კო-

დექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლო-სათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეე-შალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღმოჩენის წინაპირობები (შდრ. სუსგ საქმე №ას-914-876-2014, 19.02.2014, №ას-1243-1166-2015, 9.03.2016); ჩამოთვლილთაგან არცერთი გარემოება საქმეზე დადგენილი არ ყოფილა.

16. როგორც უკვე აღინიშნა, განსახილველ შემთხვევაში, სააგნენტო სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ მას ჩაპბარდა სასამართლო უწყება, რომელშიც მითითებული იყო 2018 წლის 24 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე მოწვევისა და გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე. საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს და ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა, რაც გამორიცხავდა დაუსაწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად მიიჩნეულ სააპელაციო საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

16.1. სააგნენტომ არაჯეროვნად შეასრულა იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მან მოპასუხეს არ გადასცა ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი;

16.2. მოიჯარე ვერ სარგებლობდა იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული მიწის ნაკვეთით, რადგან არსებობდა ზედდება მოცემულ მიწის ნაკვეთსა და მესამე პირების მიწის ნაკვეთებს შორის, რასთან დაკავშირებითაც პრეტენზიას გამოთქვამდნენ მესამე პირები;

16.3. 2016 წლის 30 სექტემბერს მოიჯარემ განცხადებით მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგნენტოს ახალი იჯარის ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნით იმ საფუძვლით, რომ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთან დაკავშირებით მიმდინარებდა და ადმინისტრაციული წარმოება.

16.4. აღნიშნული ფაქტები, სააპელაციო სასამართლოს აძლევ-და შესაძლებლობას გამოეტანა დასკვნა სააპელაციო საჩივარში ასახული აპელანტის ახსნა-განმარტების დასაბუთებულობასთან მიმართებით, რაც იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას. სახელდობრ, ვინაიდან დადგენილია, რომ აპე-

ლანტს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობაში გადაეცა ნაკლანი ნივთი, რის გამოც საიჯარო დროის განმავლობაში მოიჯარეს წარმომადგრადა სარგებლობისა და შესაბამისად, ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, საკასაციო პალატას აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობა საქმარისად მიაჩნია იმის-თვის, რომ სასამართლო მოთხოვნა ხსნებული იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში საიჯარო ქირისა და პირგასამტებლოს დაკისრების შესახებ, სსკ-ის 581-ე, 533-ე და 541-ე მუხლების საფუძველზე, უარეყო.

17. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ და მატერიალურ სამართლებრივ საფუძვლებს, ანუ არ შეიცავს იმ საპატიო გარემოებათა აღნერას, რაც მონინააღმდეგე მხარის სხდომაზე გამოუცხადებლობის პირობებში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას გამორიცხავდა.

18. ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული, ვინაიდან არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სსკ-ის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264.3-ე, 404-ე, 408-ე, 410-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დაუსწრებელი გადაცყველების გაუქმების საფუძვლები

### განხილება საქართველოს სახელით

№ას-1674-2019

14 სექტემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: პ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა,  
სამკვიდროს მიკუთვნება, უღირს მემკვიდრედ ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:

1.1. გ. რ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, საჩივრის ავტორი, აპე-  
ლანტი ან კასატორი) სარჩელი აღმდრა სასამართლოში ი. ხ-ასა და კ.  
კ-ძის (შემდგომში – პირველი და მეორე მოპასუხე, მოწინააღმდე-  
გე მხარეები) მიმართ და მოითხოვა 2014 წლის 3 ოქტომბერს და-  
დებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად  
ცნობა, პირველი მოპასუხის უღირს მემკვიდრედ აღიარება და სამ-  
კვიდრო ქონების მოსარჩელისათვის მიკუთვნება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

ან გარდაცვლილმა მ. რ-მა (შემდგომში – მამკვიდრებელი) 2012  
წლის 19 სექტემბერს შეადგინა ანდერძი, რომლის თანახმადაც ქ.  
თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონების მემკვიდრეები არიან მო-  
სარჩელე და პირველი მოპასუხე. აღნიშნულ უძრავ საკუთრებაში  
პირველი მოპასუხე მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდა და  
ზრუნავდა მასზე. მამკვიდრებელს აღენიშნებოდა ფსიქიკური  
პრობლემები, ხოლო პირველმა მოპასუხემ, მასზე ზრუნვისაგან  
თავის არიდების მიზნით, მამკვიდრებელი მიაპარა ფსიქიატრიულ  
დაწესებულებაში. იმისთვის, რომ სრულიად ესარგებლა სამკვიდ-  
რო ქონებით, 2014 წლის 3 ოქტომბერს ნასყიდობის ხელშეკრულე-  
ბის საფუძველზე პირველმა მოპასუხემ სამკვიდრო ქონება მიჰყი-  
და მეორე მოპასუხეს, თავად კი, შეიძინა სხვა ბინა. ხელშეკრულე-  
ბის გაფორმების დროს მამკვიდრებელს ჰქონდა ფსიქიკური აშლი-  
ლობა, რის შესახებაც ცნობილი იყო მოპასუხებისათვის. ამდენად,

პირველი მოპასუხის ქმედება იყო ამორალური და მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების წინააღმდეგ მიმართული. ანდერძისმიერი სა-მემკვიდრეო მოწმობის თანახმად, გარდაცვლილის ქონება ერთპი-როვნულად მიიღო საკუთრებაში მოსარჩევებმ.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხეებმა სარ-ჩელი არ ცნეს, მათ სადაცოდ არ გაუხდიათ არც მამკვიდრებლის მიერ ანდერძის მოსარჩელისა და პირველი მოპასუხის სახელზე შედგენის და არც სამკვიდროს 1/2-ის მოსარჩელის მიერ მიღების ფაქტი, თუმცა, განმარტეს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების და-დების დროისათვის მამკვიდრებელი იყო სრულიად ჯანმრთელი, ჰქონდა საღი აზროვნებისა და მეტყველების უნარი. სენილური დე-მენცია განუვითარდა გარდაცვალებამდე დაახლოებით წელიწად-ნახევრით ადრე. დაზუსტებულ შესაგებელში მეორე მოპასუხემ და-მატებით აღნიშნა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია ნამდვილი ნების საფუძველზე, მან საკუთრებაში მიიღო ქონება და გადაიხადა საფასური, იგი კეთილსინდისერი შემძენია და არ არსებობს მისთვის საკუთრების ჩამორთმევის წინაპირობა.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწ-ყვეტილების/განჩინების სარეზოლუციის წარადგინები:**

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიის 2018 წლის 11 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, სარჩელი უარყოფილ იქნა;

3.2. ამავე სასამართლოს 2018 წლის 18 დეკემბრის განჩინებით კი, მოსარჩელის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო დაუსწრებე-ლი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება/გან-ჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მა-თი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

## **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციის წარადგინები:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-ლატის 2019 წლის 3 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვე-ტილება/განჩინება დარჩა უცვლელად.

## **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასა-ჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასა-მართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაპრუნება.

## **სამოტივაციო წარადგინები:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივ-

რებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის მიზეზები და მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:**

**1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხლვის ფარგლები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინციდენტივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითებული ფაქტებისა.

1.1.1. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატის შეფასების საგანს სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება წარმოადგენს. საკასაციო საჩივრის თანახმად კი, სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე უარი ფორმალური მოტივით განაცხადა, რამდენადაც მან წარმომადგენლის მიერ საჩივარზე დართული ჯანმრთელობის ცნობა არ გაიზიარა იმ საფუძვლით, რომ არ იყო დოკუმენტი ჯანდაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად გაცემული, ამასთანავე, მხარეს არ მიეცა დამატებითი ვადა, წარედგინა კანონის მოთხოვნათა დაცვით გაცემული საბუთი. აღნიშნულით სასამართლომ მხარის წარმომადგენლებს დააკისრა არაგონივრული ვალდებულება, იცოდეს ჯანმრთელობის ცნობის გაცემის წესი. სააპელაციო განხილვისას სხდომა არ ჩატარდა მოსამართლის ავადმყოფობის გამო, ხოლო, შემდგომ ეცნობათ მხარეებს, რომ ზეპირი მოსმენა არ გაიმართებოდა, რის შემდეგაც სააპელაციო საჩივარი არ დაკამაყოფილდა. ზეპირი მოსმენის ჩატარება კი საჭირო იყო მხარეთა მიერ პოზიციების წარსადგენად. უდავოა, რომ მოსარჩელეს დავის მიმართ იურიდიული ინტერესი გააჩნია. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს განჩინება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრატიკის (სუსგ-ებები: №ას-516-516-2018; №ას-955-917-2014; №ას-1277-1197-2017; №ას-1666-1654-2011; 227-214-2015) და ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართლს (ბართაია საქართველოს წინააღმდეგ). მოცემულ საქმეზე არ დგინდება:

- მოსარჩელის მიერ პროცესის გაჭიანურების მცდელობა;
- დავის მიმართ იურიდიული ინტერესის დაკარგვა;
- სახეზე არ არის მოსარჩელის მიმართ სასამართლო განხილვის უფლების შეზღუდვის პროპორციული მიზანი;

– დაუსწრებელი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას;

– წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მხარისათვის შეუძლებელი იყო, როგორც დანიშნულ დროს სასამართლოში გამოცხადება, ისე – სასამართლოს ინფორმირება.

**1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ:**

საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დასვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

**1.2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 ივნისის განჩინებით მოცემულ საქმეზე დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 11 ოქტომბერს, 13:00 საათზე. მხარეებს სხდომის თარიღი ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, კერძოდ, როგორც მოსარჩელე გ. რ-ს, ისე – მის წარმომადგენელ მ. მ-ძეს უწყება ჩაპარდათ ფოსტით;**

**1.2.2. 2018 წლის 11 ოქტომბერს, 11:41 საათზე მოსარჩელის წარმომადგენელი დაუკავშირდა მოსამართლის აპარატს და აცნობა, რომ 2018 წლის 11 ოქტომბერს, 13:00 დანიშნულ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდებოდა 15 წუთის დაგვიანებით. მოგვიანებით, 12:52 წუთზე მოსარჩელის წარმომადგენელი ისევ დაუკავშირდა მოსამართლის აპარატს, რომ 20 წუთი აგვიანდებოდა სხდომაზე გამოცხადება და ითხოვა აღნიშნული გარემოების სასამართლოს მიერ გათვალისწინება. სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოსარჩელის თხოვნა და მ. მ-ძის მიერ მითითებული დროის, 20 წუთის განმავლობაში სასამართლო სხდომა არ გახსნილა. სასამართლოს განრიგის გათვალისწინებით 13:21:58 საათზე სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გაიხსნა, რომელზეც არ გამოცხადდა მოსარჩელე მხარე და მისი წარმომადგენელი;**

1.2.3. ამავე სხდომაზე მოპასუხეების წარმომადგენლებმა იშუ-ამდგომლეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე;

1.2.4. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარს მოსარჩელის წარმომადგენელმა დაურთოვ სტომატოლოგიური კლინიკა „დ. დ-ის“ მიერ 2018 წლის 24 ოქტომბერს გაცემული სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV-100/ა – ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომლის თანახმადაც მ. მ-ძე 2018 წლის 11 ოქტომბერს იმყოფებოდა სტომატოლოგიურ კლინიკაში, აღენიშნებოდა პულპიტური ტკივილი ოცდამეთექვსმეტე კბილის არეში, ანესთეზიაზე ალერგიული სიმპტომების გამოვლენით, რის გამოც მოხდა პაციენტის მეთვალყურეობის ქვეშ დაკვირვება, პაციენტს ჩატუარდა კბილის პრეპალირება, დაბჯენა ლეპულპაცია. საჩივარის ავტორმა სასამართლო სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ მისი სურვილის მიუხედავად, ქალაქში იმ პერიოდისთვის მიმდინარე გზების სამშენებლო-სარებალიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული გადაწვირთული საავტომობილო მოძრაობის გამო იცოდა/გარაუდობდა რომ დროულად ვერ გამოცხადდებოდა 2018 წლის 11 ოქტომბერს, 13:00 საათზე დანიშნულ სასამართლო სხდომაზე, ამიტომ დაგვიანების შესახებ პერიოდულად აფრთხილებდა მოსამართლის აპარატს.

### 1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დაკავნები:

1.3.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

1.3.2. საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით პალატა ყურადღებას გაამახვილებს საკითხის შეფასები-სათვის მნიშვნელობის შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ნესს არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავი, კერძოდ კი, სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის სახეზე უნდა იყოს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები (სსსკ-ის 229.1 მუხლი):

ა) მოსარჩელე/მისი წარმომადგენელი სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის, ასევე, გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მის მიმართ გასატარებელი შესაძლო საპროცესო ღონისძიების თაო-

ბაზე ინფორმირებული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით;

ბ) მოსარჩელე/მისი წარმომადგენელი არ უნდა გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე, ამასთანავე, სასამართლოს არ უნდა მოებოვებოდეს ცნობები გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობის შესახებ;

გ) გამოცხადებული მოპასუხე უნდა შუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

ამ ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა საქმარისია, რომ სასამართლოს ჩამოყალიბდეს შინაგანი რწმენა მოთხოვნის წარუმატებლობისა და იგი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით უარყოფს სარჩელს.

1.3.3. რაც შეეხება მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, მისი საფუძვლები ამომწურავადაა რეგლამენტირებული კანონში (სსსკ-ის 233.1 და 241-ე მუხლები) კერძოდ:

ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის;

გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები;

დ) არ არსებობს სარჩელის აღდერის წინაპირობები;

ე) არსებობს სხვა საპატიო მიზეზი, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

1.3.4. განსახილველ შემთხვევაში, როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი, ისე – საპელაციო და საკასაციო საჩივრები ემყარება იმას, რომ მხარის წარმომადგენელს გააჩნდა საპატიო მიზეზი, კერძოდ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ის ვერ გამოცხადდა სხდომაზე, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. ქვემდგომი სასამართლოების დასკვნით, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, ფორმალური თვალსაზრისით არ ამართლებდა მოთხოვნას, რამდენადაც მასში არ იყო მითითებული გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ, გარდა ამისა, სამედიცინო ცნობა არ შეიცავდა ექიმისათვის მიმართვისა და კლინიკიდან განერის კონკრეტულ საათს. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დაარღვიეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ შეაფასეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილი მტკიცე-

ბულებები და საქმის ფაქტობრივი გარემოებები. პალატა განმარტავს, რომ საპროცესო სასამართლის მიზნებისათვის საპატიო მიზეზის ცნებას ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ცნობის მიმართ საპროცესო კანონმდებლობით დაწესებული მოთხოვნები შესაძლებელია სასამართლომ არც კი შეაფასოს კრიტიკულად იმ შემთხვევაში, თუკი თავად ცნობის შინაარსი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ პირს არ შეუძლია სასამართლოში გამოცხადება, რამდენადაც თავად სამედიცინო ცნობა არაფრით განსხვავდება საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მტკიცებულებებისაგან და მას რაიმე წინასწარ დადგენილი ძალა არ გააჩინია, არამედ იგი სასამართლომ მტკიცებულებათა კვლევისათვის დადგენილი სტანდარტით უნდა შეამოწმოს (მრავალთა შორის იხ. სუსგ-ებები: №ას-516-516-2018, 13 ივლისი, 2018 წელი; №ას-955-917-2014, 24 ივლისი, 2015 წელი; №ას-187-179-2016, 6 მაისი, 2016 წელი; №ას-1277-1197-2017, 1 დეკემბერი, 2017 წელი).

1.3.5. საკასაციო პალატა საქმეში წარმოდგენილი ფორმა №V-100/ა-ს შესწავლის შედეგად იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას იმის თაობაზე, რომ ამ ცნობით არ დასტურდება სხდომის დროს იმყოფებოდა თუ მის შემდეგ მხარე კლიინიკი, თუმცა, მისი შცდელობა, გამოცხადებულიყო სასამართლოში და ეცნობებინა დაგვიანების შესახებ მოსამართლის აპარატისათვის ასევე უნდა შეფასდეს ამ დოკუმენტთან ერთობლიობაში, რაც წაკლებად სავარაუდოს ხდის მოსარჩელის წარმომადგენლის არასაპატიო მიზეზით გამოცხადებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ დაძლია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის კანონმდებლობით მისთვის დაწესებული ტვირთი.

1.3.6. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაუსწრებელი გა-დაწყვეტილების მარეგულირებელი წორმების სისტემური ანალიზიდან გამომდინარე (ცინაიდან დაუსწრებელი გადაწყვეტილების

მიმღები სასამართლო თავადვე არკვევს ამ გადაწყვეტილების კანონიერებას გამოუცხადებელი მხარის საჩივრის საფუძველზე), დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს ვალდებულებაა, დაიცვას ბალანსი მხარეთა ინტერესებს შორის და დაუსწრებელი წარმოებისას უსაფუძვლოდ არ შეუზღუდოს გამოუცხადებელ მხარეს სამართლიან განხილვაზე ხელმისაწვდომობა, ასევე, შეძლების დაგვარად თანასწორობის პირობებში წარმართოს პროცესი. პრეცედენტული სამართლის თანახმად, მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს თითოეულ მხარეს ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომელიც არ ჩააყენებს მას მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში მის მოწინააღმდეგ მხარესთან მიმართებით (იხ. „ნიდეროსტ-ჰუბერი შვეიცარიის წინააღმდეგ“, (Niderost-Huber v. Switzerland), 18/02/1997, §23, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა კრებული 1997-ს; „კრესი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Kress v. France) [დიდი პალატა], №39594/98, §72, ECHR 2001-VI; „ეივონი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Yvon v. France), №44962/98, §31, ECHR 2003-V; და „გორაიზარა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ (Gorraiz Lizarraga and Others v. Spain), №. 62543/00, §56, ECHR 2004-III). ეროვნული ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ „სამართლიანი განხილვის“ მოთხოვნები თითოეულ საქმეზე (იხ. Dombo Beheer B.V. ნიდერლანდების წინააღმდეგ (Dombo Beheer B.V. v. the Netherlands), 27/10/1993, §33, Series A №. 274). კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი არ ითვალისწინებს დოკუმენტების გაგზავნის კონკრეტულ ფორმას (იხილეთ „ბოგონოსი რუსეთის წინააღმდეგ“ (Bogonos v. Russia (dec.), № 68798/01, 05/02/2004, და „ორამსი კვიპროსის წინააღმდეგ“ (განჩინება) (Orams v. Cyprus (dec.), № 27841/07, 10/06/2010), თუმცა, სამართლიანი სასამართლოს ზოგადი კონცეფცია მოიცავს შეჯიბრებითი სამართლნარმოების ფუნდამენტურ პრინციპს (იხ. რუიზ-მატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ (Ruiz-Mateos v. Spain), 23/06/1993, §63, Series A №262). კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს, მოაწყონ მათი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტურ სამართლნარმოებებს, მათ შორის, დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის კუთხით (იხ. „აზდაჯიჩი სლოვენიის წინააღმდეგ“ (Azdajic v. Slovenia), no. 71872/12, §49, 08/10/2015, და „განკინი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ (Gankin and Others v. Russia), nos. 2430/06, 1454/08, 11670/10 და 12938/12, §26, 31/05/2016), თუმცა, აღნიშნული არ შეიძლება განხორციელდეს სხვა პროცედურული სამართლების მიღების შესაძლებლობის კუთხით.

ლი გარანტიების, განსაკუთრებით მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე. საქმეში – „დილიპაკი და კარაკაია“ (Dilipak and Karakaya) ევროსასამართლომ გადაწყვიტა სისხლის სამართლის საკითხებისადმი მისი მიდგომის სულისკვეთება გადმოეტანა და დაუსწრებელი სისხლის სამართალწარმოების პროცესში განვითარებული პრინციპები მიესადაგებინა სამოქალაქო სამართალწარმოების მიმართაც. შესაბამისად, აღნიშნულ საქმეში, სასამართლო დაეყრდნო მის პრეცედენტულ სამართალს, რომლის მიხედვითაც სამართლიანობის უარყოფა დგინდება, როცა პროცესზე დაუსწრებლად შეჯავრდებულ პირს არ აქვს საშუალება, მიიღოს პრალდების არსის ცხადი განმარტება იმ გარემოებებში, როცა არ არის დადგენილი მის მიერ სასამართლოში გამოცხადების უფლებასა და საკუთარი თავის დაცვის უფლებაზე უარის თქმა (იხილეთ „კოლოზა იტალიის წინააღმდეგ“ (Colozza v. Italy), 12/02/1985, §29, Series A no. 89; „ეინორნი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Einhorn v. France) (dec.), no. 71555/01, §33, ECHR 2001-XI; „კრომბახი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Krombach v. France) no. 29731/96, §85, ECHR 2001-II; და „სეჯდოვიჩი იტალიის წინააღმდეგ“ (Sejdic v. Italy) [დიდი პალატა], no. 56581/00, §82, ECHR 2006-II] ან როცა იგი მიზნად არ ისახავს მართლმსაჯულებისგან თავის დაღწევას (იხილეთ „მედენიკა შვეიცარიის წინააღმდეგ“ (Medenica v. Switzerland), no. 20491/92, §55, ECHR 2001-VI). ამასთან, კონვენციის მე-6 მუხლის არც ფორმალური და არც შინაარსობრივი მხარე ხელს არ უშლის პირს საკუთარი თავისუფალი ნებით გამოხატულად ან ნაგულისხმევად უარი თქვას სამართლიანი სასამართლოს გარანტიებზე (იხილეთ „ჰერმი იტალიის წინააღმდეგ“ (Hermi v. Italy) [დიდი პალატა], no. 18114/02, §73, ECHR 2006-XII), თუმცა, ასეთი უარი დადგენილი უნდა იყოს ცალსახად და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი მნიშვნელობის შესაბამისი მინიმალური გარანტიებით (იხ. „პოტრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Potrimol v. France) 23/11/1993, §31, Series A no. 277-A) და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს (იხ. „სეჯდოვიჩი“ (Sejdic v. Italy) §86, და „დილიპაკი და კარაკაია“ (Dilipak and Karakaya), §79, აგრეთვე, „ნატოვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Natsvlishvili and Togonidze v. Georgia), no. 9043/05, §91, ECHR 2014 (ამონარიდები)).

1.3.7. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ ადვოკატის საპატიო მიზეზით სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს უშუალოდ მხარეს და აღნიშნული მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას/ძალაში დატოვებას დაედოს საფუძვლად. საკასაციო სასამართლოს მყარად დადგენილი ერთგვაროვანი პრაქ-

ტიკის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაა იმპერატორული ხასიათის და მხარეს მხოლოდ უფლებით აღჭურავს, თავადაც მიიღოს მონანილეობა საქმის განხილვაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჰყავს ნარმომადგენელი. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, როდესაც მხარე მისი უფლების დაცვის შესაძლებლობას ნარმომადგენელს ანიჭებს, მათ შორის არსებული ურთიერთობის განსაკუთრებული ნდობის გათვალისწინებით, თუ ნარმომადგენელი მინიჭებულ უფლებამოსილებას ეკოილ-სინდისიერად ახორციელებს, ნარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის დადგომის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს, რადგანაც მხარე ორიენტირებულია ადვოკატის მიერ მისი უფლების კვალიფიციურად დაცვაზე (მრავალთა შორის იხ. სუსგ-ებები: №ას-1666-1654-2011, 8 დეკემბერი, 2011 წელი; №ას-227-214-2015, 16 მარტი, 2015 წელი; №ას-1277-1197-2017, 1 დეკემბერი, 2017 წელი; №ას-853-797-2017, 28 ივნისი, 2017 წელი).

1.3.8. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის პრეტეზიებს სააპელაციო პალატის მიერ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვასთან დაკავშირებით. ამ მხრივ კასატორი მიიჩნევს, რომ მას ნაერთვაში შეჯიბრებისა და საქმის საქვეყნო მოსმენის უფლება, ხოლო სასამართლოშ საქმის მასალები არ გამოიკვლია საკმარისად. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ... სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ სააპელაციო განხილვის თითოეული ეტაპი ცნობილი იყო მხარეებისათვის, მათ გადაეგზავნათ საქმეში არსებული მასალები და ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თარიღის, ასევე, განხილვის ფორმის თაობაზე, შესაბამისად, აპელანტს სრული უფლება ჰქონდა, სასამართლოსათვის წერილობით წარედგინა ნებისმიერ საკითხზე საკუთარი პოზიცია. საკასაციო საჩივარში მხარე მართალია, პრეტეზიას აცხადებს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის კანონიერებაზე, თუმცა, საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ მსჯელობას, მისი რა უფლება დაირღვა აღნიშნულით. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით პალატა დამატებით მოშევლიებს პრეცედენტულ სამართალსაც. ადამიანის უფლებათა ევროსასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა არ მიიჩნია ევროკონვენ-

ციის 6.1. მუხლის დარღვევად და ყურადღება გაამახვილა იმ გარე-მოქმედაზე, რომ მხარეს ეცნობა, როგორც საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გადადების შესახებ, ასევე ჩაბარდა სათანადო შეტყობინება საქმის განხილვის დაწყებამდე, ხოლო საქმის მასალები არ მიუ-თითებდა იმაზე, რომ ზეპირი განხილვის სანაცვლოდ მხარისათვის შეთავაზებული წერილობითი პროცედურა არ იყო გამჭვირვალე და შეიცავდა სხვა წინაპირობებს, რომლებიც უჭვევებ დააყენებდა მის სამართლიანობას (იხ. ECHR: „რიგამაძე საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი იუ: 2745/03, 31.07.2007წ. გადაწყვეტილება).

1.4. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სა-სამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცე-სუალური დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პა-ლატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და ვინაი-დან საჭიროა მტყიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, ამავე კო-დექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძ-ველზე, საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასა-მართლოს, რომელმაც წინამდებარე განჩინების კვლევით ნაწილში ასახული სამართლებრივი დასაბუთების გათვალსწინებით უნდა იმსჯელოს და დაადგინოს არსებობს თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებული გადაწყვეტილების/მისი ძალაში და-ტოვების შესახებ განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები.

## 2. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დას-რულებულა, პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად (თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილ-ველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განცეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხ-ლის მიხედვით) პროცესის ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შე-მაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

## დ ა დ გ ი ნ ა:

1. გ. რ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დაუსცრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები

### განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1808-2019

27 ნოემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მიქაბერიძე,  
მ. ერემაძე

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება

### აღნერილობითი ნაწილი:

1. სასამართლოში სარჩელი აღძრა ლ. ვ-ამ (შემდეგში: მოსარჩელე, მყიდველი, აპელანტი) მ. მ-ისა (შემდეგში: პირველი მოპასუხე, კასატორი) და ს. ჯ-ძის (შემდეგში – მეორე მოპასუხე) წინააღმდეგ. მოსარჩელემ მოითხოვა ქ. ქუთაისში, ... ქ. №47-ში მდებარე უძრავი ქონების (შემდეგში: უძრავი ქონება, უძრავი ნივთი, საცხოვრებელი სახლი) 2014 წლის 21 მაისის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების (შემდეგში: სადაც ხელშეკრულება) ბათილად ცნობა და მოპასუხებისათვის 20 000 აშშ დოლარის დაკისრება.

2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით: სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის დადებული განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება და ამ უკანასკნელს მოსარჩელის (მყიდველის) სასარგებლოდ 20 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა; პირველი მოპასუხეს მიმართ მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარ-

ჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა რა მოსარჩელემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 2 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით: მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა; პირველ მოპასუხეს მეორე მოპასუხესთან სოლიდარულად, მოსარჩელის სასარგებლოდ 20 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა.

4.1. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა პირველი მოპასუხე, რომელიც კანონით დადგენილი წესით გააფრთხილი იყო აღნიშნული სხდომის დროისა და გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე. ამასთან, მოსარჩელემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსკ) 233.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, (სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოუცხადებლობისათვის) გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა არ დგინდებოდა. სასამართლოს განმარტებით, ასეთ პირობებში დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა სარჩელის დაკმაყოფილების, კერძიდ, მოსარჩელის მიერ გადაცემული 20 000 აშშ დოლარის, როგორც მეუღლეთა საერთო ვალის, პირველი მოპასუხისათვის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში, სსკ-ის 463-ე-464-ე მუხლები, 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 979.1, 1152-ე, 1170.2 მუხლები).

5. დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა პირველმა მოპასუხემ, ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა და მის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 20 ნოემბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

7. დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, ასევე, ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინებას საკასაციო წესით ასაჩივრებს პირველი მოპასუხე, რომელიც მოითხოვს მათ

**გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით მის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. საკასაციო საჩივარი შემდეგ-ნაირადაა დასაბუთებული:**

7.1. დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სასამართლოს სარჩელი პირველი მოპასუხის მიმართ არ უნდა დაეკმაყოფილებინა, რადგან იგი სადავო ხელშეკრულების მხარე არ ყოფილა. სასამართლოს არ უმსჯელია, თუ რამდენად გამართლებული იყო მოსარჩელის მოთხოვნა პირველი მოპასუხის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას, რაც სსსკ-ის 230.2 მუხლიდან გამომდინარე, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2020 წლის 5 ივნისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391.5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასა-ციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

9. საკასაციო პალატის განხილვის საგანია, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე პირველი მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების კანონიერება. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სადავო ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და 20 000 აშშ დოლარის მეორე მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული (სსსკ-ის 264.1 მუხლი).

10. სსსკ-ის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 230.1 მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ხოლო ამ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევა-

ში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. იგივე შინაარსის პრინციპი ასახულია სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების მოწესრიგებელ ნორმებში, კერძოდ, სსკ-ის 387.2 მუხლით დადგენილია, რომ, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პრის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება, დაემყაროს მომჩინის ახსნა-განმარტებას.

11. ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმებიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ შესაბამისი წინაპირობების არსებობსას კანონმდებელი უზვებს დადგენილი წესიდან გამონაკლისს, როდესაც სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრაში დასახელებულ ფაქტობრივ გარემოებებს ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე დადგენილად მიიჩნევს, მათ გაიზიარებს და თუკი ისინი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას იურიდიულად ამართლებენ, სააპელაციო საჩივარს დააკმაყოფილებს. ამდენად, დასახელებული ნორმების მიხედვით, მოპასუხის საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ფაქტი თავისთავად კი არაა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების საწინდარი, სასამართლო ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს და ქმნის ამა თუ იმ ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების აპსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდეგ სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის ქმნები ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აპსტრაქტულ აღნერილობას აკმაყოფილებს თუ არა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის წარმატების საფუძველია, ხოლო, თუ აღმოჩნდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად არ ამართლებს სარჩელში მითითებულ გარემოებებს, სასამართლო სარჩელს არ დააკმაყოფილებს (შდრ. სუსგ: №ას-1337-2019, 2020 წლის 2 მარტის განჩინება).

12. საკავასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო საჩივრაში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს აპელანტის მოთხოვნას. მოცემული კუთხით კასატორის პრეტენზის შეფასებისას საყურადღებოა აპელანტის მიერ მითითებული გარემოებების ძირითადი შინაარსი, ის მთავარი ფაქტები, რომლებსაც აპელანტი ეყრდნობა, რაც კანონის თანახმად დამტკიცებულად უნდა მივიჩნიოთ და რამაც საბოლოოდ

სააპელაციო საჩივრის იურიდიული ბედი უნდა განსაზღვროს.

სააპელაციო საჩივრის დამასაბუთებელი კონკრეტული ფაქტების აღსანერად ლ. კ-ას სასარჩელო განცხადებას უნდა მივმართოთ, საიდანაც ირკვევა, რომ: მოპასუხეები არიან მეუღლეები; 2014 წლის 21 მაისს მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის დაიდო საცხოვრებელი სახლის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება; ამ ხელშეკრულებით ნასყიდობის საგნის ფასი 120 000 აშშ დოლარით განისაზღვრა; ხსენებული თანხიდან 20 000 აშშ დოლარი მოსარჩელემ ხელშეკრულების ხელმოწერამდე გადაიხადა და საცხოვრებელ სახლში ცხოვრება დაიწყო; მოგვიანებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება დადგებული ყოფილა აღნიშნული სახლის ეზოში მდებარე ფარდულზე და, არა – უშუალოდ საცხოვრებელ სახლზე; 2015 წლის 5 ოქტომბერს მეორე მოპასუხებ უძრავი ქონება ჩატარდა ხელშეკრულებით, თვალთმაქცურად, პირველ მოპასუხეს გადასცა; 2018 წლის 21 თებერვლის ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულებით მეორე მოპასუხებ პირობა დადო, რომ 20 000 აშშ დოლარს მოსარჩელეს 2 წლის განმავლობაში, ეტაპობრივად დაუბრუნებდა.

12.1. ამდენად, სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის (პირველი მოპასუხისათვის თანხის დაკისრება) საფუძვლად დასახელებულია 2014 წლის 21 მაისის უძრავი ნივთის განვადებით ნასყიდობისა და 2018 წლის 21 თებერვლის ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებები, თუმცა ისინი აპელანტის მოთხოვნის დაქმაყოფილებას პირველი მოპასუხის მიმართ ვერ ასაბუთებენ.

როგორც ლ. კ-ა აღნიშნავს, ორივე შემთხვევაში, ხელშეკრულება მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის დაიდო, პირველი მოპასუხე არც ერთი გარიგების მხარე არ ყოფილა, შესაბამისად, იგი აპელანტის სადაცო მოთხოვნის ადრესატად ვერ განიხილება.

აქედან გამომდინარე, აპელანტის მოთხოვნა, ლ. კ-ას მიერ სასარჩელო განცხადებაში დასახელებული ფაქტების გათვალისწინებით, იურიდიულად გამართლებული არ არის ვინაიდან მის მიერ მოთხოვნის საფუძვლად მითითებული გარემოებები არ ასაბუთებენ მოსარჩელის მიმართ პირველი მოპასუხის რაიმე ვალდებულების არსებობას.

13. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს სსსკ-ის 241-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, კერძოდ, სარჩელი იურიდიულად ნაწილობრივ გამართლებული არ იყო, რის გამოც, უნდა გაუქმდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ სააპელაციო პალატის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

14. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრონებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: а) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; б) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, ვინაიდან საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

15. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განხეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ნაწილობრივ გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 2 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ასევე გაუქმდეს სასამართლოს 2019 წლის 20 ნოემბრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 5. სასამართლო გადაცევის ფილება

### გადაცევის ფილების აღსრულების განაცილვაზე

განხილვა  
საქართველოს სახელით

№ას-811-811-2018

20 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: №.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
გ. ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

#### აღწერილობითი ნაწილი:

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით შპს „დ-ის“ (შემ-დგომში – მოპასუხე, განმცხადებელი, შპს) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასა-მართლოს 2016 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება და ვ. შ-ის (შემ-დგომში – მოსარჩელე) სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მო-სარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 28 000 აშშ დოლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

#### საკასაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწი-ლი:

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2017 წლის 29 დეკემბრის განჩინებით მოპასუხის სა-კასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

#### განმცხადებლის მოთხოვნა:

3. მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოს მიმართა განცხადე-ბით და მოითხოვა მისთვის დაკისრებული 28 000 აშშ დოლარის მო-სარჩელისათვის გადახდის ერთი წლის ვადით განაწილვადება.

4. განმცხადებელმა მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული თანხის გა-დახდა საწარმოს ძირითადი საშუალებების გაყიდვის, ანუ მისი გა-კოტრების გარეშე შეუძლებელია. შპს-ს ყოველთვიური შემოსავა-ლი შეადგეს 6710 აშშ დოლარს, საიდანაც დამატებითი ღირებუ-ლების გადასახადია 1023 აშშ დოლარი, გასაცემი ხელფასები – 2832 აშშ დოლარი. ამდენად, დარჩენილი 2855 აშშ დოლარიდან მიზან-

შეწონილი იქნება ერთ წელს განაწილვადებული თანხის – 2334 აშშ დოლარის გადახდა.

### **სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნა- ნილი:**

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მაისის განჩინებით მოპასუხის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით დაკისრებული 28 000 აშშ დოლარი გაუნაწილვადა 10 თვეზე 2018 წლის 29 მაისიდან 2019 წლის 29 მარტამდე და თითოეულ თვეზე გადასახდელ თანხად განისაზღვრა 2 800 აშშ დოლარი შემდეგ გარემოებათა გამო:

6. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) მე-10 მუხლი ადგენს სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულო ხსასიათს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოა საქართველოს ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. ამდენად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების გადადების, შეჩერების საკითხები მკაცრადაა რეგლამენტირებული მოქმედი კანონმდებლობით, გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის, განსაკუთრებულ შემთხვევებში და შეზღუდული ვადით.

7. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მესამე პუნქტისა და სსსკ-ის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ დასახელებული ნორმა ითვალისწინებს სასამართლოს შესაძლებლობას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და ორივე მხარის კანონიერ ინტერესთა ურთიერთშეჯერების შედეგად ერთჯერადად, არა უმეტეს 3 თვისა, გადადოს ახ ერთ წლამდე ვადით გაახაწილვა-დოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, ასევე შეცვალოს გადაწყვეტილებით დადგენილი აღსრულების პირობები და საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევეაში, თუ მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს რაიმე ობიექტური გარემოების არსებობას ან მიუ-თითებს თავის მძიმე ქონებრივ მდგომარეობაზე, რაც, სასამართლოს შეფასებით, საფუძვლად დაედება გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ ზემოქსენებულ ღონისძიებათა გამოყენებას. საპროცესო ღონისძიებების განხორციელებისას მნიშვნელოვანია ორივე მხარის უფლებათა დაცვა.

8. აღსრულების განაწილვადება ნიშნავს სასამართლო გადაწყვეტილების ეტაპობრივად აღსრულების დადგენას. სასამართლომ უნდა განსაზღვროს ზუსტი კალენდარული დრო, რომელშიც უნდა მოხდეს აღსრულება. გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვა-დებისას სასამართლო ითვალისწინებს როგორც კრედიტორის, ასე-ვე მოვალის ინტერესებს და მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების გა-ნაწილვადება უნდა ემსახურებოდეს გადაწყვეტილების აღსრულე-ბას და იგი დასაშვებია, თუ არსებობს ამისათვის გონივრული სა-ფუძველი.

9. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, ზოგადად კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები დამყარებულია მხარეთა თანასწორობაზე, თუმცა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტი-ლების აღსრულების ეტაპზე უპირატესი კრედიტორის ინტერესია. საალსრულებო წარმოება ხორციელდება სწორედ კრედიტორის ინ-ტერესების დასაკმაყოფილებლად მოვალის ქონებისა თუ სხვა მა-ტერიალური ხარჯების განკარგვის გზით. მხარეთა ამგვარ მდგო-მარებას ლეგიტიმურ ის გარემოება ხდის, რომ კრედიტორს, რომ-ლის დარღვეული უფლებრივი მდგომარეობა მართლმსაჯულების კანონიერ ძალაში შესული აქტით არის აღდგენილი, ჰქონდეს რეა-ლური გარანტია, უფლების რეალიზაციისა.

10. მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, კანონმდებლობა გარკვე-ულ ბალანსს ადგენს კრედიტორისა და მოვალის ინტერესებს შო-რის და კრედიტორის უფლებრივი მდგომარეობის უპირატესი გათ-ვალისწინებით, დასაშვებად მიიჩნევს მოვალის უფლებების დაც-ვას, რათა ხელისუფლების ორგანოს ქმედებით (საალსრულებო ორ-განოები) მოვალეს არ მიადგეს გამოიუსწორებელი ზიანი. ამგვარ სა-შუალებათაგან ერთ-ერთს წარმოადგენს სწორედ საპროცესო კო-დექსით გათვალისწინებული აღსრულების ერთჯერადად გადადე-ბა, მისი განაწილვადება და სხვა, ამ თვალსაზრისით საინტერესოა ასევე „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანო-ნის მე-18 მუხლით დადგენილი კრედიტორისა და მოვალის უფლე-ბები, სადაც ასევე გათვალისწინებულია გადაწყვეტილების აღსრუ-ლების ეტაპზე მხარეთა მორიგების შესაძლებლობა.

11. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტობ-რივი გარემოებები, რომ შპს-ს შემოსავლები ყოველთვიურად შე-ადგენს 6710 აშშ დოლარს, რასაც ადასტურებს განცხადებაზე თან-დართული 2018 წლის 23 მაისის №... ცნობა. ამასთან, განცხადება-ზე თანდართული 2018 წლის 23 მაისის ცნობით ასევე დასტურდე-ბა, რომ შპს-ს დარიცხული ხელფასები ყოველთვიურად შეადგენს 6900 ლარს, რაც 2018 წლის 23 მაისის არსებული კურსით შეადგენს

2 832 აშშ დოლარს. ამდენად, აღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ მოპასუხეს არ მიადგენს ზიანი და არ აღმოჩნდეს გაკოტრების საფრთხის წინაშე, სააპელაციო პალატამ მიზანშეწონილად ჩათვალა მოვალის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების 10 თვის ვადით განაწილვადება.

#### **კერძო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:**

12. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

13. კერძო საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ სსსკ-ის 263-ე მუხლის პირველი ნაწილი არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება კრედიტორისთვის საზიანოდ იქცეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებით მძიმე ქონებრივ მდგომარეობაში აღმოჩნდება მოვალე, ხოლო მისი აღსრულების გადადების, განაწილვადების ან აღსრულების წესის შეცვლით ზიანი მიადგება კრედიტორს, მაშინ უპირატესობა ამ უკანასკნელის ინტერესებს უნდა მიენიჭოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტორის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება გადაიქცევა არაქმედით გადაწყვეტილებად (იხ. სუსგ №ას-404-387-2016 30.06.2016).

14. სსსკ-ის 263-ე მუხლის მიზანია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, რა დორსაც მნიშვნელოვანია, თანაბრად იქნეს დაცული კრედიტორისა და მოვალის ინტერესები (იხ. სუსგ №ას-1263-1185-2015 22.01.2016).

15. აღნიშნულ მიდგომას განამტკიცებს ევროსასამართლოს შემდეგი პრაქტიკაცი: საქმე – შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ, Burdov v. Russia, no. 59498/00 §34, ECHR 2002-III, Hornsby v. Greece 1997-II, p. 510, §40, აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადის ნომერი: 40765/02), დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №8252/08) Mutishev and Others V. Bulgaria 18967/03, §129, Antonetto v. Italy no. 15918/89, §28.

16. კერძო საჩივრის ავტორმა იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლით და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით, ერთი მხრივ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე უპირატესი კრედიტორის ინტერესზე, ხოლო, მეორე მხრივ, განმცხადებლის სრულიად დაუსაბუთებელი და უკანონო განცხადება დააკმაყოფილა და უკანონოდ შეიღავა კრედიტორის კანონიერი ინტერესები. სააპელაციო სასამართლოს სრუ-

ლად არ გამოუკვლევია ფაქტობრივი გარემოებები. მას ზეპირი სხდომაც კი არ ჩაუტარებია, რათა მოსარჩელეს შესაძლებლობა მისცემოდა, საკუთარი პოზიცია დაეცვა და წარმოეჩინა განმცხადებლის განცხადების უკანონობა.

17. განმცხადებელს არ წარუდგენია სასამართლოსთვის სათანადო ორგანოების მიერ გაცემული ცნობა ან ამონაწერი, რა ოდენობის თანხას გასცემს შპს ყოველთვიურად ხელფასის სახით, რამდენ პირზე გასცემს, არსადაა საშტატო ნუსხა ხელფასების ოდენობის მითითებით.

18. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატას ყურადღება არ გაუმახვილებია №... ცნობის შინაარსზე, სადაც წერია, რომ შპს-ს დარიცხული ხელფასები ყოველთვიურად შეადგენს 6 900 ლარს. ცნობაში არ წერია, რომ ეს არის შპს-ს მიერ გაცემული ხელფასები. სიტყვა „დარიცხული“ კი ნიშნავს ასევე მიღებას, ანუ შპს-ს მიერ თანხის მიღებას. შპს-ს რეალურად აქვს მიღიონობით ლარის ლირებულების უძრავი და ასობით ათასი ლარის ღრებულების მოძრავი ქონება. გაქირავებული აქვს ბენზინგასამართი სადგური, ამავე სადგურის ავზების ტერიტორია (ავზები კრედიტორისგანაა ნაყიდი და სწორედ ამით ამუშავებს ობიექტს და იღებს შემოსავალს) და ამავე ტერიტორიაზე არსებული შენობა. შპს არ იხდის ოფისის თანხას, რადგან საოფისე ფართი, რომელიც მის საკუთრებაში იყო, გაქირავა და იღებს 1 400 აშშ დოლარს ქირას, რადგან ამ ფართში მოწყობილია სამშენებლო-სავაჭრო ობიექტი.

19. კერძო საჩივარზე დანართების სახით წარმოდგენილია ამონაწერი სამენარმეო და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, ასევე, ამონაბეჭდი ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან საიდანაც ირკვევა, რომ შპს და მისი დირექტორი ოჯახთან ერთად რეგისტრირებულნი არიან ერთსა და იმავე მისამართზე.

20. განცხადების ცალსახად დაუსაბუთებლობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი მთლიანად ეფუძნება შპს-ს მიერ შექმნილ ცნობებს. ეს ცნობები არც ერთი სხვა მტკიცებულებით არაა გამჟარებული. რეალურად შპს-ს გაცილებით მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე მხოლოდ საიჯარო ქირის სახით მიღებული ოდენობა. წარმოდგენილ ცნობას არ ერთვის დამატებით რაიმე დოკუმენტაცია, რომლითაც განმცხადებლის პოზიცია იქნებოდა დასაბუთებული, განცხადება და ცნობა ერთი და იმავე პირის მიერ არის შედგენილი და სხვა რაიმე ობიექტური მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის.

21. შპს-ს არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტი, რომელიც მის ვალებზე, სხვა სახის შეუსრულებელ ან შესასრულებელ ვალდებულებებზე მიუთითებდა.

22. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მოვალის მიმართ დაკისრებული თანხა იმ ოდენობისა არ არის, რომ მისი ერთიანად გადახდა ყველა ობიექტური მიზეზის გათვალისწინებით გაუჭირდეს და მოვალის აქტივების სრული პარალიზება საპოლოოდ კი – მისი გაკოტრება მოჰყვეს. გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, რაც ხელყოფს მოსარჩევისა სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციურ უფლებას და ენინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის ჩანაწერს. მხოლოდ ეს საფუძველიც კი საკმარისია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 29 მაისის განჩინება ბათილად იქნეს (ცნობილი). სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების დასაბუთებულობის აუცილებლობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 (1) მუხლის ტექსტიდან გამომდინარეობს.

23. მხარე მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ შეუსწავლია კრედიტორის ქონებრივი მდგომარეობა. კრედიტორი, მოვალისგან განსხვავებით, ფიზიური პირი, ანუ სუსტი მხარეა, მისი მცირე ბიზნესი დამოკიდებული იყო ყიდვა-გაყიდვაზე და, როცა წლების წინ შპს-მ მას, მიწოდებული საწვავის ავზების ნაცვლად, ფული არ გადაუხადა, იგი ჩავარდა ვალებში და წლებია, უმუშევარია. ამის გვერდით კი შპს-მ უძრავი ქონება მოაწყო მოსარჩევის ხარჯზე, მის მიერ მიწოდებული ცისტერნებით, ცისტერნები ჩადო მიწაში, გააკეთა ბენზინგასამართი სადგური, რითაც დღემდე იღებს შემოსავალს.

24. კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად დასადგენად შემოსავლების სამსახურიდან შპს-ს მიერ გადახდილი გადასახადების შესახებ ცნობის გამოთხოვა, მათ შორის შპს-ს თანამშრომლების საშემოსავლო გადასახადის ოდენობის, ასევე, საბანკო დაანგარიშებისა და მასზე არსებული თანხის ოდენობის შესახებ. შპს-ს აქვს საკმარისი ქონება იმისათვის, რომ საბანკო ანგარიშებზე ჰქონდეს მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად საკმარისი თანხა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

25. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

26. განსახილებელ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია სააპელაციო პალატის მიერ გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადების კანონიერება.

27. სსსკ-ის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.

28. დასახელებული ნორმა უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს, მხარის მოთხოვნის საფუძველზე გარკვეული დროის მანძილზე გააწილვადოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება ისეთი ობიექტური მიზეზის არსებობისას, როგორიცაა მოვალის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ან სხვა ყურადსაღები გარემოებები, რომელთა შეფასება და მხედველობაში მიღება სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს. ამდენად, გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადება წარმოადგენს კანონმდებლის მიერ დაწესებულ ერთგვარ შეღავათს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოვალეს, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადით გაახანგრძლივოს მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დაწყების პერიოდი და გამოუსწორებელი ზიანი არ მიადგეს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად.

29. აღნიშნული შეღავათის გავრცელებისას კანონმდებელი ითვალისწინებს ორივე მხარის ინტერესს. სწორედ ამით აიხსენება ზემოთ მითითებული ნორმის დისპოზიციაში საშეღავათო ზღვრული ვადის დაწესება, ხოლო სასამართლო, თავის მხრივ, ირჩევს ისეთ ვადასა და პირობებს, რომლებიც არც კრედიტორის უფლებების გაუმართლებელ შეზღუდვას არ გამოიწვევს (სუსგ 11.10.2017წ. საქმე №ას-1 1174-1094-2017).

30. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული 2017 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 28 000 აშშ დოლარის გადახდა.

31. მოპასუხემ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ერთიანად ზემოაღნიშნული თანხის გადახდის საშუალება, შპს-ს გაკოტრების გარეშე, მას არ გააჩნია. ამდენად, საწარმოს კანონიერი ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, მოითხოვა დავალიანების გადახდის განაწილვადება ერთ წელიწადზე.

32. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო პალატას წინამდებარე განცხადება უნდა განეხილა ზეპირი მოს-

მენით.

33. სსსკ-ის 263-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვის ფორმის შერჩევა სასამართლოს პრეროგატივაა და ამგვარი დისკრეციის არსებობის სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო, განცხადება აღსრულების განაწილვადებასთან დაკავშირებით განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშე.

34. კერძო საჩივრის ავტორმა მოვალის ქონებრივი მდგომარეობის დასადასტურებლად წარმოადგინა უძრავი ქონების ექსპერტის მიერ შედგენილი შპს-ს კუთხით ბენზინგასამართი სადგურის შეფასება, რომლის მიხედვითაც ქონების ღირებულება შეადგენს 500 000 აშშ დოლარს. აღნიშნულის საფუძველზე მხარემ მიმიწინა, რომ მოვალეს საქმარისი აქტივები გააჩნია, სადაც თანხის გადასახდელად.

35. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოვალეს საწარმოს უძრავი ქონების არსებობის ფაქტი სადაცოდ არ გაუხდია. მის არგუმენტს წარმოადგენდა ის, რომ 28 000 აშშ დოლარის ერთიანად გადახდისათვის საწარმოს დასჭირდება უძრავი ქონების გასხვისება მაშინ, როდესაც შპს-ს ძირითად შემოსავალს სწორედ უძრავი ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული ქირა წარმოადგენდა. შესაბამისად, აღნიშნულით საზოგადოებას გამოუსწორებელი ზიანი მიადგებოდა.

36. საფუძველს მოკლებულია კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობა იმ ნაწილშიც, რომ განცხადებაზე დართული ცნობები შედგენილია თავად შპს-ს წარმომადგენლის მიერ და სარწმუნო ინფორმაციას არ შეიცავს. აღნიშნული კუთხით გასაზიარებელია კერძო საჩივარზე წარმოდგენილი შესაგებლის ავტორის პოზიცია, რომ სადაც ცნობების მონაცემებში ეჭვის შეტანის შემთხვევაში მხარეს შეუძლია, მათი ნამდვილობის საკითხის გამოკვლევის მიზნით, მიმართოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს.

37. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის შუადგომლობას საქმეზე ახალი მტკიცებულებების შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვისა და დართვის შესახებ, ვინაიდან სსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებები ან სხდომათა ოქმებში.

38. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარეთა მიერ მათი მოთხოვნების დასასაბუთებლად და მითითებული ფაქტების დასამტკიცებლად საჭირო მტკიცებულებების წარდგენის საკმაოდ მკაფიოდ გაწერილ პროცედურას, რომლის შესაბამისად, მხარეებს მტკიცებულებათა წარდგენა შეუძლიათ პირველი ინსტანციის სა-

სამართლოში საქმის განხილვისას შესაბამისი წესების დაცვით. გამონაკლის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წინაპირობების არსებობისას, დასაშვებია ახალი მტკიცებულების წარდგენა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში (სსკ-ის 380-ე მუხლი), თუმცა საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას მხარე ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია.

39. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ სააპელაციო პალატის აღნიშნული განჩინება სრულიად დაუსაბუთებელია, რაც ხელყოფს სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციურ უფლებას და ენიანალდეგებას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ ნაწილს. დასახელებული საფუძველი კი საკმარისია 2018 წლის 29 მაისის განჩინების ბათილად ცნობისათვის.

40. უპირველესად, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება მხარის მოსაზრებას გასაჩივრებული განჩინების დაუსაბუთებლობის შესახებ და მიზნევს, რომ სააპელაციო პალატამ შეისწავლა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და გამოიყენა სსკ-ის 263-ე მუხლით კანონმდებლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადების თაობაზე, რა დროსაც დაცულ იქნა გონივრული და სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, კრედიტორის ინტერესს, მიიღოს სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხა და, მეორე მხრივ, მოვალის უფლებას შორის, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებით არ მიადგეს გამოუსწორებელი ზიანი და შესაძლებლობა მიეცეს, მომავალშიც განაგრძოს სამეწარმეო საქმიანობა. გათვალისწინებულ იქნა ის ფაქტიც, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ ამონანტერში საჯარო რეესტრიდან ვლინდება შპს-ს ქონებაზე ყადალებისა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის არსებობა.

41. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განჩინების დაუსაბუთებლობა ვერ გამოიწვევდა მის ბათილად ცნობას, რადგან მითითებული სამართლებრივი შედეგის დადგომას მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა უკავშირებს გარკვეული წინაპირობების არსებობას, კერძოდ, ბათილად შეიძლება ცნობილ იქნეს სასამართლოს მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რაც წინამდებარე გასაჩივრებულ განჩინებაზე ვერ გავრცელდება, რადგან იგი გასაჩივრებულია კერძო საჩივრით და უნდა არსებობდეს სსკ-ის 422-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი.

42. მითითებული წორმის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: а) გადაწყვე-

ტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე; გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალიდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

43. დასახელებულ გარემოებათაგან რომელიმეს არსებობაზე კერძო საჩივარს არ მიუთითებია.

44. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კერძო საჩივრის ავტორს არ მიუთითებია, თუ კონკრეტულად რა სახის ზიანი ადგება მას სადაც გადაწყვეტილების აღსრულების განაწილებით.

45. სსსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად ეი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

46. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, ხოლო წარმოდგენილ კერძო საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. შ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 6. გადაცევაფილების დაუყოვნებლივ აღსრულება

გადაცევაფილების აღსრულების უზრუნველყოფა

განჩინება  
საქართველოს სახელით

№ას-635-2019

28 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი)  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. რ. ქ-ამ (შემდგომში – „განმცხადებელი“ ან „მოსარჩევე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ფ-ის (გვარის შეცვლის შემდეგ გ. ჯ-ი), მ. ჯ-ის, ზ. ფ-ის, ლ. მ-ას, ნ. ნ-ას და გ. ო-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

2. მოპასუხე ზ. ფ-ს შესაგებელი არ წარუდგენია, ხოლო დანარჩენია მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნება.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელის მოსარჩელის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე მ. ჯ-ს (გ/რ ...) აეკრძალა მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე – თბილისი, ..., ს/კ ... გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გ. ჯ-ს და ნ. ნ-ას მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ზიანის 5 500 აშშ დოლარის ექვივალუნტი ლარში ანაზღაურება; გ. ჯ-ს და ნ. ნ-ას მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ექსპერტიზის ხარჯის – 60 ლარის, სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვიდან მოხსნის საფასურის – 21 ლარის, ევაკუატორის მომსახურების საფასურის – 42 ლარის და საჯარიმო ავტოსადგომის სარგებლობის საფასურის – 209 ლარის ანაზღაურება; გ. ჯ-ს და ნ. ნ-ას მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სარჩელზე წინას-

წარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 120 ლარის ანაზღაურება; გ. ჯ-ს და ნ. ნ-ას სახელმწიფო ბიუჯეტის სასამარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟის 294.21 ლარის გადახდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მოპასუხე მ. ჯ-ს (პ/ნ ...) აეკრძალა მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე – თბილისი, ..., ს/კ ... გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2018 წლის 19 ივნისის განჩინება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ).

5. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩევემ, გ. ჯ-მა და ნ. ნ-ამ.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ჯ-ისა და ნ. ნ-ას სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2018 წლის 04 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გ. ჯ-ს, ნ. ნ-ას და ლ. მ-ას მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ზიანის 5500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ანაზღაურება; დადგინდა, რომ იმ შემთხვევაში თუ გ. ჯ-ს არ აღმოაჩნდება საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის – 5500 აშშ დოლარის ასანაზღაურებლად, მოსარჩელის მიმართ დამატებითი პასუხისმგებლობა ზემოსხენებული თანხეს ფარგლებში დაეკისროთ მ. ჯ-სა და ზ. ფ-ს; მოსარჩელის სარჩელი გ. ო-ის მიმართ არ დაკმაყოფილდა; გ. ჯ-ს, ნ. ნ-ას, ლ. მ-ას, მ. ჯ-სა და ზ. ფ-ს, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 120 ლარის, ექსპერტიზის საფასურის – 60 ლარის, სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვიდან მოხსნის საფასურის – 21 ლარის, ევაკუაციონის მომსახურების საფასურის – 42 ლარის და საჯარიმო ავტოსადგომის სარგებლობის საფასურის – 209 ლარის ანაზღაურება; გ. ჯ-ს, ნ. ნ-ას, ლ. მ-ას, მ. ჯ-სა და ზ. ფ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრათ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 294.21 ლარის გადახდა; ლ. მ-ას, მ. ჯ-ს და ზ. ფ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 261 ლარის ოდენობით; ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველ-

ყოფის ღონისძიება, რომლითაც მოპასუხე მ. ჯ-ს (პ/ნ ...) აეკრძალა მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე – თბილისი, ..., ს/კ ..., გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

7. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გ. ჯ-მა შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღება.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2019 წლის 23 მაისის განჩინებით გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

9. 2020 წლის 17 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა მოსარჩელის წარმომადგენელმა ბ. ბ-მა და მოითხოვა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით თავდაპირველი მოპასუხის ზ. ფ-ის საკუთრებაში რიცხულ შემდეგ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება:

9.1. ახმეტის რაიონი, სოფელი ..., მიწის ნაკვეთი 1667.00 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები №01 და №02, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №50.10...;

9.2. ახმეტის რაიონი, სოფელი ..., მიწის ნაკვეთი 1681.00 კვ.მ., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №...;

9.3. თბილისი, ..., ფართი: 53.00 კვ.მ., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №... თავდაპირველი მოპასუხის ზ. ფ-ის კუთვნილი 1/4 ნაწილი.

## 10. განცხადებელმა მიუთითა, რომ:

10.1. მოცემული სამოქალაქო დავის ფარგლებში, თბილისის საალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინების საფუძველზე რეგისტრირებული იქნა აკრძალვა მოპასუხე მ. ჯ-ის კუთვნილ უძრავ ქონებაზე, მდებარე: თბილისი, ..., ს/კ ... აღნიშნულ ქონებაზე აკრძალვის რეგისტრაციის მომენტში ქონება იყო იპოთეკის საგანი მ. ჯ-ის მიერ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად და იყო უფლებრივად ნაკლიანი, ანუ იპოთეკარ მხარეს, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, შეეძლო პრეტენზია წარედგინა და ამ ქონების რეალიზაციით მიეღო დაკმაყოფილება;

10.2. 2019 წლის მაისსა და ოქტომბერში მოსარჩელის წარმომადგენელს წერილობით ეცნობა, რომ აღმასრულებელ დ. ე-ის წარმოებაშია საალსრულებო ფურცელი, გაცემული 2017 წლის 8 სექტემბერს, მოვალე მ. ჯ-ის წინააღმდეგ და მიმდინარეობს ზემოაღნიშნული ქონების იძულებითი რეალიზაციის პროცესი;

10.3. იპოთეკის საგნის მესაკუთრის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაციის მიზნით წარმოიშობა აუქციონის დანიშვნის საფუძველი, რომელიც აღსრულების შეუჩერებლობის შემთხვევაში (მოსარჩელეს შეჩერების საფუძველი არ გააჩნია, რამდენადაც ეს ქონება არის იპოთეკის საგანი და კრედიტორ მხარეს აქვს უზრუნველყოფილი მოთხოვნა) ცხადია, ქონების რეალიზაციით დასრულდება და იპოთეკის საგნის მესაკუთრე დაკარგავს კუთვნილ მატერიალურ სიკეთეს. ასეთ ვითარებაში კი, მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება არათუ გაძნელდება, არამედ – შეუძლებელი იქნება, აუქციონზე უძრავი ნივთის გასხვისების სამართლებრივი შედეგებიდან და შემძენის კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე. კერძოდ, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აუქციონს დაქვემდებარებული ქონების მყიდველი კეთილსინდისიერი შემძენის სტატუსით ისარგებლებს, მოცემულ საქმეზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქონების ახალ მესაკუთრეს ვერ წარედგინება პრეტენზია;

10.4. თბილისის სააკელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების მე-7 პუნქტით სასამართლომ დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ზიანის მიმყენებელ გ. ჯ-ს (ზიანის მიყენების დროს არასრულწლოვანი), არ აღმოაჩინდება საკმარისი ქონება ზიანის ანაზღაურების მიზნით, დამატებითი ქონებრივი პასუხისმგებლობა, მიყენებული ზიანის ფარგლებში დაეკისრებათ მის მშობლებს: მ. ჯ-ს და ზ. ფ-ს;

10.5. რამდენადაც, ის ქონება, რომელიც ეკუთვნის მოპასუხე მ. ჯ-ს და წარმოადგენს იპოთეკის საგანს, სავსებით რეალურია, რომ რეალიზებული იქნას, მიზანშენონილია, რომ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, დაყადალდეს მოპასუხე ზ. ფ-ის ქონებაც;

10.6. ვინაიდან მოსარჩელის მიერ ინიცირებულ დავას რეალური საფუძველი გააჩნია, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გამართლებულია.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 17 იანვრის განჩინებით რ. ქ-ას დაევალა მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა ამონაწერი ან ცონბა საჯარო რეესტრიდან უძრავ ნივთზე (ახმეტის რაიონი, სოფელი ..., მინის ნაკვეთი 1681.00 კვ.მ., საკადასტრო კოდი №...) უფლებრივი მდგომარეობის შესახებ განცხადების განხილვის დროისათვის, რომლითაც დადასტურდებოდა ზ. ფ-ის საკუთრების უფლება აღნიშნულ უძრავ ნივთზე.

12. ზემოაღნიშნული განჩინებით განსაზღვრულ ვადაში, 2020

ნლის 27 იანვარს მოსარჩელის წარმომადგენელმა პ. ბ-მა წარმო-ადგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წლის 23 იანვარს მომზადებული ცნობა (პასუხი) №19031, რომლის თანახმად, უძრავ ნივთებზე უფ-ლებათა რეესტრის ელექტრონული პროგრამის მონაცემებით, უძ-რავ ნივთზე, მდებარე რაიონი ახმეტა, სოფელი ..., საკადასტრო კოდი №... (ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნ-ქცია: სასოფლო-სამეურნეო (სახნავი), დაზუსტებული ფართობი: 1681.00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი: ...) რეგისტრირებულია ზ. ფ-ის (პირადი ნომერი: ...) საკუთრების უფლება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

13. საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნ-ველყოფის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია საპელა-ციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკ-ლისებისა, რომელთაც XLIX თავი შეიცავს, ხოლო ამავე კოდექსის 372-ე მუხლი ადგენს, რომ საქმის განხილვა საპელაციო სასამარ-თლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, XLVI თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამდენად, საკასაციო სასამარ-თლო საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე უფლებამოსილია, იხელ-მძღვანელოს ქვემდგომ ინსტანციებში დადგენილი საქმის განხილ-ვის მარეგულირებელი ყველა იმ ნორმით, რომლებიც არ ეწინააღ-მდეგება საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის მარეგული-რებელ წესებს.

15. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გა-დაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის და-უყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

16. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქა-ლაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გადაწყვეტილების აღ-სრულების უზრუნველყოფისას XXIII თავით მოწესრიგებული სარ-ჩელის უზრუნველყოფის ნორმების გამოყენებას.

17. სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარ-ჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველ-

ყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადაც უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომეტისირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ეყყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკამაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

18. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს ჯერ კიდევ აღუსრულებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2019 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ჯ-ს, 6. ნ-ას და ღ. მ-ას მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ზიანის 5500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ანაზღაურება; დადგინდა, რომ, იმ შემთხვევაში თუ გ. ჯ-ს არ აღმოაჩნდება საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის – 5500 აშშ დოლარის ასანაზღაურებლად, მოსარჩელის მიმართ დამატებითი პასუხისმგებლობა ზემოხსენებული თანხის ფარგლებში დაეკისროთ მ. ჯ-სა და ზ. ფ-ს.

20. განსახილველ შემთხვევაში განცხადებელი ითხოვს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით თავდაპირველი მოპასუხის ზ. ფ-ის საკუთრებაში რიცხული შემდეგი უძრავი ქონების დაყადალებას:

20.1. ახმეტის რაიონი, სოფელი ..., მიწის ნაკვეთი 1667.00 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები №01 და №02, უძრავი ქო-

ნების საკადასტრო კოდი №...;

20.2. ახმეტის რაიონი, სოფელი ..., მიწის ნაკვეთი 1681.00 კვ.მ.,  
უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №...;

20.3. თბილისი, ..., ფართი: 53.00 კვ.მ., უძრავი ქონების საკადას-  
ტრო კოდი №... ზ. ფ-ის კუთვნილი 1/4 ნაზილი.

21. ზემოაღნიშნულ უძრავ ნივთებზე, საკადასტრო კოდით №...  
და საკადასტრო კოდით №..., ზ. ფ-ის საკუთრების უფლება დას-  
ტურდება 2019 წლის 17 დეკემბერს მომზადებული ამონანერებით  
საჯარო რეესტრიდან, ხოლო უძრავ ქონებაზე, საკადასტრო კო-  
დით №... – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეეს-  
ტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წლის 23 იანვარს მომზადე-  
ბული ცნობით (პასუხი) №19031.

22. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემო-  
ებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა კოლეგიის 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელის  
მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა  
ნაწილობრივ; სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე მ. ჯ-  
ს (ვ/6 ...) აეკრძალა მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების, მდე-  
ბარე – თბილისი, ..., ს/კ ... გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-  
ტის 2019 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელის უზ-  
რუნველყოფის აღნიშნული ღონისძიება დარჩა ძალაში.

23. მოსარჩელე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყო-  
ფის შესახებ განცხადებაში უთითებს, რომ, ვინაიდან ზემოაღნიშ-  
ნული უძრავი ქონება, ამ ქონებაზე აკრძალვის რეგისტრაციის მო-  
მენტივე, მ. ჯ-ის მიერ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად დატ-  
ვირთული იყო იპოთეკით, 2017 წლის 8 სექტემბერს გაცემული სა-  
ადსრულებო ფურცლის საფუძველზე მიმდინარეობს დასახელე-  
ბული ქონების იძულებითი რეალიზაციის პროცესი, რომლის დას-  
რულების შემთხვევაშიც, მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვე-  
ტილების აღსრულება აუქციონზე უძრავი ნივთის გასხვისების სა-  
მართლებრივი შედეგებიდან და შემძენის კეთილსინდისიერებიდან  
გამომდინარე არათუ გაძნელდება, არამედ – შეუძლებელი გახდე-  
ბა.

24. განცხადებას თან ერთვის კერძო აღმასრულებლის დ. ე-ის  
2019 წლის 28 მაისის №A19001435-... და 2019 წლის 8 ოქტომბრის  
№A19001435-... წერილები, რომელთა თანახმად, კერძო აღმასრუ-  
ლებლის წარმოებაშია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ  
2017 წლის 08 სექტემბერს გაცემული №2/29466-... სააღსრულებო  
ფურცელი, სააღსრულებო წარმოება A19001..., მოვალე: მ. ჯ-ი (...);  
სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით აღნიშნულ საქმე-

ზე უახლოეს ვადაში დაინიშნება იძულებითი აუქციონი მ. ჯ-ის (...) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ...; მისამართი: ქალაქი თბილისი, ...; საკუთრების ტიპი: საკუთრება; საკუთრება: ფართი სართული 3, ბინა №36, ფართი: 74,06 კვ.მ.

25. ამდენად, მოცემულ საქმეზე გამოყენებულმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებამ შესაძლოა ვერ უზრუნველყოს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულება, რის გამოც, მოსარჩელის მოთხოვნა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხე ზ. ფ-ის ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დასაბუთებულია.

26. სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფა წარმოადგენს სამოქალაქო სამართალნარმოების მნიშვნელოვან ინსტიტუტს და ემსახურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას. იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად სამოქალაქო პროცესი საკმაოდ ხახგრძლივ პროცედურებთან არის დაკავშირებული, არსებობს რისკი, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დავის საგანი განადგურდეს, გასხვისდეს, უფლებრივად დაიტვირთოს ან სხვაგვარად შეეძალოს ხელი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სწორედ ამ საფრთხეების პრევენციას ემსახურება. სამოქალაქო საქმეზე მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელება მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს წარმოადგენს, ამავე დროს, მართლმსაჯულების ეფექტურობა მნიშვნელოვანდ არის დამოკიდებული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე, შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული მექანიზმები, რომლებიც ემსახურება სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფას, ემსახურება უმნიშვნელოვანეს ლეგიტიმურ მიზანს – მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფას (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-52).

27. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პროცედურადან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის შეფასება უნდა მოხდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თა-

ნაზომიერების პრინციპი, კერძოდ, ერთი მხარის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს. ამიტომ სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს, ყოველთვის უნდა შეაფასოს, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად მის მიერ შერჩეული ღონისძიება არის თუ არა შესაბამისობაში მოსარჩელის იმ მოთხოვნასთან, რომლის უზრუნველყოფასაც იგი ემსახურება (იხ. სუსგ №ას-449-431-2016, 2016 წლის 7 ივლისი).

28. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორცელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალნეისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა ინვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

29. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიება – უძრავ ქონებაზე ყადალის დადება არათანაზომიერად შეზღუდვას მოპასუხე ზ. ფ-ის საკუთრების უფლებას და მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვისთვის საქმარისი იქნება მოპასუხისთვის აღნიშნული ქონების გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა.

30. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შეაბამისად.

31. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და აეკრძალოს თავდაპირველ მოპასუხეს ზ.ფ-ს (ბ/6 ...) მის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონების: ა) ახმეტის რაიონი, სოფელი ..., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №... (ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამ), დაზუსტებული ფართობი: 1667.00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №01, №02); ბ) ახმეტის რაიონი, სოფელი ..., უძრავი

ქონების საკადასტრო კოდი: №... (ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო (სახნავი), დაზუსტებული ფართობი: 1681.00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი: ...); გ) ქალაქი თბილისი, ..., ფართი: 53.00 კვ.მ., ზ. ფ-ის (პ/ნ ...) კუთვნილი  $\frac{1}{4}$  ნანილი, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №... გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. უზრუნველყოფილი სარჩელის ფასია 5500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 271-ე, 191-ე, 193-ე, 194-ე, 198-ე, 284-ე მუხლებით, 264-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. ქ-ას წარმომადგენლის ბ. ბ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. აეკრძალოს თავდაპირველ მოპასუხეს ზ. ფ-ს (პ/ნ ...) მის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონების: ა) ახმეტის რაიონი, სოფელი ..., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №... (ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (საკარმილამო), დაზუსტებული ფართობი: 1667.00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №01, №02); ბ) ახმეტის რაიონი, სოფელი ..., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №... (ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო (სახნავი), დაზუსტებული ფართობი: 1681.00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი: ...); გ) ქალაქი თბილისი, ..., ფართი: 53.00 კვ.მ., ზ. ფ-ის (პ/ნ ...) კუთვნილი  $\frac{1}{4}$  ნანილი, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №...058 გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 7. საქმის ნარმოების შეცვეტა გადაცვეტილების გამოტანის გარეშე

### მორიგება

#### განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1504-2020

22 აპრილი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგე-  
ნა, განაცდურის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. ზ. ხ-ვამ (შემდეგში: მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სს „კ. ბ-ის“ (შემდეგში: მოპასუხე ან მოპასუხე ბან-  
კი ან აპელაციი ან კასატორი) მიმართ, რომლითაც მოითხოვა: 1.1.  
ბათილად იქნეს ცნობილი მოპასუხე ბანკის HR და ორგანიზაციუ-  
ლი განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 01 ოქტომ-  
ბრის №66921 ბრძანება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფ-  
ლების შესახებ. 1.2. მოსარჩელე აღდგენილი იქნეს პირვანდელ –  
ბანკის ს-ის სერვისცენტრის სესხის ოფიცირის) ან ტოლფას თანამ-  
დებობაზე. 1.3. დაეკისროს მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ იძუ-  
ლებითი განაცდურის ანაზღაურება 2019 წლის 01 ოქტომბრიდან  
(სამუშაოდან გათავისუფლებიდან) სამუშაოზე აღდგენამდე ყოველ  
თვეზე 1000 ლარის ოდენობით.

2. სარჩელის საფუძვლად მითითებულია, რომ 2019 წლის 13 მა-  
ისს მხარეთა შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება გამოსაც-  
დელი ვადით, რის საფუძველზეც, მოსარჩელემ დაიწყო მუშაობა  
ბანკის ვ-ის სერვისცენტრში სესხის ოფიცირის თანამდებობაზე,  
2019 წლის 14 აგვისტოს, მას შემდეგ რაც გავიდა 2019 წლის 13  
მაისს გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული გამოსაც-  
დელი ვადა, მხარეთა შორის, მოპასუხის ინიციატივით გაფორმდა  
შეთანხმება „გამოსაცდელი პერიოდის შრომითი ხელშეკრულება-  
ში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის მიხედვითაც გამოსაც-  
დელი ვადა გაგრძელდა კიდევ 3 თვით. მოცემული შეთანხმების

გაფორმებისას დამსაქმებლის მხრიდან მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება მოხდა სრულიად უკანონოდ და დაუსაბუთებლად. 2019 წლის 01 ოქტომბერს კი მოსარჩელეს მისთვის სრულიად მოულოდნელად ეცნობა, რომ გათავისუფლებული იყო დაკავებული პოზიციიდან, რაც მოხდა დაუსაბუთებლად.

3. მოპასუხებ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მოსარჩელესთან „გამოსაცდელი პერიოდის შრომითი ხელშეკრულება“ დაიდო 3 თვის ვადით, რის საფუძველზეც, ის დასაქმდა ბანკის ვ-ის სერვისცენტრში. მოსარჩელე ცხოვრობდა ს-აში, რის შესახებაც ცნობილი იყო ბანკისთვის. შესაბამისად, ს-ის სერვისცენტრში სესხის ოფიციალი პოზიციის გამოთავისუფლებისთანავე, მოსარჩელეს პრიორიტეტულად (ვინაიდან ეს თავად მისი სურვილიც იყო), შესთავაზეს ს-ის სერვისცენტრში გადასვლა. ვ-ის სერვისცენტრში დასაქმების პერიოდის განმავლობაში ვერ მოხერხდა მოსარჩელის საქმიანობის სრულყოფილად შეფასება, რამდენადაც სამთვიანი გამოსაცდელი პერიოდი არ აღმოჩნდა საკმარისი ბანკისთვის, მოხედნა მოსარჩელის საქმიანობის შესაბამისობის შეფასება. ამასთან, მოსარჩელე გადავიდა სხვა სერვისცენტრში და ბანკმა მიზანშეწონილად მიიჩნია მისთვის გამოსაცდელი პერიოდის გაგრძელება. დამსაქმებელს, გამოსაცდელი ვადის პერიოდში შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, არ გააჩნია დასაქმებულის წინასწარი შეტყობინების ვალდებულება, ანდა სამუშაოდან გათავისუფლების საფუძვლების დასაბუთება, თუმცა, მოსარჩელეს ზეპირსიტყვიერად განემარტა გამოსაცდელი ვადის პერიოდში შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი. აღნიშნული გამოიხატებოდა სამსახურისადმი მის გულგრილ დამოკიდებულებაში – სამსახურში დაგვიანებაში, გაუფრთხილებლად სამსახურის გაცდენაში; ასევე, სამუშაო გეგმის შეუსრულებლობაში.

4. ს-ის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ბანკის HR და ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 01 ოქტომბრის №66921 ბრძანება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. მოსარჩელე აღდგენილი იქნა ბანკის ს-ის სერვისცენტრის სესხის ოფიციალი თანამდებობაზე. ბანკს მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური დროის ხელფასის ანაზღაურების სახით დაეკისრა 2019 წლის 01 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა.

5. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხების მიერ, რომელმაც მოითხოვა სარჩელის უარყოფა.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8. 2019 წლის 13 მაისს მხართა შორის გაფორმდა გამოსაცდელი პერიოდის შრომითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ, 3 თვის საგამოცდო ვადით, დაიწყო მუშაობა ბანკის ვის სერვისცენტრში, სესხის ოფიცირის თარიღად მითითებულია 2019 წლის 13 აგვისტო. ხელშეკრულებით დადგენილი ვადის დასრულებამდე, 2019 წლის ივლისის თვეში, ზ. ხ-ვა გადაიყვნეს ს-ის სერვისცენტრში ULO-ს პიზიციაზე, სადაც ხელფასის სახით იღებდა 1000 ლარს.

9. 2019 წლის 30 ივლისს, ანუ ხელშეკრულების დასრულებამდე, HR ადმინისტრაციის ოფიცერმა ს. ჯ-ძემ ს-ის სერვისცენტრის მმართველს ა. გ-ას შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა: „ზ. ხ-ვას უმთავრდება გამოსაცდელი ვადა. გთხოვთ, მოიწეროთ 3 თვის განმავლობაში 2-ჯერ შეასრულა თუ არა გეგმა, შესრულებულია აქვს თუ არა არასასესხო პროდუქტების გეგმა, აკონტროლებს თუ არა PD-ს, აქვს თუ არა დადებითი რეკომენდაცია მომსახურების სტანდარტის რგოლისგან. გთხოვთ, მოიწეროთ რეკომენდაცია მისი უვადო ხელშეკრულებაზე გადასვლასთან დაკავშირებით“. ამ წერილის საპასუხოდ 2019 წლის 6 აგვისტოს, ანუ ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე 1 კვირით ადრე ა. გ-ამ HR ადმინისტრაციის ოფიცერს საპასუხოდ მიმართა შემდეგი შინაარსის წერილით – „ჩემი მხრიდან რეკომენდაციას ვუწევ ზ. ხ-ვას 3 თვით პრობაციის გაგრძელებას, დავაკვირდებით და ამ პერიოდის განმავლობაში შედეგებზე დაყრდნობით მივიღებთ გადაწყვეტილებას რეგულარულზე გადაყვანაზე“.

10. ხელშემკვრელ მხარებს შორის 2019 წლის 14 აგვისტოს გაფორმდა წერილობითი შეთანხმება გამოსაცდელი პერიოდის შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის თანახმად მოსარჩელე დაინიშნა ბანკის ს-ის სერვისცენტრში სესხის ოფიცრის თანამდებობაზე და ხელშეკრულების დასრულების თარიღად მიეთითა 2019 წლის 13 ნოემბერი. ხელშეკრულებას ხელს აწერს ბანკის სახელით უფლებამოსილი პირი – ა. ხ-ა. მოსარჩელის ხელმოწერა შესრულებულია ხელშეკრულების ტექსტის შემდეგი შინაარსის აბზაცის ბოლოს – „ჩემი ხელმოწერით გადასტურებ სურვილს დავდო წინამდებარე შრომითი ხელშეკრულება და ვეთანხმები მის პირობებს“.

11. სესხის მენეჯერმა გ. კ-მა, 2019 წლის 1 ოქტომბერს, ზემდებნების გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: „გამოსაცდელი ვა-დის პერიოდში მოსარჩელე გამოირჩევა სამსახურისადმი გულგრი-ლი დამოკიდებულებით, სიტყვიერად მიიღო შენიშვნა არაერთხელ სამსახურში დაგვიანებაზე, შაბათ დღეს ჩამული იყო გასაუბრების მორიგედ და გაუფრთხილებლად არ გამოცხადდა სამსახურში, ასევე, სექტემბრის თვეში ვერ შეასრულა გაცემის გეგმა, პქნდა 7,88 ინდექსი, ზემოთადნიმნულიდან გამომდინარე, არ ვუწევთ რეკომენდაციას მოსარჩელს გაუგრძელდეს გამოსაცდელი ვადა“. იმავე დღეს, ანუ ახალი ხელშეკრულების დასრულებამდე თვენა-ხევრით ადრე, ბანკის HR და ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 01 ოქტომბრის №66921 ბრძანებით ზ. ხ-ვა თანამდებობიდან გათავისუფლდა საქართველოს შრომის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, 01.10. 2019 წლიდან.

12. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა მოპასუხე მხარის მიერ ზეპირსიტყვიერად მითითებული გარემოება მოსარჩელის მხრიდან სამსახურისადმი გულგრილი დამოკიდებულების შესახებ.

13. მოცემულ შემთხვევაში, დამსაქმებელი დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის მოშლის ობიექტურ და მართლზომიერ წინაპირობად მიუთითებდა მასზე, რომ მხარეთა შორის არსებობდა გამოსაცდელი ვადით შრომითი ურთიერთობა. შესაბამისად, ის უფლებამოსილი იყო გამოსაცდელ ვადაში, ნებისმიერ დროს გაეთავისუფლებინა დასაქმებული პირი გათავისუფლების საფუძვლების მითითების გარეშე. დამსაქმებელი ასევე მიუთითებდა გამოსაცდელ ვადაში დასაქმებული პირის არადამაკმაყოფილებელ შედეგებზე.

14. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა დამსაქმებლის (აპელანტის) პოზიცია გამოსაცდელ ვადაში შრომითი ურთიერთობის მოშლის მართლზომიერებასთან მიმართებით და მიუთითა, რომ გამოსაცდელ ვადასთან მიმართებით, ნორმატიული მოწესრიგება დადგენილია საქართველოს ორგანული კანონით – შრომის კოდექსით. სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციით შრომის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, დასაქმებულთან შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთხელ დადებულიყო შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით, არაუმეტეს 6 თვეითა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით იდებოდა მხოლოდ წერილობითი ფორმით. ამავე მუხლის მე-3 დ მე-4 პუნქტებით კი დადგენილი იყო, რომ დამსაქმებელს უფლება აქვს,

გამოსაცდელი ვადის განმავლობაში წებისმიერ დროს დადოს და-საქმებულთან შრომითი ხელშეკრულება ან შეწყვიტოს მასთან გა-მოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება. გამოსაც-დელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემ-თხვევაზე არ ვრცელდება ამ კანონის 38-ე მუხლით გათვალისწი-ნებული მოთხოვნები, თუ გამოსაცდელი ვადით დადებული შრო-მითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გამო-საცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად. გამოსაცდელ ვადასთან დაკავშირებულ სა-კითხებს ანალოგიურად აწესრიგებს შრომის კოდექსის ამჟამად მოქმედი რედაქციის (საქართველოს 2020 წლის 29 სექტემბრის ორ-განული კანონი №7177 – ვებგვერდი, 05.10.2020წ.) მე-17 მუხლი.

15. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დავის არსიდან გამომ-დინარე, მნიშვნელოვანია იმ მიზნის დადგენა, რა მიზანსაც საქარ-თველოს შრომის კოდექსით მოწესრიგებად ურთიერთობებში ამ ინ-სტიტუტის – გამოსაცდელი ვადის, გამოყენება წარმოადგენს. უდა-ვოა, რომ გამოსაცდელი ვადის დაწესების მიზანი შესაბამისობის დადგენაა. გამოსაც-დელი ვადა, ეს არის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დასაქმე-ბულმა უნდა შეაფასოს მომავალი მუშავის უნარები, კომპეტენ-ცია, სამუშაოსადმი შესაბამისობა. ამავე დროს, ამ ვადაში კანდი-დატმა უნდა გამოავლინოს კვალიფიკაცია, პროფესიული ქცევა, სამუშაო ადგილისათვის ადეკვატური ყოფაქცევა, პროფესიული მორალი, რათა მოიპოვოს დასაქმებულის, ანუ შრომითი ხელშეკ-რულების მონაცილე მხარის სტატუსი. შესასრულებელ სამუშაოს-თან დასაქმებულის შესაბამისობის დასადგენად აუცილებელი გა-მოსაცდელი ვადის ხანგრძლივობას დამსაქმებელი განსაზღვრავს შესასრულებელი სამუშაოს/დასაკავებელი თანამდებობის სპეცი-ფიკის გათვალისწინებით. გამოსაცდელ ვადაში, შესასრულებელ სა-მუშაოსთან დასაქმებულის შესაბამისობის დადგენა იწვევს დასაქ-მებულთა შრომითი ხელშეკრულების დადებას, წინააღმდეგ შემ-თხვევაში, მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა წყდება.

16. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გამოსაცდელ ვადაში მუშავის სამსახურიდან გათავისუფლება შესაძლებელია არა წების-მიერ შემთხვევაში, არამედ, დაკისრებულ სამუშაოსთან დასაქმე-ბული პირის შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში, რაც თავის მხრივ, დადასტურებული უნდა იქნეს კონკრეტულ მტკიცებულე-ბებზე მითითებით.

17. სააპელაციო პალატამ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკი-ცებულებების კვლევის შედეგად დაადგინა, რომ: – 2019 წლის 13

მაისს მხარეთა შორის გაფორმდა „გამოსაცდელი პერიოდის შრო-მითი ხელშეკრულება“, რომელიც ითვლისწინებდა 3-თვიანი გამო-საცდელი ვადით მოსარჩელის დასაქმებას ვ-ის სერვისცენტრში, სესხის ოფიცრის პოზიციაზე, 2019 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით; – ამავე ვადაში, მოსარჩელე მისივე თანხმობით გადაყვანილი იქნა ს-ის სერვისცენტრში; – 2019 წლის 14 აგვისტოს მხარეებმა გააფორ-მეს შეთანხმება, რომლითაც ცვლილება შევიდა „გამოსაცდელი პე-რიოდის შრომითი ხელშეკრულების“ 2.3 მუხლში – „კონტრაქტის დასრულების თარიღი“ და ის, 2019 წლის 13 აგვისტოს ნაცვლად განისაზღვრა 2019 წლის 13 ნოემბრის ჩათვლით (შეთანხმებაზე თანხმობა მოსარჩელემ განაცხადა 06.08.2019 წელს); – შეთანხმე-ბით გათვალისწინებული ვადის ამონურვამდე დაახლოებით თვე-ნახევრით ადრე, 2019 წლის 01 ოქტომბერს, მოპასუხემ გამოსცა ბრძანება ს-ის სერვისცენტრის სესხის ოფიცრის – მოსარჩელის და-კავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. გამოსაც-დელი ვადით დადგებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის სა-მართლებრივ საფუძვლად მიეთითა შრომის კოდექსის მე-9 მუხ-ლის მე-3 პუნქტი (დამსაქმებელს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვა-დის განმავლობაში წებისმიერ დროს დადოს დასაქმებულთან შრო-მითი ხელშეკრულება ან შეწყვიტოს მასთან გამოსაცდელი ვადით დადგებული შრომითი ხელშეკრულება).

18. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეები ზემოთ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ დავო-ბენ. მათ შორის სადაცოა გამოსაცდელი ვადის გაგრძელების მარ-თლზომიერება, რაც სამართლებრივი შეფასების საკითხია. მხარე-თა შორის, ასევე, სადაცოა მოსარჩელის მიერ მოვალეობათა არა-ჯეროვნად შესრულების, სამსახურებრივი მოვალეობებისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა და დაკავებულ თანამდებობასთან მისი შეუსაბამობის საკითხი. ამ მხრივ, დამსაქმებელს არ წარმო-უდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოსარჩე-ლის მიერ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულებისა და დაკავე-ბული თანამდებობისადმი მისი შეუსაბამობის ფაქტებს.

19. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, საქმე-ში წარმოდგენილია სესხის მენეჯერის წერილი, რომლის მიხედ-ვით დასაქმებული აგვიანებდა სამსახურში, ერთხელ არ გამოცხად-და სამუშაოზე და ამასთან, გეგმა შეასრულა 7.88 ინდექსით, მაგ-რამ სხვა რაიმე მტკიცებულება, რაც ამ გარემოებებს დაადასტუ-რებდა საქმეში წარმოდგენილი არ არის.

20. აპელანტის მითითებით, მოსარჩელე არ უარყოფდა სამსა-ხურში გამოუცხადებლობისა და დაგვიანებით გამოცხადების ფაქ-ტებს, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული,

ვინაიდან მოსარჩელე ადასტურებს მხოლოდ ერთხელ სამსახურში გამოუცხადებლობის ფაქტს, რაც მისივე განმარტებით, განპირობებული იყო საპატიო (ახალშობილი შვილის საავადმყოფოდან გამოყვანის) მიზეზით და რის შესახებაც, ცნობილი იყო ადმინისტრაციისათვის. ასეთ ვითარებაში, დამსაქმებელი ვალდებული იყო დაკავებულ პოზიციასთან მუშავის შეუსაბამობა ემტკიცებინა სათანადო, უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით, რაც არ განუხორციელებია. ასევე, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული აპელანტის მითითება გეგმის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

21. აპელანტის მითითება გეგმის 7.88 ინდექსით შესრულებასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ წარმოდგენს საკმარის მტკიცებულებას დასაქმებულის მიერ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულებასთან მიმართებით.

22. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელესთან მხრიდან გეგმის შეუსრულებლობის ფაქტის გაზიარების შემთხვევაშიც, არ დასტურდება დაკავებულ თანამდებობასთან მისი შეუსაბამობა, ვინაიდან, არ ირკვევა კონკრეტულად რომელი მოვალეობის შეუსრულებლობამ, ან/და რომელი უნარ-ჩვევის არქონამ განაპირობა გეგმის შეუსრულებლობა. არ ირკვევა გეგმის შეუსრულებლობა განაპირობა ვალდებულებათა არაჯეროვანმა შესრულებამ/სუბიექტურმა ფაქტორმა, თუ დასაქმებულისაგან დამოუკიდებელმა ობიექტურმა გარემოებებმა, რაც უდავოდ გასათვალისწინებელი ფაქტორია მოსარჩელის მიერ შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკად გამომდინარე. ნიშანდობლივია, რომ მოპასუხეს, ამ მხრივ, რაიმე გარემოებაზე არ მიუთითებია და არც შესაბამის მტკიცებულება წარმოუდგენია. ბანკის სააპელაციო პრეტენზია ეფუძნება სადაც ბრძანებით ბათილობის საფუძვლების არარსებობას. მისი განმარტებით, მხარეთა შორის არსებობდა შრომით სამართლებრივი ურთიერთობა, ჯამში, არაუმეტეს 6-თვიანი გამოსაცდელი ვადით. შესაბამისად, სრული უფლება ჰქონდა გამოსაცდელ ვადაში გაეთავისუფლებინა დასაქმებული და ვალდებული არ იყო დაესაბუთებინა ამგვარი გადაწყვეტილების მართებულობა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო პრეტენზია და მიუთითოთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტორივ გარემოებაზე, რომლის მიხედვითაც, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული სამთვიანი გამოსაცდელი ვადა ფაქტობრივად გაგრძელდა კიდევ სამი თვით, რაც ენინააღმდეგება შრომის კოდექსის 9.1 მუხლის (ამჟამად 17.1 მუხლის) მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც დასაქმებულობა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არაუმეტეს 6 თვისა.

23. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული გამოსაცდელი ვადის გაგრძელების შესაძლებლობა საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი არ არის. უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული აპელანტის მიერ, თავისი პრეტენზიის დასასაბუთებლად, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის №2019/1152 დირექტივაზე მითითება, „ევროპის კავშირში გამჭირვალე და პროგნოზირებადი შრომითი პირობების შესახებ“. მითითებული დირექტივის მე-8 მუხლი ანესრიგებს რა გამოსაცდელ ვადასთან დაკავშირებულ საკითხებს, ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების უფლებას გამოსაცდელი ვადის გაგრძელების შესაძლებლობა დაუშვან მხოლოდ გამოსაცდელ ვადაში გაცდენების არსებობის შემთხვევაში, ისიც გაცდენილი პეროდის შესაბამისი ვადით. (მესამე პუნქტი). როგორც უკვე აღნიშნა, საქართველოს შრომის კოდექსი გამოსაცდელი ვადის გაგრძელების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული აპელანტის მტკიცება იმ თვალსაზრისითაც, რომ სამთვიან ვადაში ვერ შეძლო დასაკავებელ თანამდებობასთან პირის შესაბამისობის დადგენა და სწორედ დასაქმებულის ინტერესების გათვალისწინებით, გააგრძელა გამოსაცდელი ვადა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტს არ მიუთითებია იმ ობიექტურ გარემოებებზე, რამაც შესაძლებლობა არ მისცა გამოსაცდელ ვადაში დაედგინა მოსარჩელის შესაბამისობა დასაკავებელ თანამდებობასთან და განაპირობა გამოსაცდელი ვადის გაგრძელების აუცილებლობა. უსაფუძვლოა აპელანტის მითითება იმასთან დაკავშირებითაც, რომ საგამოცდო ვადის გაგრძელება განპირობებული იყო ს-ის სერვის-ცენტრში ახალ პოზიციაზე დასაქმებით. პალატამ მიუთითა, რომ აპელანტს არ წარმოუდგენია ვ-ისა და ს-ის სერვისცენტრებში მოსარჩელის მიერ დაკავებულ პოზიციებს შორის არსებითი სხვაობის, განსხვავებული სპეციფიკისა და განსხვავებული უნარ-ჩვევების ფლობის აუცილებლობის შესახებ.

24. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გამოსაცდელი ვადის გაგრძელების შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილება არამართლზომიერი იყო, ხოლო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამთვიანი გამოსაცდელი ვადის ამონურვის შემდეგ, მხარეთა შორის გაგრძელდა შრომითი ურთიერთობა, ამასთან, არ არსებობდა ერთწლამდე ვადით შრომითი ხელშეკრულების გაფორმების სმკ-ის მე-6 მუხლით (ამჟამად მოქმედი რედაქციით მე-12 მუხლით) გათვალისწინებული წინაპირობები, მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა განუსაზღვრელი ვადით დადებულად უნდა ჩათვლილიყო. იმავდროულად, პალატამ განმარტა რომ იმ შემთხვევაშიც, თუ სახეზე გვექნებოდა კანონ-

შესაბამისად გაფორმებული, გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება, მაინც იარსებებდა სადაც ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

25. დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელე თანამდებობიდან გათავისუფლდა მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დაახლოებით თვეწახევრით ადრე. ის, რომ დასაქმებულმა ვერ შეძლო ან არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები, დამსაქმებულმა მხოლოდ ზეპირსიტყვიერად არ უნდა განმარტოს, არამედ შესასრულებელ სამუშაოსთან დასაქმებულის შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნდა მიუთითოს კონკრეტულ შემთხვევაზე, მტკიცებულებაზე, გარემოებაზე, თუ რა დროს, რა ვითარებაში, რომელი კონკრეტული სამსახურებრივი დავალებისას ვერ შეძლო დასაქმებულმა იმ უნარ-ჩვევების, თუნდაც მინიმალური სტანდარტის შესრულება, რომელსაც მასზე სამსახურებრივად განპიროვნებული საქმიანობა მოიცავდა. ამ მხრივ აპელანტი შემოიფარგლა მხოლოდ ზეპირი ახსნა-განმარტებით, რაც საკმარისი არ არის, ვინაიდნა, საქმის გარემოები არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ იმ მხარის ახსნა-განმარტებით, რომელიც დაინტერესებულია საქმის შედეგით.

26. იმ პირობებში, როდესაც მხარეთა შორის სადაცო გამოცემული ბრძანების მართლზომიერების საკითხი, აღნიშნული მოპასუბის მტკიცების საგანში შემავალი გარემოება იყო. აქედან გამომდინარე, სწორედ დამსაქმებლის ვალდებულებას წარმოადგენდა დასაქმებულის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობის ფაქტის დადასტურება. დამსაქმებელმა კი, გარდა სიტყვიერი ახსნა-განმარტებებისა, სასამართლოს ვერ წარუდგინა მის მიერ მითითებული გარემოების, ზ. ხ-ვას მიერ სამსახურში დაგვიანებების, არასაპატიო მიზეზით გაცდენის, სამსახურებრივი მოვალეობებისადმი გულგრილი დამოკიდებულების დამამტკიცებელი მტკიცებულებები, რაც შრომის კანონმდებლობიდან გამომდინარე სწორედ დამსაქმებლის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა.

27. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, მოსარჩელე შრომითი ურთიერთობა შეწყდა არამართლზომიერად, რის გამოც, გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობით სასამართლომ დასაბუთებული და მართებული გადაწყვეტილება მიიღო.

28. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტის (სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციით) თანახმად, სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით,

დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. ამავე კოდექსის 32.1. მუხლით, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დასაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს, დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით. ამავე კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად კი, შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. ნიშანდობლივია, რომ იძულებითი მოცდენის დროს შრომის ანაზღაურებისა და მიყენებული ზიანისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხები ანალოგიურად წესრიგდება საქართველოს შრომის კოდექსის ამჟამად მოქმედი რედაქციის (29.09.2020 წ. ორგანული კანონი №7177) 42-ე (თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დასაქმებულს დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს შრომის ანაზღაურება სრულად მიეცემა) და 58.1 (ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით) მუხლებით.

29. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს მიუღებელი შემოსავლისთვისაც: მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პარს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად კი, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

30. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პანქმა ვერ უზრუნველყო მტკიცების ტვირთის დაძლევა, ვერ შეძლო სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლად მითითებული გარემოებების გამაბათილებელ არსებით გარემოებებზე მითითება და შესაბამისი მტკიცებუ-

ლებებით მათი დამტკიცება. უკვე არსებული შრომითი ურთიერთობის უკანონო შეწყვეტით, დამსაქმებელმა მოსარჩელეს მოუსპობრივი შესაძლებლობა განეხორციელებინა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამსახურებრივი მოვალეობა და მიეღო ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომითი ანაზღაურება, ყოველთვიური ხელფასის ოდენობით. შესაბამისად, რაიონულმა სასამართლომ მართებულად დააკემაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, შრომითი ხელშეკრულების არამართლზომიერად შეწყვეტის მომენტიდან დასაქმებულის სამუშაოზე აღდგენამდე.

31. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია, რომ სასამართლოს არ გამოუკლევია გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის არსებობდა თუ არა ვაკანტური პოზიცია ბანკის ს-ის სერვისცენტრში.

32. პალატამ მიუთითა, რომ ამ მხრივ, მოპასუხეს, არც შესაგებელში და არც შემდგომ საქმის განხილვის პერიოდში, პირვანდელ თანამდებობაზე ალდგენის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, შეპასუხება არ წარმოუდგენია, რაც სწორედ მისი, როგორც დამსაქმებლის მტკიცების ტვირთსა და ვალდებულებას წარმოადგენდა. საქმეში წარმოდგენილი არ არის რამე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ბანკის ს-ის სერვისცენტრში არ არსებობს სესხის ოფიცირის ვაკანტური პოზიცია.

33. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა აპელანტმა (მოპასუხება), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უარყოფა

34. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელის მხრიდან, სამსახურისადმი გულგრილი დამოიდებულება არ დასტურდებოდა. გარდა იმ ფაქტისა, რომ საქმეში წარდგენილია აღნიშნულის დამადასტურებელი ელექტრონული მიმოწერა მტკიცებულებების სახით, სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა თავადაც აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ ადგილი ჰქონდა სამსახურის გაცდენას.

35. კასატორი აღნიშნავს, რომ ვ-ის სერვისცენტრში მუშაობისას დასაქმებულის შრომა არ შეფასდა დადებითად და არ ჩაითვალია, რომ უნდა მომხდარიყო შრომითი ხელშეკრულების გაფორმება გამოსაცდელი ვადის გარეშე. შესაბამისად, როცა წარმოეშვა ს-ის სერვის ცენტრს საკრედიტო ოფიცირის პოზიცია, დამსაქმებელმა არ გაათვალისუფლა დასაქმებული, არამედ მას მისცა გონივრული დრო ახალ პოზიციაზე სამუშაოდ. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე წარმოშობით ს-იდან არის, მას მეტი შესაძლებლობა

ექმნებოდა ახალ პოზიციაზე მუშაობისას დაერწმუნებინა დამსაქ-  
მებელი, რომ აქვს სათანადო უნარები და შესაძლებლობები, რაც  
ვერ გამოიყენა. შესაბამისად, დასაქმებულის გულგრილი დამოკი-  
დებულება სამსახურისადმი, არ შეიძლება დაკვალიფირდეს გა-  
ნუსაზღვრელი ვადით დადებულ შრომით ხელშეკრულებად და წა-  
ხალისდეს სასამართლო მხრიდან.

36. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად დაად-  
გინა ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩევემ, სამი თვის გამო-  
საცდელი ვადით დაიწყო მუშაობა ბანკის ვ-ის სერვისცენტრში. სა-  
სამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ მხარეთა შორის გამო-  
საცდელი პერიოდის შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებდა გა-  
მოსაცდელი ვადის გახანგრძლივების შესაძლებლობას.

37. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არ შეისწავლა მასა-  
ლები სრულად და არასწორად დაადგინა, რომ გამოსაცდელი პერი-  
ოდის შრომით ხელშეკრულებაში ცვლილება განხორციელდა 2019  
წლის 14 აგვისტოს და ხელშეკრულების ბოლოს ჩანაწერი „ჩემი  
ხელმოწერით ვადასტურებ სურვილს დავდონ წინამდებარე შრომი-  
თი ხელშეკრულება და ვეთანხმები მის პირობებს“ შეტანილია მხო-  
ლოდ გამოსაცდელი ვადის გახანგრძლივების შესახებ შეთანხმე-  
ბაში. კასატორი აღნიშნავს, რომ შეთანხმების ტექსტში, ზ. ხ-ვას  
ხელმოწერის შემდეგ, მისივე ხელით არსებობს ჩანაწერი, თუ რო-  
დის მოხდა შეთანხმებაზე ხელმოწერა და ამ თარიღს წარმოად-  
გენს 2019 წლის 6 აგვისტო. უფრო მეტიც, ტექსტი „ჩემი ხელმოწე-  
რით ვადასტურებ სურვილს დავდონ წინამდებარე შრომითი ხელ-  
შეკრულება და ვეთანხმები მის პირობებს“ ასევე შეტანილია ძირი-  
თადი ხელშეკრულების ბოლოს მოსარჩევის ხელმოწერამდე. აღ-  
ნიშნული ადასტურებს, რომ ტექსტი არ შეიძლება წაკითხულ და  
აღქმულ იქნეს იმგვარად, თითქოს მხარეები თანხმდებოდნენ გა-  
მოსაცდელი ვადით შრომითი ხელშეკრულების გარდა სხვა პირო-  
ბებზე, მით უფრო, განუსაზღვრელი ვადით შრომით ურთიერთო-  
ბაზე.

38. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ ვერ განმარტა საქ-  
მისათვის მნიშვნელობის მქონე მთავარი გარემოება – დასაშვებია  
თუ არა საგამოცდო ვადით დადებული ხელშეკრულების ვადის გა-  
ხანგრძლივება 6 თვიანი ვადის ფარგლებში. ამასთან, თუ სასამარ-  
თლო ჩათვლიდა, რომ ცვლილება ძირითად ხელშეკრულებაში არ  
წარმოადგენდა ძირითადი ხელშეკრულების ნაწილს, უნდა ემსჯე-  
ლა, მხარეებს შორის, ხომ არ მოხდა გამოსაცდელი ვადით შრომი-  
თი ხელშეკრულების გაფორმება სხვა თანამდებობასთან დაკავში-  
რებით, რაც არ განუხორციელებია. იმ შემთხვევაში თუ ჩავთვლით,  
რომ გამოსაცდელი ვადით შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგ-

რძელება 6 თვემდე შეუძლებელია და 2019 წლის 6 აგვისტოს ხელმოწერილი შეთანხმება უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებელ ხელშეკრულებად, მაშინ უნდა ჩავთვალოთ რომ მხარეებს შორის დაიდო არა ორი, არამედ ერთი ხელშეკრულება, ს-ის სერვისცენტრში სესხის ოფიცირის პოზიციაზე დასაქმებასთან დაკავშირებით, ვინაიდან 2019 წლის 13 მაისის ხელშეკრულება ეხებოდა დასაქმებას ვ-ის სერვისცენტრში სესხის ოფიცირის პოზიციაზე. მხარეთა შორის 2019 წლის 6 აგვისტოს ხელმოწერილი შეთანხმება რომლითაც ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოსაცდელი ვადა გაიზარდა, არ შეიძლება მიყიჩიოთ დამოუკიდებელ ხელშეკრულებად. ის გარემოება, რომ შესკ-ის მე-9 მუხლის 1-ელ პუნქტში მოცემული დებულება უთითებს, რომ დასაქმებულთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით, არ გამორიცხავს კეთილსინდისიერების, თანასწორობის პრინციპების დაცვით პირვანდელი გამოსაცდელი ვადის გახანგრძლივების შესაძლებლობას (6 თვის ფარგლებში), თუ ეს საჭიროა დამასაქმებულისათვის რათა დადგებითად შეაფასოს დასაქმებულის უნარები და შესაძლებლობა, მაღალი ხარისხით გაართვას თავის ახალ პოზიციას.

39. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს საერთოდ არ გამოუკვლევია, არსებობს თუ არა ვაკანტური ოფიცირის თანამდებობა კ. ბ-სი, ან ტოლფასი თანამდებობა. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ სად, რა პოზიციაზე მოხდა მოსარჩევის აღდგენა. ფაქტია, რომ მოსარჩევე ამგვარ მოთხოვნას არც სარჩელში აყენებდა და არც სასამართლოს კვლევის საგანი გამხდარა, რათა მოპასუხეს, მტკიცების ტვირთის ფარგლებში, მისცემოდა შესაძლებლობა, წარედგინა მტკიცებულებები საშტატო ერთეულებთან დაკავშირებით.

40. კასატორი მიუთითებს სასამართლო პრაქტიკაზე: სუსგ №ას-931-881-2015, 29 იანვარი, 2016 წელი, რომელშიც საკასაციო პალატამ განმარტა შემდეგი: „დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების უკანონობა (ბათილად) ცნობის შემთხვევაში, დასახელებულ ნორმაში [სშკ-ის 38.8] მითითებულია დამსაქმებლის ვალდებულება, რომელიც რამდენიმე შესაძლებლობას მოიცავს, თუმცა კანონმდებლის მიერ დადგენილი წესი არ შეიძლება იმგვარად განიმარტოს, რომ სასამართლოს, დისკრეციული უფლებამოსილებით, შეუძლია მოხმობილი ნორმის დანაწესის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენება. სშკ დამსაქმებელს ავალდებულებს „პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ

განსაზღვრული ოდენობით“. მითითებული რეგულაციით დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ხოლო, თუკი აღნიშნული შეუძლებელია, მაშინ მომდევნო რიგითობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება (იხ. სუსგ №ას-951-901-2015, 29.01.2016წ.). იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სრულიად დაუსაბუთებლად, მაგრამ მიიჩნევდა, რომ სახეზე იყო განუსაზღვრელი ვადით დადებული კონტრაქტი, უნდა გამოეკვლია, ვაკანტურია თუ არა ის პოზიცია, რომელსაც დასაქმებული გათავისუფლებამდე იკავებდა, რამდენადაც, თუ მასზე დაინიშნა სხვა პირი, მას შრომითი ურთიერთობის დაცვის ლეგიტიმური საფუძველი გააჩნია. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა სხვა საფუძვლით, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებისა. არამართლზომიერად გათავისუფლებული პირის იმ თანამდებობაზე აღდგენა, სადაც სხვა პირი უკვე შრომით ურთიერთობაში იმყოფება, უკანონოს გახდის დამსაქმებლის იმ გადაწყვეტილებასაც, რომელიც ახალი დასაქმებულის გათავისუფლებას გამოიწვევს. გარდა ამისა, პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ ფაქტზე, რომ არც ერთი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელეს ტოლფასი თანამდებობის არსებობაზე მითითება არ გაუკეთებია, ამდენად, მისი დარღვეული უფლების აღდგენა დამსაქმებლისათვის კომპენსაციის დაკისრების გზით უნდა განხორციელდეს (03.06.2019 ას-1327-2018).

41. კასატორო მიუთითებს, რომ 2019 წლის 1 ნოემბრიდან დაკავებულია ს-ის სერვის ცენტრში სესხის ოფიცირის პოზიცია, შესაბამისად, მოსარჩელის ნინანდელ თანამდებობაზე აღდგენა ვერ განხორციელდება. ამასთან, არც მხარეს არც სასამართლოს არ გამოუკვეთებია ინფორმაცია ტოლფას პოზიციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, გაურკვეველია, როგორ უნდა აღსრულდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, თუ არ სერვისი ის თანამდებობა ვაკანტური სახით, რომელსაც იკავებდა დასაქმებული გათავისუფლებამდე.

42. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 21 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა ნარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2021 წლის 26 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილს „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით.

43. საკასაციონ სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაწიშნა სასამართლო სხდომა 2021 წლის 8 აპრილს, რა დროსაც, შესთავაზა მხარებს დავის მორიგებით დასრულება. 2021 წლის 22 აპრილის სხდომაზე მხარებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლებს საკასაციონ სასამართლოს წინაშე მისი დამტკიცების შესახებ.

### **სამოტივაციონ ნაწილი:**

44. საკასაციონ სასამართლო გაეცნო მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა მორიგების დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

45. სსსკ-ის მე-3 მუხლით განმტკიცებულია სამოქალაქო სამართლწარმოებისათვის მნიშვნელოვანი დისპოზიციურობის პრინციპი, რაც უმთავრესად ნიშნავს მხარეთა მიერ საკუთარი ნების საფუძველზე კანონით მათვის მინიჭებული უფლებების განკარგვას. მათ შორისაა ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული უფლება, მხარებმა დავის შეწყვეტის მიზნით, მიაღწიონ შეთანხმებას გარკვეულ პირობებზე (მორიგდნენ), რომელიც ორმხრივ მავალდებულებებია და სასამართლოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში ექვემდებარება აღსრულებას.

46. საკასაციონ პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს მხარეთა შორის დავის მორიგებით დასრულების თაობაზე.

47. საკასაციონ პალატა აღნიშნავს, რომ სამართლებრივი დავა, როგორც წესი, ხანგრძლივ და რთულ პროცესს უკავშირდება. მორიგება ის სამართლებრივი მოვლენაა, რომელიც მხარეთა ნების მაქსიმალური გათვალისწინებით და კანონიერი გზით წყვეტის მხარეთა შორის არსებულ უთანხმოებას. საქმის დამთავრება მორიგებით სამართალწარმოების დასრულების არანაკლებ მნიშვნელოვანი ფორმაა, ვიდრე საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა. ზოგჯერ მორიგება უკეთესი ალტერნატივაა, თუმცა, მხოლოდ ერთი პირობით – თუ მორიგების შეთავაზება მიზნად ისახავს არა მხოლოდ მოსამართლის განტვირთვას, მისი მუშაობის შემსუბუქებას, არამედ მხარეთა შორის დავის საგანზე წარმოშობილი კონფლიქტის სამართლიანად მოგვარებას.

48. სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება ემყარება მიზანს, მოწესრიგდეს და აღმოიფხორას საზოგადოებრივ ურთიერთობებში წარმოშობილი კონფლიქტი, საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეებმა ხელშეშლის გარეშე, მათვის ხელსაყრელ და სასურველ პირობებში, შეძლონ თავიანთი უფლე-

ბების განხორციელება. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საუკეთე-სო სამართლებრივი საშუალება მოდავე მხარეთა შორის მორიგე-ბაა.

49. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ურ-თიერთობების სამოქალაქო-სამართლებრივი მოწესრიგების პრო-ცესში მისი მონაწილეების აღჭურვა განსაზღვრული უფლებებითა და მოვალეობებით, განაპირობებს შემდგომში მათ ქცევას არსე-ბული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. საქმის წარმო-ება და მორიგებით საქმის წარმოების დასრულება, საპროცესო კა-ნონმდებლობით გათვალისწინებული მხარეთა უფლებაა. საქმის შე-დეგით მატერიალურ-სამართლებრივი დაინტერესება გულის-ხმობს, რომ საქმის გადაწყვეტის შედეგად ერთ-ერთმა მხარემ შე-საძლოა შეიძინოს რაიმე მატერიალური სიკეთე, ხოლო მეორე მხა-რე – ამ სიკეთეს კარგავს. მორიგებისას მდგომარეობა განსხვავე-ბულია, აյ ინტერესი და სამართლებრივი სიკეთით სარგებლობა ერ-თდროული და ორმხრივია.

50. მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრება წარმოადგენს მხარეთა უფლებასა და დისპოზიციურობის პრინცი-პის გამოვლენას. დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო სამარ-თალწარმოებაში – ესაა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლო-ბით გათვალისწინებული და გარანტირებული მხარეთა შესაძლებ-ლობა თავისუფლად ისარგებლონ ან განკარგონ თავიანთი მატერი-ალური და საპროცესო უფლებები. სამოქალაქო საქმის წარმოების მორიგებით დამთავრება პროცესის მონაწილე მხარეთათვის კანო-ნით მინიჭებული დისპოზიციური უფლებამოსილებაა, რომელიც მა-თი ნების თავისუფალი გამოვლინებისა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გარიგების სახით მიღება და სასამართლოს მხრი-დან კანონიერების კონტროლის საფუძველზე მტეაცდება. მხარე-თა შორის წამოჭრილი დავის მორიგებით დამთავრება ყოველთვის ითვლებოდა და დღესაც ითვლება ამ დავის გადაწყვეტის ყველაზე საუკეთესო საშუალებად. სწორედ ამიტომ ევალება სასამართლოს მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა მხარეთა მორი-გებისათვის, საქმის მშვიდობიანად დამთავრებისათვის.

51. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მორიგების სამარ-თლებრივი მნიშვნელობა ორი დამოუკიდებელი ნიშნით განისაზ-ღვრება. პირველი – მატერიალური და მეორე – პროცესუალური ნიშნით.

52. მატერიალური ნიშნით მორიგება გარიგებაა. გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რო-მელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. გარიგების ყველაზე გავრცელებული

სახე ხელშეკრულებაა, რომელიც ორ ან მეტ სუბიექტს შორის სამართლებრივ ურთიერთობას წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს. მორიგების ხელშეკრულებად მიჩნევას ორი ძირითადი და არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს. მორიგება ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენის ფაქტია. თუმცა, მორიგება გარკვეულნილად განსხვავდება სსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგებისაგან. კერძოდ, გარიგებისაგან განსხვავებით, მორიგება არ შეიძლება იყოს ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგი. მორიგებაში ცალმხრივი ნების გამოვლენა შეუძლებელია. ცალმხრივი ნება, სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებში შესაძლოა გამოიხატოს სარჩელის ცნობით (აღიარებით) ან სარჩელზე უარის თქმით, რაც მორიგებას არ წარმოადგენს, თუმცა მაინც იძლევა შედეგს სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის სახით. მორიგება წარმოადგენს მხარეების მიერ ახალ გარემოებებზე შეთანხმებას. მხარეთა მორიგების შემთხვევაში წყდება სამართალნარმოება, უქმდება საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და მტკიცდება მორიგება. ასეთი მორიგება უკეთ მხარეთა შორის გამოხატული ახალი ნებაა, რაც ახალი გარიგების დადებას გულისხმობს.

53. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პროცესუალური ნიშნით მორიგება სამართლებრივი პროცესია და იგი ორ კომპონენტს მოიაზრობს: მორიგება, როგორც დამოუკიდებელი პროცესი და მორიგება, როგორც საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილი ანუ პროცესის პროცესი. მორიგება, როგორც დამოუკიდებელი პროცესი დამოუკიდებელი სამართლებრივი მოვლენაა დასაწყისით, სამართლებრივი ეტაპებით და დასასრულით. მორიგების დაწყების საფუძველი მხარეთა შორის არსებული დავა. იგი მოიცავს მოდავე მხარეების სამომრიგებლო მცდელობებს, წინადადებებს, მოლაპარაკებებს, რაც მიმართულია საქმის წარმოების მორიგებით დასრულებისკენ. რაც შეეხება მორიგებას, როგორც საქმის წარმოების პროცესის შემადგენელ ნაწილს, აქ უმნიშვნელოვანესია, რომ მორიგება აქცესორული ხასიათის სამართლებრივი მოვლენაა, რომელიც საქმის წარმოების გარეშე არ არსებობს. მორიგების არსებობა და მისი სამართლებრივი განხორციელება სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესზეა დამოუკიდებული და მის გარეშე არ არსებობს. მორიგების უფლება არ წარმოიშობა მთავარი საპროცესო უფლების – საქმის წარმოების გარეშე. თუ არ იქნება საქმის წარმოება ანუ სასამართლო წესით განსახილველი დავა, მორიგებაც ვერ განხორციელდება ანუ თუ არ იქნება დავა, მოსარიგებელი არაფერია, შესაბამისად, მორიგება საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილია.

54. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მორიგების ძირითადი

**პრინციპებია:** а) მორიგება მხოლოდ სასამართლოს პირობებში ხორციელდება, როგორც საქმის განხილვის, ისე აღსრულების ეტაპზე; ბ) მორიგების კანონიერების უზრუნველყოფა სასამართლოს ვალდებულებაა; გ) მორიგების აქტი მტკიცდება სასამართლოს განჩინებით; დ) მორიგებით დასრულებულ საქმეზე ხელახალი განხილვისათვის სასამართლოსტვის მასართვა, გამოწაკლისის გარდა, დაუშვებელია; ე) მორიგების პირობების შეუსრულებლობა ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.

55. მოსამართლის როლი და ფუნქცია უდიდესია მორიგების მიღწევის გზების სწორად შერჩევაში, მორიგების პროცესის წარმართვაში, პროცესის რეგულირებასა და მორიგების პირობების დამტკიცებაში. სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე მუდმივად უნდა ეცადოს საქმე მორიგებით დაასრულოს. მორიგების აქტი მხარეების სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განკარგვის შესახებ წერილობითი დოკუმენტია (ხელშეკრულება). ის მოდავე მხარეთა მიერ გაფორმებულ სამართლებრივ შეთანხმებას წარმოადგინს. მორიგების აქტში აღინიშნება მხარეთა ნება, რომელიც თავისი შინაარსით ითვალისწინებს ორმხრივ დათმობებს საერთო, სასარგებლო მიზნის მისაღწევად.

56. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მორიგების აქტი და განჩინება, რომლითაც მორიგების აქტი მტკიცდება. თუ მხარე არ ეთანხმება მორიგების აქტის პირობებს, უნდა გასაჩივრდეს არა უშუალოდ მორიგების აქტი, არამედ განჩინება მორიგების დამტკიცების თაობაზე. აღნიშნულით დასტურდება ის გარემოება, რომ განჩინება ანიჭებს მორიგების აქტს იურიდიულ ძალას და მნიშვნელობას.

57. მოსამართლე საკუთარი ინიციატივით არ არკვევს მორიგების აქტში მითითებულ, მხარეთა შორის შეთანხმებულ, მორიგების პირობის შინაარსობრივ ასპექტებს. მორიგების პირობებში ასახვას ჰპოვებს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება, ისე, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი მხარეებს განუსაზღვროს მორიგების კონკრეტული პირობა. სასამართლე შეზღუდულია მხარეთა ნებით და იგი მათ მიერ გამოვლენილი ნების განმარტებას არ ახდენს. სასამართლოს ევალება მორიგების აქტის კანონიერების კონტროლი. სასამართლოს მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტისას, პირველ რიგში ევალება გაარკვიოს მხარეების შეთანხმება ხომ არ არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ხომ არ ენინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, ანუ ადგილი ხომ არ აქვს მართლსაწინააღმდეგო ან ამორალურ მორიგებას. ამასთან, სასამართლო ასევე უნდა დარწმუნდეს, ხომ არ არის აღნიშნული მორიგების საფუძველი მოტყუება, იძუ-

ლება ან შეცდომა. ამდენად, აუცილებელია მორიგება სამართლიან ხასიათს ატარებდეს და ემყარებოდეს კანონსა და მორალს.

58. მორიგების თაობაზე მხარეთა შეთანხმების შემდეგ, მათი უფლებები და მოვალეობები სწორედ მორიგებაში განსაზღვრული პირობების მიხედვით განისაზღვრება და არა მორიგებამდე არსებული ვალდებულების მიხედვით. მორიგების აქტის შინაარსი სადაც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მხარეები მხოლოდ დავის საგნის ირგვლივ უნდა შეთანხმდნენ, დავის საგანს არ უნდა გასცდნენ. მიღებული მორიგების აქტი მიმართული უნდა იყოს დავის გადაწყვეტისაკენ და თითოეული მხარის მიერ ნამოყენებული მორიგების პირობა მეორე მხარის ინტერესსა და მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. საქმის ნარმოების სასურველი შედეგით დასრულების მიზნით აუცილებელია მხარეთა პოზიციების ურთიერთდათმობა. მორიგებისას თითოეული მხარე თმობს საკუთარ პოზიციას მეორე მხარის სასარგებლოდ შესაძლოა რომელიმე მხარეს ნაკლებად მოგებიანი პოზიცია ჰქონდეს საქმის ნარმოებისას, თუმცა მორიგების დროს შეძლოს მეორე მხარისთვის ისეთი სამართლებრივი სიკეთის შეთავაზება, რაც არ-სებულ კონფლიქტს დააბალანსებს და დაარეგულირებს.

59. მორიგება მოდავე მხარეთა შორის ხორციელდება და ორ-მხრივ ურთიერთდათმობას ემყარება. მორიგებისას აუცილებელია მხარეთა კონცენტრირება საერთო სასარგებლო და ორივე მხარის-თვის მისაღებ შედეგზე. ორმხრივი ინტერესი ის უმთავრესი წინაპირობაა, რომელიც უმოკლეს დროში იძლევა მორიგების სამართლებრივ შედეგს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მორიგებისას „დამარცხებულის პოზიცია“ არ არსებობს და მორიგებაში მხარეთა სტატუსია „მორიგებულები“. მხარეებს შეუძლიათ გააკონტროლონ შედეგი, რომელიც მიიღწევა მოლაპარაკებით. ნებისმიერი მორიგების პროცესის „ხიბლი“ სწორედ შედეგშია (The beauty of any negotiated settlement – იხ: Stephen G. Crane., Judge Settlements Versus Mediated Settlements, Dispute Resolution Magazine, 2011, 22.).

60. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლიანობის აღ-დგენა მხოლოდ კანონით დადგენილი ნებით მიღებულ გადაწყვეტილებასა და ზოგადად მართლმსაჯულების განხორციელებაში არ გამოიხატება, არამედ მხარეთა ნების გამოვლენაშიც. მორიგების შედეგად უფრო მკვეთრად არის შესაძლებელი „სამართლიანობის“ აღდგენა, ვიდრე სადავო გადაწყვეტილების გამოტანისას, როდე-საც ეს უკანასკნელი ხშირად ფორმალურ კრიტერიუმებზეა ორი-ენტირებული. მორიგებით შესაძლებელია იმ შედეგის მიღება, რომელსაც გადაწყვეტილების მიღებით ვერ მივიღებდით. მორიგებით დავის გადაწყვეტა ხელს უწყობს მხარეთა შორის ახალი ურთიერ-

თობის დამყარებას და მშეიდობის აღდგენას.

61. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აუცილებელია მორიგება კანონის ფარგლებში განხორციელდეს. აღნიშნული საკითხის სამართლებრივ ქრილში კონტროლი მოსამართლის ერთგვარი ვალდებულებაა, რადგან მის მიერ გამოტანილი განჩინება მორიგებით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, სახელმწიფო მართლმსაჯულების განმახორციელები დოკუმენტია, რომელიც კანონს და მორალს უნდა ეფუძნებოდეს. აღნიშნულის პრაქტიკული გამოვლინება იმაში მდგომარეობს, რომ მორიგებითი შეთანხმების დადება ხორციელდება სასამართლოს კონტროლის ქვეშ. სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, ხომ არ ეწინააღმდეგება მორიგების აქტის პირობები კანონს, ხომ არ არღვევს ის სხვა პირთა უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს. აღნიშნული გარემოებების არსებობისას, სასამართლომ უარი უნდა თქვას მორიგებითი შეთანხმების დამტკიცებაზე. თავის მხრივ, მორიგებითი შეთანხმების შესახებ განჩინება უტოლდება სასამართლოს გადაწყვეტილებას და მხარეების მიერ შეუსრულებლობისას ექვემდებარება იძულებით აღსრულებას. მორიგების შედეგად მხარეთა ინტერესების შეთანხმება ხდება. სამართალი ხელს უწყობს განსხვავებული ინტერესების შერიგებას და ასრულებს კონფლიქტის მოწესრიგების ფუნქციას.

62. აუცილებელია ორივე მხარის ინტერესები თავიდანვე სწორი სიზუსტით იყოს განსაზღვრული, რადგან მორიგება ხდება სწორედ მოდავე მხარეთა მოსაზრებებისა და პოზიციების შეჯერების საფუძველზე. ინტერესთა მორიგება გულისხმობს ორმხრივი ინტერესების ურთიერთშეთანხმებას. ინტერესი საერთო-სასარგებლო მიზნის მიღწევაში გამოიხატება. მხარეთა უმთავრესი მიზანი არსებული დავის საბოლოო და შედეგიანი გადაწყვეტაა. მორიგებით დავის გადაწყვეტამ „რეალური შედეგი“ უნდა მისცეს მხარეებს, რამაც თავისთავად უნდა გამორიცხოს სასამართლოსადმი ხელახლა მიმართვის სურვილი. მორიგებით საქმის წარმოების დამთავრება მოდავე მხარეების უფლებამოსილებას წარმოადგენს, რომლითაც მხარეები განკარგავენ კანონით მინიჭებულ უფლებას – საქმე მორიგებით დაასრულონ.

63. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს წინაშე მხარეები თანასწორუფლებიანები არიან. მხარეთა უთანასწორობის პირობებში შესაძლოა მორიგების მიღწევის შესაძლებლობა დაგვიანებული ან საერთოდ შეუძლებელი გახდეს. მხარეთა თანასწორობის მიზნით აუცილებელია გააზრებულ იქნეს, რომ მეორე მხარის ინიციატივით წამოსული მოთხოვნა არანაკლებ ეფექტური იქნება იმისთვის, რომ საქმის წარმოება მორიგებით დასრულდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი მხარისგან წამოსული შე-თავაზება ყველაზე შედეგიანი არის მაშინ, როცა მხარე არ ეძებს მიზეზს ამ შეთავაზებისთვის და ლიად ინკვეს მხარეს მორიგებით საქმის წარმოების დასრულების თაობაზე. მორიგების შედეგად მხარეთა ინტერესები გათანაბრებულია და შესაბამისად, აღარ არ-სებობს წაგებული მხარე. მორიგება მათ თანაბარ სტატუსს ანიჭებს.

64. მორიგების „მოქმედება სამართალში“, გამოიხატება იმაში, თუ რა სამართლებრივი შედეგები მოაქვს საქმის წარმოების მორიგებით დასრულებას. მორიგება იძლევა კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს, რაც ერთის მხრივ დავის გადაწყვეტაში, ხოლო მეორეს მხრივ საქმის წარმოების დამთავრებაში გამოიხატება. მას შემდეგ რაც მხარები წარმოადგენენ მორიგების აქტს, ისინი მიმართავენ სასამართლოს თხოვნით დამტკიცდეს აღნიშნული მორიგების აქტი და შეწყდეს საქმის წარმოება. ასეთი სახის თხოვნა კანონით დადგენილი წესით განხორციელებული შუამდგომლობაა, რომელიც შესაძლოა დაკავიყოლოს სასამართლომ, შესაძლოა – არა. თუკი სამართლო საქმის მასალების შესწავლისა და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს, ასეთ შემთხვევაში მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდება, რასაც უკავშირდება სსსკ-ის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი.

65. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მორიგების აქტის აღსრულების სიმარტივე საკანონმდებლო დათქმაშია, რომ შეწყვეტილი საქმის წარმოება არ აძლევს არცერთ მხარეს უფლებას ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს იმავე დავის საგანზე, იმავე მხარეებს შორის. ამასთან, აღსრულების სიმარტივეს ისიც განაპირობებს, რომ საჭირო არ არის სააღსრულებო ფურცლის გამონერა, ვინაიდან, ფაქტიურად, სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცებით მტკიცდება ხელშეკრულება მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობებით. შესაბამისად, ხელშეკრულების პირობების დაცვა მხარეთა ნებაყოფლობითობას ეფუძნება ანუ ერთგვარი „ნებაყოფლობითი ვალდებულება“. მორიგების შედეგად მხარეები იღებენ „შესრულებად გადაწყვეტილებას“ და თავიდან იცილებენ „გადაუწყვეტელ გადაწყვეტილებას“, რომელიც შესაძლოა აკმაყოფილებდეს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს, მაგრამ ფაქტობრივად ვერ წყვეტდეს დავას. მორიგებით გათვალისწინებული პირობების აღსრულების ერთგვარი გარანტია ის გარემოებას, რომ მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინებაში ზუსტად უნდა აისახოს მორიგებით შეთანხმებული პირობები

იმ ვადების მითითებით, რა ვადაშიც უნდა შესრულდეს ნაკისრი ვალდებულება.

66. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი მორიგების აქტით განსაზღვრული პირობები გამოხატავს მხარეთა ნებას, რაც მათ სხდომაზეც დაადასტურეს, ამავდროულად, მორიგების აქტის შინაარსია არ ენინალმდეგება კანონს.

67. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მხარეები-სათვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმის წარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება, განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

68. სსსკ-ის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ. იმავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

69. სსსკ-ის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

70. ამდენად, მხარეთა მორიგების საფუძველზე კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 750 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე მუხლით, 373-ე მუხლის მეორე ნაწილით, 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით, მე-3 მუხლით, 49-ე მუხლის მეორე ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. დამტკიცდეს მორიგება სს „კ. ბ-ს“ და ზ. ხ-ვას შორის შემდეგი პირობებით:

1. სს „კ. ბ-ი“ განსახილველ საქმეზე (№ას-1504-2020) საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შეს-

ვლიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში ზ. ხ-ვას ჩაურიც-ხავს მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე 8000 (რვა ათას) ლარს (ხელზე ასაღები)

2. სს „კ. ბ-ი“ განსახილველ საქმეზე (№ას-1504-2020) საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში ზ. ხ-ვასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მიუთითებს: „მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევა“.

2. მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს და გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება;

3. განემარტოთ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში დაუშვებელია სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით;

4. კასატორ სს „კ. ბ-ს“ (ს.ნ: №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით 2021.01.14-ში №1640475 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 750 ლარი.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 8. საქმის თარიღების შეჩერება

სასამართლოს მოვალეობა შეაჩეროს საქმის თარიღება

### განცილება საქართველოს სახელით

№ას-901-2018

3 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. საჯარო რეესტრის მონაცემებით, გ. თ-ის (შემდგომში – „მოსარჩევე“) საკუთრებაში ირიცხება უძრავი ქონება, მდებარე ქ. ბათუმში, მ... აღნიშნულ უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია 2016 წლის 21 მარტიდან. საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია თბილისის საადსრულებო ბიუროს განკარგულება №..., დამოწმების თარიღი: 16/03/2016.

2. ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებას ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობენ ნ. ბ-ე, ა. ბ-ე და ლ. ა. (შემდგომში – „მოპასუხები“).

3. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხების მიმართ და მოითხოვა მათი უკანონო მფლობელობიდან მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე ქ. ბათუმში, მ.) გამოთხოვა და მოსარჩელისთვის აღნიშნული ქონების თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა.

4. მოპასუხებმა ნ. ბ-ემ და ლ. ა-მ სარჩელი არ ცნეს, მოპასუხე ა. ბ-ეს შესაგებელი არ წარუდგენია.

5. მოპასუხე ნ. ბ-ემ აღძრა შეეგებული სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის, მ. ბ-ის, ა. ბ-ის, მესამე პირის გ. თ-ის (მოსარჩელის), დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირების: ლ. ა-ს, ნ. ბ-ის, ო. ბ-ისა და მ. ბ-ის მიმართ და მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 23 ივლისის №... და 2016 წლის 21 მარტის №... გადაწყვეტილებების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და ქ. ბა-

თუმში, მ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 98 კვ.მ. ნაწილში და მინის ნაკვეთის 311.11 კვ.მ. ნაწილში თანამესაკუთრედ აღიარება.

6. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 5 აპრილის განჩინებით მოპასუხის შეგებებული სარჩელი არ იქნა მიღებული განსახილველად, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივნისის განჩინებით უცვლელი დარჩა.

7. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; დადგინდა მოპასუხების უკანონო მფლობელობიდან მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე, ქ. ბათუმი, მ-ში, მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №... გამოთხვა და მოსარჩელისთვის აღნიშნული ფართის თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარება.

8. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქალაქო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმ საფუძვლით, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეტანილი ჰქონდა სასარჩელო განცხადება იმავე მხარეებს შორის და იმავე საგანზე და აღნიშნულ საქმეთა გაერთიანების შედეგად სასამართლო დაადგენდა საქმისთვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს.

9. სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 24 აპრილის სხდომაზე მოპასუხებ სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავის დასრულებამდე იმ დასაბუთებით, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში განიხილებოდა მოპასუხების სარჩელი მოსარჩელის წინააღმდეგ სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრედ აღრიცხვის თაობაზე.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 24 აპრილის საოქმო განჩინებით მოპასუხის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 აპრილის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 168-ე, 170-ე, 172-ე, 183-ე და 311-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემები მოსარჩელის მესაკუთრეობასთან დაკავშირებით სადაც არ იყო გამზღვიული მტკიცებულება საქმეში არ იყო წარმოდგენილი, ამასთან, მოპასუხებ ვერ დაადასტურა სადავო ნივთის ფლობის უფლება, რის გამოც არ

არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 აპრილის განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

14. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

14.1. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს, ასევე უნდა გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე არსებითი განხილვისთვის უნდა დაუბრუნდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომელიც ინილავს კასატორის სარჩელს მოსარჩელის მიმართ, ასევე ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია მოსარჩელის სარჩელი საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისა და ა. ბ-ის წინააღმდეგ, რომლის უკანონო გადაწყვეტილებით ხელყოფილია კასატორის კომლის ქონება და იგი სრულიად უკანონოდ მოქცეულია მოსარჩელის საკუთრებაში. კასატორმა იშუამდგომლა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე, ვიდრე ბათუმის საქალაქო სასამართლო არ განიხილავდა მის სარჩელს მოსარჩელის წინააღმდეგ;

14.2. გაურკვეველია, რატომ არ მიიღო წარმოებაში ბათუმის საქალაქო სასამართლომ კასატორის შეგებებული სარჩელი და რატომ მიიღო შემდეგ იგივე შეგებებული სარჩელი იმავე მოსამართლემ სასარჩელო ფორმით, სადაც დავის საგანი და მხარეები იგივეა. ამ შეგებებულ სარჩელში დასაბუთებული იყო და არის, რომ კასატორი და მისი კომლი ფლობს სადაც ქონების თითქმის ¾-ს. სახლი აგებულია მის მიერ და საჯარო რეესტრს არ ჰქონდა უფლება მისი კომლის კუთხით ფართი დაერეგისტრირებინა კასატორის ქმის სახელზე, როგორც სამკვიდრო ქონება და მასში მოექცია კასატორის კომლის საკუთრებაში არსებული ფართები. ფაქტიურად საჯარო რეესტრმა ზედიზედ ორჯერ უხეშად დაარღვია კანონი, რადგან კასატორის საკუთრება ჯერ დაუკანონა მის ქმას, შემდეგ კი მისგან – მოსარჩელეს. შეგებებული სარჩელის წარმოებაში არმიღებით კასატორის მიმართ დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი;

14.3. სასამართლომ არ შეისწავლა კასატორის მიერ წარდგენილი მასალები, რომლითაც დგინდება, რომ იმავე საჯარო რეესტრის არქივიდან ამოღებული საბუთებით ეს ქონება კასატორის საკუთრებას წარმოადგენს. სასამართლომ უნდა შეისწავლოს, თუ როგორ

აღმოჩნდა კასატორის სახლ-კარი მოსარჩელის საკუთრებაში, როცა მას ეს სახლი არ გაუყიდია და არც არავისგან მის სანაცვლოდ ერთი თეთრიც არ მიუღია.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 ივლისის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამონ-მებლად.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 16 ნოემბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვე-პუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

17. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაემაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

18. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებები და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვე-პუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

19. კასატორის პრეტენზიის ძირითადი არსი არის ის, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში მის მიერ აღძრული სარჩელის საფუძველზე მიმდინარე საქმის დასრულებამდე შეუძლებელია განსახილველი დავის გადაწყვეტა, რის გამოც საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაბრუნდეს სააპელაციო სასამართლოში.

20. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სა-

სამართლოს 2018 წლის 24 აპრილის სხდომაზე კასატორის შუამ-დგომლობა სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავის დასრულებამდე საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, გაგრძელდა საქმის არსებითი განხილვა, რის შედეგად ამავე სხდომაზე მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დამაყოფილდა.

21. ამრიგად, საკასაციო სასამართლოს შემოწმების საგანია სა-აპელაციო სასამართლოს მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავის დასრულებამდე წინამდებარე საქმის განხილვის მართებულობა.

22. საქმის წარმოების შეჩერების სამართლებრივი წინაპირობა განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, რომლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

23. აღნიშნული საფუძლით საქმის წარმოების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა საქმეთა შორის ისეთი აუცილებელი კავშირი, რაც შეჩერების ღონისძიების გამოუყენებლობის პირობებში ობიექტურად შეუძლებელს გახდის სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვას. ამრიგად, საქმის წარმოების შეჩერება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვა საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს პრეიუდიციული მნიშვნელობა სასამართლოს განხილვაში არსებული საქმის გადაწყვეტისას. აქედან გამომდინარე, საქმის წარმოების შეჩერებამდე სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს რა კავშირი არსებობს მის მიერ განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სხვა სასამართლოს მიერ განიხილება (იხ. სუსგ №ას-266-253-2016, 2016 წლის 14 ივნისი).

24. განსახილველ საქმეზე სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე ქ. ბათუმში, მ.), გამოთხოვა და მოსარჩელისთვის აღნიშნული უძრავი ქონების თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა.

25. ამდენად, წინამდებარე საქმის მოსარჩელეს აღძრული აქვს ვინდიკაციური სარჩელი. შესაბამისად, მისი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მფლობელს პქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. ვინდიკაციური სარჩე-

ლის დაკმაყოფილებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა. მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე; ბ. მოპასუხე უნდა ფლობდეს ნივთს; გ. მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ნივთის ფლობის უფლება.

26. ვინდიგაციური სარჩელი წარმატებული იქნება, თუ შესრულებულია ზემოხსენებული წინაპირობები, ამასთან, ამ წინაპირობებს სასამართლო ზემომითითებული თანმიმდევრობით ამონმებს. ამდენად, პირველ რიგში, სასამართლომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა მოსარჩელე სადაც ნივთის მესაკუთრე.

27. საჯარო რეესტრის მონაცემებით, მოსარჩელის საკუთრებაში ირიცხება უძრავი ქონება, მდებარე ქ. ბათუმში, მ... აღნიშნულ უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია 2016 წლის 21 მარტიდან. საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის საადსრულებო ბიუროს განკარგულება №..., დამონმების თარიღი: 16/03/2016. ამასთან, აღნიშნული მინის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი შეადგენს 1399 კვ.მ.-ს, ხოლო შენობა-ნაგებობის საერთო ფართი: 402,70-ს.

28. საქმის მასალებში არსებულ, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 თებერვლის განჩინებაში მოსამართლე უთითებს, რომ 6. ბ-ემ (მოპასუხებ) სარჩელი აღმრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში გ. თ-ის (მოსარჩელის), ა. ბ-ისა და მ. ბ-ის მიმართ უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა გ. თ-ის (მოსარჩელის) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. ბათუმში, მ-ში (მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ...) ყადალის დადება.

29. საქმის მასალებში წარმოდგენილი სარჩელის თანახმად, პარალელურად მიმდინარე სამოქალაქო საქმეში მოსარჩელე ითხოვს ქ. ბათუმში, მ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 332 კვ.მ.-ში თანამესაკუთრედ და მინის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობას, 280 კვ.მ. ოდენობით, თანაზიარი ჭიშკრით. სარჩელი აღმრულია მოსარჩელის, თავდაპირველი მოპასუხების ა. ბ-ისა და მ. ბ-ის წინააღმდეგ. სარჩელის თანახმად, 1998 წელს კასატორი ცალკე კომლის სახით გამოეყო დედამისის კომლს და 90 კვ.მ.-დან მიიღო თავისი წილი – 20 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი. მისი კომლის კუთვნილი წილის მხრიდან და ზემოდან დაშენა ახალი სართული, მთლიანობაში მიერთა 312 კვ.მ., შესაბამისად, მისი კომლი ამ სახლში ფლობს 332 კვ.მ. დამხმარე და საცხოვრებელ ფართს, თანაზიარი ეზოთი და საერთო შე-

სასვლელი ჭიშკრით. დედამისის გარდაცვალების შემდეგ, 1999 წელს, კომლის ქონება ექვემდებარებოდა მემკვიდრეებს შორის გაყოფას, რომელშიც კასატორი ვერ მიიღებდა მონაწილეობას, რადგან მიღებული ჰქონდა მისი წილი 20 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი. 90 კვ.მ. ფართიდან მის დედმამიშვილებს შორის გასანაწილებელი იყო დანაშთი ქონების 70 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი. შესაბამისად, ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში მ. ბ-ეს შეიძლება დაერეგისტრირებინა 70 კვ.მ. ფართი და არა 402 კვ.მ. ფართი, რომელიც აზომვით ნახაზშია მითითებული.

30. ამრიგად, სახეზეა ისეთი შემთხვევა, როდესაც პარალელურად მიმდინარე საქმეში კასატორი (მოპასუხე) სწორედ იმ სადაც კონებაზე ითხოვს თანამესაკუთრედ ცნობას, რომლის მფლობელობიდან გამოთხვაც არის წინამდებარე საქმის დავის საგანი.

31. საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც სხვა სამოქალაქო დავის ფარგლებში შეცილებულია ქ. ბათუმში, მ., მდებარე უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლება და მოპასუხე ითხოვს თანამესაკუთრედ ცნობას, ზემოაღნიშნული საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ და უშუალო გავლენას იქონიებს განსახილველ საქმეზე, ვინაიდან ნარდგენილი ვინდივაციური სარჩელის წარმატების ერთ-ერთი არსებითი პირობა სწორედ სადაც უძრავი ქონების მესაკუთრედ მოსარჩელის ყოფნაა. პარალელურად მიმდინარე დავის განხილვის შედეგად სადაც კონების თანამესაკუთრედ მოპასუხის ცნობის შემთხვევაში მოპასუხე იძულებული გახდება ხელახალი სასარჩელი წარმოების აღძვრის გზით მოიპოვოს სადაც უძრავ ქონებაზე მფლობელობა. ამრიგად, საქმის წარმოების საფუძვლად მითითებული სამოქალაქო სამართლწარმოებით განსახილველი ფაქტების დადგენამდე შეუძლებელია მოცემული საქმის განხილვა.

32. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ერთ-ერთი არსებითი გარემოების – მოსარჩელის სადაც უძრავი ქონების მესაკუთრედ ყოფნის ფაქტის დადგენისას მითითება იმის შესახებ, რომ საჯარო რეესტრის მონაცემები მოსარჩელის მესაკუთრეობასთან დაკავშირებით სადაც არ არის გამხდარი და ამის მტკიცებულება საქმეში არ არსებობს, არის ფორმალური და ზედაპირული. სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მტკიცებულებები, რომელთა თანახმად, მოპასუხე პრეტენზიას აცხადებს სადაც უძრავი ქონების თანამესაკუთრეობაზე და შესაბამისად, ეცილება მოსარჩელეს აღნიშნულ უფლებაში. სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ გამოიკვლია დაგვებს შორის ურთიერთმიმართება იმ თვალსაზრისით, პარალელურად მიმდინარე დავაში სასამართლოს

მიერ მოპასუხის თანამესაკუთრედ ცნობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მიმდინარე დავაში მოსარჩელის ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილება.

33. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

34. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს ქვემდგომ სასამართლოში, რომელმაც ნინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, უნდა იმსჯელოს საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების პერიოდისათვის მოცემული დაცის სამართლებრივ ურთიერთკავშირზე პარალელურად მიმდინარე სამოქალაქო საქმესთან, რის შედეგად უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა საქმის ნარმოების შეჩერების საფუძვლები და აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ გადაწყვეტილს სარჩელის ბედი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის ფარგლების, დავის მონაწილე სუბიექტების, დავის არსისა და დავათა შორის სამართლებრივი ურთიერთკავშირის დაგენერისთვის აუცილებელი სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების დეტალური შესწავლისა და შეფასების შედეგად, უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა ვინდიკაციური სარჩელის შემაფერხებელი გარემოებები და ამ გარემოებათა დადგენისათვის სხვა საქმით დასადგენი გარემოებების გათვალისწინების აუცილებლობა.

35. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის ალდვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტი-

ლების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. 6. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 9. სააკელაციო სასამართლოს გადაცევის შესახებ

### გადაცევის შესახებ დაპრუობა ხელახლა განსახილვის დასრულების

#### განჩინება საქართველოს სახელი

№ას-825-791-2016

12 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ალავიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ლ. ქ-ამ (შემდგომში – „მოსარჩევე“) სარჩელი აღძრა სასა-  
მართლოში შპს „გ-ის“ (შემდგომში – „მოპასუხე“, „მოპასუხე კომ-  
პანია“, „საზოგადოება“, „კომპანია“, „კასატორი“ ან „საკასაციო სა-  
ჩივრის ავტორი“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ვალდე-  
ბულების გარეშე გადახდილი თანხის 4 501 157 ლარის დაკისრება.

**2. სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:**

2.1. მოპასუხე კომპანიის პარტნიორების – ი. ე-ის, რ. ც-ისა და რ.  
ქ-ას (შემდგომში – „მოპასუხე კომპანიის პარტნიორები“) თხოვ-  
ნით, მოსარჩელემ საზოგადოებას სამენარმეო საქმიანობის დრო-  
ული და შეუფერხებელი განხორციელებისათვის 2007 წლიდან 2011  
წლამდე პერიოდში გადასცა თავისი კუთვნილი თანხა 4 501 157  
ლარი;

2.2. ვინაიდან კომპანიის ერთ-ერთი პარტნიორი არის მოსარჩე-  
ლის მამა, ხოლო დანარჩენი პარტნიორები მასთან და მის ოჯახთან  
მჭიდროდ დაკავშირებული პირები იყვნენ, მოსარჩელეს მარწმდა,  
რომ მის მიერ კომპანიისათვის გადაცემულ თანხას დაუბრუნებ-  
დნენ უპრობლემოდ, ყოველგვარი სამართლებრივი დავის გარეშე;

2.3. 2010 წელს მოსარჩელემ მოითხოვა კომპანიისათვის გადა-  
ცემული თანხის დაბრუნება. კომპანიის პარტნიორებმა, მათ შო-  
რის, მოსარჩელის მამამ, განუცხადეს, რომ კომპანიისათვის შეუძ-  
ლებელი იყო ამ ოდენობის თანხის გადახდა. შეთანხმდნენ, რომ  
მოსარჩელეს გადაუფორმებდნენ კომპანიის 100%-იან წილს. შე-  
საბამისად, გაუფორმეს „სრული შინაარსის“ მინდობილობა და 2010

წლის 1 მარტს კომპანიის 100%-იანი წილი მოსარჩელემ ნასყიდობის ხელშეკრულებით გააფორმა თავის მეუღლეზე;

2.4. ამის შემდეგ, კომპანიის ყოფილმა პარტნიორებმა ი. ე-მა და რ. ც-მა მიმართეს სასამართლოს და ნასყიდობის ხელშეკრულებაში დაფიქსირებული თანხა მათი წილის პროპორციულად მოსთხოვეს მოსარჩელეს, როგორც მათ მინდობილ პირსა და მათი სახელით თანხის მიმღებ პიროვნებას. აღნიშნულ დაგაში ჩაერთო მოსარჩელის მამაც. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი და აღდგა პირვანდელი მდგომარეობა;

2.5. აღნიშნულიდან დავიდან ცხადი გახდა, რომ მოსარჩელის მამის პარტნიორებმა გადაწყვიტეს მოსარჩელის კუთვნილი თანხის მითვისება მათ საკუთრებაში არსებული კომპანიის მეშვეობით. ვინაიდან მათ ზემოთ აღნიშნული დავით უარი განაცხადეს, რომ მოსარჩელეს საზოგადოებისათვის გადაცემული თანხის სანაცვლოდ მიეღო კომპანიის წილი, მოსარჩელეს წარმოეშვა სამართლებრივი საფუძველი იმისა, რომ მან კომპანიას მოსთხოვოს მის მიერ კომპანიისათვის გადაცემული თანხა, როგორც ვალდებულების გარეშე გადახდილი. მოსარჩელე არ ყოფილა და არ არის სამართლებრივად დაკავშირებული პირი მოპასუხე კომპანიასთან, იგი მხოლოდ ერთ-ერთი პარტნიორის შვილია და მისი ქმედება – თანხის გადაცემა კომპანიისათვის არ გამომდინარეობს რაიმე სამართლებრივი ვალდებულებიდან;

2.6. 2014 წლის 11 სექტემბერს მოსარჩელემ კიდევ ერთხელ მიმართა მოპასუხე კომპანიას და მოითხოვა მის მიერ კომპანიისათვის გადაცემული თანხის დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ. კომპანია ბუღალტრული დოკუმენტაციით აღიარებს, რომ მოსარჩელეს საზოგადოებისათვის გადაცემული აქვს თანხა, მაგრამ თანხას არ აბრუნებს.

3. მოპასუხე სარჩელთან დაკავშირებით წერილობითი შესაგებელი არ წარადგინა.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას.

5. საქალაქო სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობა არ წარმოშობილა უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი ურთიერთობიდან, რადგან მოსარჩელე არ მიუთითებდა და, შესაბამისად, დადგენილი არ იყო ფაქტობრივი გარემოება მხარეთა შორის

ბათილი გარიგების არსებობისა და ამ გარიგების საფუძველზე, მოპასუხის მიერ მოსამარჩელის კუთვნილი თანხების მიღების თაობაზე. გამომდინარე აქედან, მოპასუხე კომპანიას არ წარმოშობია მოსარჩელის მიმართ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემული თანხის დაბრუნების ვალდებულება. მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი მოეთხოვა მოპასუხისაგან თანხის გადახდის ვალდებულების შესრულება.

6. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკვაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2015 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

**8. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემობები:**

8.1. 2014 წლის 26 დეკემბერს მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე კომპანიის მიმართ და მოითხოვა 4 501 157 ლარის დაკასრება;

8.2. მოპასუხემ არ წარადგინა შესაგებელი;

8.3. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ არ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა და სარჩელი არ დაკვაყოფილა იმ საფუძვლით, რომ მასში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, რასაც არ დაეთანხმა მოსარჩელე და მიიჩნია, რომ სასამართლოს ასეთი დასკვნა საქმის ფაქტობრივი გარემოებების მცდარი სამართლებრივი შეფასებიდან გამომდინარეობდა.

9. სააპელაციო პალატამ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელესა და მოპასუხე კომპანიის პარტნიორებს შორის ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, მოსარჩელემ, კომპანიის სამეწარმეო საქმიანობის დროული და შეუფერხებელი განხორციელებისათვის, საზოგადოებას გადასცა 4 501 157 ლარი. მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მოსარჩელე და კომპანიის პარტნიორები შეთანხმდნენ, რომ თანხის სანაცვლოდ მოსარჩელეს გადასცემდნენ კომპანიის 100%-იან წილს, რომლის განხორციელება რეალურად ვერ მოხდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სარჩელში აღნიშნულ გარემოებაზეც, რომ კომპანია ადასტურებს მოსარჩელის მიმართ ზემოაღნიშნული თანხის ოდენობით დავალიანების ფაქტს, თუმ-

ცა არ ასრულებს გადახდის ვალდებულებას.

10. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთვევაში მოსარჩელე მიუთითებდა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, რომელიც მხარეთა შორის დაიდო ზეპირად და, რომლის შესაბამისად, მოსარჩელემ კომპანიას გადასცა 4 501 157 ლარი იმ პირობით, რომ კომპანია თანხას დააბრუნებდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის საფუძველზე, დამტკიცებულად უნდა ჩაეთვალა სარჩელში მითითებული აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დაკავშირების კანონისმიერ სამართლებრივ საფუძვლებზე მიუთითებდა, სასამართლოს უნდა ემსჯელა ხომ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების სხვა სამართლებრივი საფუძველი.

11. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სრულყოფილად არ იქნა გამოკვლეული და დადგენილი სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც უნდა მისცემოდა სათანადო სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის ხელახლა განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა შეეფასებინა საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობების არსებობა, გამოეკვლია მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა თუ არა მოთხოვნას და დავა შესაბამისად გადაეწყვიტა.

12. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

13. კასატორმა მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

13.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ „მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მიუთითებს სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, რომელიც მხარეთა შორის დაიდო ზეპირად და რომლის შესაბამისად, მოსარჩელემ კომპანიას გადასცა 4 501 157 ლარი იმ პირობით, რომ კომპანია თანხას დააბრუნებდა“. კასატორის მოსაზრებით: а) მოსარჩელეს არ მიუთითებია მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობაზე; ბ) მოსარჩელეს არ მიუთითებია, რომ მათ შორის ზეპირად დაიდო ხელშეკრულება; გ) მოსარჩელეს არ მიუთითებია, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს თანხა გადასცა მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე; დ) მოსარჩე-

ლეს არ მიუთითებია, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით კომპანიამ იკისრა თანხის დაბრუნების ვალდებულება. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში ასევე მითითებულია, რომ „მოსარჩელესა და კომპანიის პარტნიორებს შორის ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, მოსარჩელემ კომპანიის სამეწარმეო საქმიანობის დროული და შეუფერხებელი განხორციელებისათვის, კომპანიას გადასცა 4 501 157 ლარი“. ამდენად, გასაჩივრებული განჩინება წინააღმდეგობრივია, ერთ შემთხვევაში, ზეპირი შეთანხმება დადებული ყოფილა მოსარჩელესა და კომპანიას შორის, ხოლო მეორე შემთხვევაში, – მოსარჩელესა და კომპანიის პარტნიორებს შორის. მოცემული განსხვავება პრინციპული მნიშვნელობისაა, ვინაიდან პირველ შემთხვევაში ვალდებულ პირს წარმოადგენს კომპანია, ხოლო, მეორე შემთხვევაში – პარტნიორები. სააპელაციო სასამართლომ შეცვალა ზეპირი შეთანხმების მხარები და, ფიზიკური პირების ნაცვლად, შეთანხმების მხარედ კომპანია მიუთითა;

13.2. სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, ვინაიდან სააპელაციო საჩივრაში და სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელეს არ მიუთითებია, რომ მხარეთა შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა. პირიქით, მოსარჩელე კატეგორიული იყო იმაში, რომ მხარეთა შორის რაიმე ვალდებულებითი ურთიერთობა არ არსებობდა;

13.3. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ სარჩელში მითითებული გარემოება – პარტნიორებთან დადებული შეთანხმების შესაპამისად კომპანიის საწესდებო კაპიტალში თანხის შეტანა არ შეაფასა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების საფუძველზე და სარჩელში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე არ დაადგინა სათანადო მოპასუხე (მოპასუხები);

13.4. სარჩელის თანახმად, პარტნიორთა თხოვნის საფუძველზე მოსარჩელემ საზოგადოებას გადასცა თავისი კუთვნილი 4 501 157 ლარი, რომელსაც პარტნიორები დაუბრუნებდნენ უპრობლემოდ. აუდიტორული შემოწმებით დადგინდა, რომ მითითებული თანხის არის მოპასუხე კომპანიაში შეტანილი თანხის 96,74546%. მოგვიანებით, მოსარჩელე და საზოგადოების პარტნიორები შეთანხმდნენ, რომ მოსარჩელისთვის დასაბრუნებელი თანხის სანაცვლოდ მას გადაეცემოდა მოპასუხე კომპანიის 100%-იანი ნილა. ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე, დადგენილად მხოლოდ ის შეიძლება იქნეს მიჩნეული, რომ მოსარჩელეს ფიზიკური პირების (პარტნიორების) წინაშე აღებული ჰქონდა ვალდებულება, მათ ნაცვლად საწარმოს კაპიტალში შეეტანა თანხა, ხოლო ფიზიკურმა

პირებმა იკისრეს ვალდებულება, გარკვეული პერიოდის შემდეგ მისთვის დაებრუნებინათ აღნიშნული თანხა. თუ აღნიშნული დადგენილად ჩაითვლება, მაშინ სახეზე იქნება არა ვალდებულების გარეშე განხორციელებული ვადახდა, არამედ – მოსარჩელესა და მითითებულ ფიზიკურ პირებს შორის სესხის სამართლებრივი ვალდებულებიდან გამომდინარე გადახდა. თუ ადგილი ჰქონდა ისეთ გარემოებას, რომ მოსარჩელე და პარტნიორები შეთანხმდნენ დასაბრუნებელი თანხის სანაცვლოდ მოსარჩელისათვის საზოგადოების 100%-იანი წილის გადაცემის შესახებ, იგი მხოლოდ იმის დამადასტურებელია, რომ მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა. შესაბამისად, თანხის დაბრუნების ვალდებულებაც ამ ფიზიკურ პირებს შეიძლება ჰქონდეთ. გამომდინარე აქედან, საზოგადოება მოცემული ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს;

13.5. სარჩელის თანახმად, პარტნიორებმა მოსარჩელეს დასაბრუნებელი თანხის სანაცვლოდ გაუფორმეს „სრული შინაარსის მინდობილობა“, რომლის გამოყენებით „კომპანიის 100% წილი ლ. ქ-ამ ნასყიდობის ხელშეკრულებით გააფორმა თავის მეულეზე – მ. მ-ზე“ და შემდეგ სასამართლომ ეს ხელშეკრულება ბათილად ცნო ფიქტიურობის გამო. პარტნიორების თავიანთ წილებში აღდგენამ აფიქრებინა მოსარჩელეს, რომ მას მიეცა საზოგადოებსაგან თანხის მოთხოვნის უფლება. თუმცა, მითითებული გარემოების საფუძველზე მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს დადგენილად, რომ მოსარჩელემ და პარტნიორებმა შეწყვიტეს მათ შორის თავდაპირველად არსებული სესხის ხელშეკრულება და დადეს წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც თითქოს არ შეასრულეს პარტნიორებმა, არ გადასცეს რა მოსარჩელეს ნასყიდობის საგანი – მათ მფლობელობამი არსებული წილები. შესაბამისად, მოცემული გარემოების არსებობის შემთხვევაში მოსარჩელეს წილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეეძლო ედავა პარტნიორებთან წილის გადაცემის მოთხოვნით. გამომდინარე აქედან, მოპასუხე კომპანია მოცემული ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში ასევე არის არასათანადო მოპასუხეს;

13.6. მოსარჩელის მითითებით, მან საზოგადოებაში თანხა შეიტანა პარტნიორების თხოვნით, შეტანილი თანხის ამ უკანასკნელთა მიერ უკან დაბრუნების პირობით. ამდენად, მათ შორის დაიდო ხელშეკრულება მესამე პირის (საზოგადოების) სასარგებლოდ და აღნიშნული ურთიერთობა რეგულირდება მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების წესებით, თუმცა, არც მითითებული ნორმების საფუძველზე შესაძლებელი სარჩელის დაკმაყოფილება, კინაიდან ვალდებულება მესამე პირს (საზოგადოებას) არ

### **ნარმოეშობოდა;**

13.7. ის გარემოება, რომ მოსარჩელემ საზოგადოების კაპიტალში შეიტანა თანხა პარტნიორების თხოვნით და მათ ნაცვლად, მაგრამ ვალდებულების გარეშე, მიუთითებს, რომ მოსარჩელეს, როგორც მესამე პირს, შეუსრულებია კრედიტორის (საზოგადოების) წინაშე მოვალე პარტნიორების ვალდებულება. სამოქალაქო კოდექსის 371-ე და 372-ე მუხლების შესაბამისად, მოსარჩელეს შეიძლება ნარმოშობოდა მოთხოვნა პარტნიორების მიმართ და არა – კომპანიის მიმართ. მოცემული კი კომპანიის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია;

13.8. ამასთან, გასაჩივრებულ განჩინებაში სასამართლომ გამოტოვა ის გარემოება, რომელიც პარტნიორების თხოვნის შესაბამისად, თანხის საწესდებო კაპიტალში შეტანაზე მიუთითებდა. სარჩელიდან ირკვევა, რომ კომპანია ადასტურებს მისთვის თანხის შეტანას, მაგრამ არა – მისი დაბრუნების ვალდებულების აღებას. მოცემული განპირობებულია იმით, რომ კომპანია არ არის ვალდებული დააბრუნოს საწესდებო კაპიტალში შენატანი და, რომ აღნიშნული იმ პარტნიორების ვალდებულებაა, რომელთა ნაცვლადაც მოხდა საწესდებო კაპიტალში თანხის შეტანა.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 26 სექტემბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა ნარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამონებლად.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 ივნისის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

16. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიჩინევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

17. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შემონმების საგანი უპირველესად არის საკითხი – სწორად დაუბრუნა თუ არა სააპელაციო სასამართლომ საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

18. სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სა-

სამართლოსთვის საქმის უკან დაბრუნების მართებულობის შეფასებისას, სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს: (1) რა პროცესუალური გარემოებები მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან დაბრუნებაზე; (2) ამ გარემოებების გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება, და (3) ხომ არ გამოიწვევს ეს საქმის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას (იხ. სუსგ №ას-1118-1145-2011, 2012 წლის 10 იანვარი).

19. სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილვებად დაბრუნების საფუძვლებს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი აქვს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს [გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები], სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილვებად, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი.

20. ამრიგად, აღნიშნული მუხლი, ერთის მხრივ, უთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დაბრუნების საფუძვლებზე, ხოლო, მეორეს მხრივ, სასამართლოს აძლევს უფლებას, ამ საფუძვლების არსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების სტანდარტიდან გამომდინარე, შეაფასოს, რა უფრო მართებულია – მის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა თუ საქმის ხელახლა განსახილვებად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება (იხ. სუსგ №ას-1234-1175-2014, 2015 წლის 23 თებერვალი).

21. ზემოაღნიშნული განპირობებულია სამართლიანი სასამართლოს უფლებით, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა და თავისი თავში მოიცავს ადამიანის უფლებას მისი საქმე გონივრულ ვადაში, სწრაფად და ეფექტურად განიხილოს სასამართლომ (Profitis and Others v. Greece, §93; Tierce v. San Marino, §31; Surmeli v. Germany [GC], §129; Capuano v. Italy, §§30-31; Versini v. France, §29), რაც წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას ისე მოაწყოს თავისი სამართლებრივი სისტემა, რომ სასამართლოებმა უზრუნველყონ თითოეული პირის უფლება გონივრულ ვადაში მიაღწიოს საბოლოო გადაწყვეტილებას დაგაზი, რომელიც მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალებების განხორციელებას ეხება (Scordino v. Italy (no.1) [GC] §183, Surmeli v. Germany [GC], § 129). თუმცა, ევროპული

კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმასაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტუანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმასაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია (იხ. სუსგ №ას-1234-1175-2014, 2015 წლის 23 თებერვალი).

22. სამართლიანი სასამართლოს უფლებით დადგენილი სტანდარტის ჭრილში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების განხილვა თვალსაჩინოს ხდის, რომ რამდენიმე მათგანი (კერძოდ, 394-ე მუხლის „ა-დ“ და „ვ-თ“ ქვეპუნქტები) პირდაპირ გამომდინარეობს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების პრინციპიდან, მათ შორის, საქმის განხილვაში მხარის მოხაზილეობისა და სამართლიანი და საჯარო განხილვის ფუნდამენტური უფლებიდან, და ქმნის იმ შემთხვევას, როდესაც ცალსახაა, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმ სასამართლოს, სადაც მოხდა აღნიშნული დარღვევა. თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული კიდევ ორი საფუძველი, კერძოდ: ა) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკუთრისად დასაბუთებული; და ბ) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია – წარმოადგენს ისეთ საფუძვლებს, რომლებიც იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებების სრულყოფილი ანალიზის შედეგად და სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების მართებულობა-არამართებულობის შეფასების საშუალებას (იხ. სუსკ №ას-1234-1175-2014, 2015 წლის 23 თებერვალი).

23. საკავალეო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სა-  
სამართლოს შეუძლია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება და არ და-  
აბრუნოს საქმე უკან, როდესაც არ არსებობს მისი იურისდიქციი-  
დან გამომდინარე შეზღუდვები და მხარეთა პროცესუალური უფ-  
ლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით საქმის უკან დაბრუ-  
ნების აუცილებლობა (იხ. სუსგ №ას-1118-1145-2011, 2012 წლის 10  
იანვარი). აღნიშნულს მოითხოვს, აგრეთვე, რაციონალური მარ-  
თლმშაქულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპები,  
რომლებიც გულისხმობს, რომ სააპელაციო სასამართლომ, რომე-  
ლიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე, საქმის  
არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სა-  
სამართლოს საქმე უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემ-

თხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით მართლაც მიზანშენონილია საქმის უკან დაბრუნება (იხ. სუსგ №ას-657-618-2012, 2012 წლის 10 დეკემბერი; №ას-1308-1234-2012, 2013 წლის 4 თებერვალი).

24. მოცემულ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების მართებულობის შეფასებისათვის აუცილებელი მისი სამართლებრივი თავისებურების გათვალისწინება, რაც გამოწვეულია პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობით.

25. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

26. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე გალდებულია გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული (სარჩელში მითითებული) ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. ასეთ დროს (ივარაუდება შესაგებლის შეუტანლობა ან მოპასუხის გამოუცხადებლობა) გადაწყვეტილების გამოტანა ხდება დადგენილად მიჩნეული გარემოებების მატერიალურ კანონმდებლობასთან ფორმალური შესაბამისობის კვლევის საფუძველზე, ისე, რომ სასამართლო არაუფლებამოსილია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოსარჩელის მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრას და იმის უტყუარად დადგენას,

სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი შეფასება იძლევა თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას.

27. ამრიგად, იმის განსაზღვრა, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს თუ არა მოთხოვნას, სამართლებრივი შეფასების საკითხია.

28. გამომდინარე აქედან, ვინაიდან სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად მიიჩნეოდა, სააპელაციო სასამართლოს თავად შეეძლო მიეცა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისათვის სათანადო სამართლებრივი შეფასება და გამოტანა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების თაობაზე.

29. კასატორის მეორე პრეტენზია ეხება სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების იმგვარ კვალიფიკაციას, რომელიც გახდა სასამართლოს მიერ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის დადგენის საფუძველი.

30. საკასაციო სასამართლო იზიარებს ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის შესახებ ეწინააღმდეგება მის მიერვე წინამდებარე განჩინების მე-9 პუნქტით დადგენილ გარემოებას, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს თანხა გადასცა მოპასუხე კომპანიის პარტნიორებთან შეთანხმების საფუძველზე. იგი ეწინააღმდეგება იმავე პუნქტით დადგენილ სხვა ფაქტობრივ გარემოებასაც [მოსარჩელე და კომპანიის პარტნიორები შეთანხმდნენ, რომ თანხის სანაცვლოდ მოსარჩელეს გადაცემდნენ კომპანიის 100%-იან წილს].

31. ზემოაღნიშნული ფაქტები არ იძლევა იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ მოსარჩელესა და მოპასუხე კომპანიას, როგორც დამოუკიდებული უფლებაუნარიანობის მატარებელ სამართლსუბიექტს შორის, არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, თუნდაც ზეპირი გარიგების საფუძველზე. მით უმეტეს, დაუსაბუთებელია იმაზე მითითება, რომ მოპასუხე კომპანიამ მხარეთა შორის დადებული ზეპირი ხელშეკრულებით იკისრა თანხის დაბრუნების ვალდებულება. პირიქით, სარჩელის შინაარსიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე მოპასუხე კომპანიის პარტნიორებისგან ელოდებოდა თანხის დაბრუნებას.

32. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად შეცვალა ზეპირი შეთანხმების მხარეები, შესაბამისად, სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ნორმის დარღვევით, დამტკიცებულად ჩათვალა ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელზეც თავად მოსარჩელეს არ მიუთითებია და აღნიშნულის შედეგად, მივიდა არასწორ დასკვნამდე.

33. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ საზოგადოებას თანხა გადასცა მოპასუხე კომპანიის პარტნიორებით შეთანხმებით და კომპანიისათვის გადაცემული თანხის დაბრუნების მოლოდინი მას ჰქონდა კომპანიის პარტნიორებისაგან. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტი, რომ თანხის დაბრუნების შეუძლებლობის გამო მოსარჩელე და კომპანიის პარტნიორები შეთანხმდნენ თანხის ნაცვლად კომპანიის 100%-იანი ნილის დათმობის თაობაზე, ასევე ამყარებს ვარაუდს სწორედ კომპანიის პარტნიორებთან შეთანხმების არსებობაზე, რაც სასამართლოს აძლევს საფუძველს, რომ მოცემულ საქმეში მოპასუხის სათანადოობის საკითხი შეამონმოს.

34. საკავაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს მხრიდან სარჩელის წარმატებულობის საკითხის კვლევისას, უპირველესად პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვებს: ვინ, ვისგან, რას და რის საფუძველზე მოითხოვს? პირველი ორი კითხვა იძლევა პასუხს სათანადო მხარეზე, რომლის შემოწმებაც (ისევე, როგორც შემდგომი საკითხები: მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძველი) სასამართლოს პრეროგატივა (იხ. სუსგ წარმატების 10 მაისი).

35. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

36. ზემოაღნიშნული ნორმა სასამართლოს ავალდებულებს გამოარკვიოს სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად აირჩია თუ არა მოსარჩელემ ის პირი (მოპასუხე), რომელსაც თავისი დარღვეული უფლების აღდგენა უნდა მოსთხოვოს, რათა დავაში ჩაბმული არ აღმოჩნდეს და მოპასუხის საპროცესო მოვალეობანი არ დაეკისროს ისეთ პირს, რომელსაც მოსარჩელის კანონიერ უფლებებთან კავშირი არ გააჩნია.

37. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ისე დააბრუნა საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა

განსახილველად, რომ სათანადო მოპასუხის საკითხი არ გამოიყენებია. სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული სადაცო ფაქტობრივი გარემოების არასწორად დადგენის შედეგად პირველი ინსტანციის სასამართლოს მიუთითა, რომ ემსჯელა სხვა სამართლებრივი საფუძვლით სარჩელის დაქმაყოფილებასა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობების არსებობაზე, რასაც, შესაძლოა, მოჰყოლოდა არასათანადო მოპასუხისთვის ვალდებულების დაკისრება.

38. საკასაციო პალატის შეფასებით, დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობისა საკითხი იმის თაობაზე, სარჩელში მითითებული გარემოებების დამტკიცებულად მიჩნევის პირობებში ვის ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა, მოპასუხე კომპანიას თუ მის პარტნიორებს. სწორედ აღნიშნული საკითხი უნდა გახდეს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. თუ აღნიშნული მსჯელობის შედეგად სააპელაციო პალატა მივა იმ დასკვნამდე, რომ სათანადო მოპასუხების წარმოადგენენ მოპასუხე კომპანიის პარტნიორები, საქმეს მსვლელობა მიეცემა იმის შესაბამისად, იქნება თუ არა მოსარჩელე თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხებით შეცვლაზე. აღნიშნული თანხმობის არსებობის პირობებში, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ხელახლა განსახილველად საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების მიზანშეწონილობაზე, ხოლო ასეთი თანხმობის არარსებობისას, – სარჩელის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების საკითხზე.

39. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

40. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტით აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს ქვემდგომ სასამართლოში, რომელმაც საპროცესო სამართლის წესების დაცვით უნდა განსაზღვროს სათანადო მოპასუხის საკითხი და ამის შემდგომ გადაწყვიტოს სარჩელის ბედი.

41. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განცეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღდვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყვდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

42. მოცემულ შემთხვევაში კასატორს უნდა დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 26 სექტემბრის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის 8000 (რვა ათასი) ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „გ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. კასატორ შპს „გ-ს“ (ს/კ: ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაეკისროს საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 26 სექტემბრის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის 8000 (რვა ათასი) ლარის გადახდა;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები

### განხილვა საქართველოს სახელით

№ას-439-439-2018

15 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ოოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით:

1.1. შპს „ს.ო.ბ-ის“ (შემდეგში: მოსარჩელე, გამსესხებელი) სარჩელი ნანილობრივ დაკმაყოფილდა;

1.2. ი. მ-ს (შემდეგში: მოპასუხე, მსესხებელი, აპელანტი, კასატორი) გამსესხებლის სასარგებლოდ დაეკისრა 2014 წლის 27 ივნისის სესხის ხელშეკრულებიდან დაგალინების, 13 845 აშშ დოლარის (მათ შორის: სესხის ძირითადი თანხა – 10 000 აშშ დოლარი, სარგებელი – 2 972 აშშ დოლარი, პირგასამტებლო – 873 აშშ დოლარი) გადახდა;

1.3. მსესხებელს გამსესხებლის სასარგებლოდ დაევალა 2014 წლის 27 ივნისის სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის (სესხის ძირი თანხის 3%) ანაზღაურება, სასამართლოში სარჩელის აღდევრიდან 2018 წლის 27 ივნისამდე;

1.4. დადგინდა, რომ დავალიანება დაფარულიყო გამსესხებლის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული მსესხებლის კუთვნილი უძრავი ქონების (მდებარე, ქ. თბილისი, ..., შენობა-ნაგებობა №2, 87.63კვ.მ, შემდეგში მოხსენიებული, როგორც უძრავი ქონება) რეალიზაციით.

2. ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსესხებელმა, რომელმაც მოითხოვა მისი ნანილობრივ (წინამდებარე განჩინების 1.3. პუნქტი) გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გასაჩივრებულ ნანილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 5 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

3.1. დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სასამართლომ საფუძვლად დაუდო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსკ) 387.1 მუხლი (თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგებ მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის და კამაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ). სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ 2017 წლის 5 ოქტომბრის სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი (მსესხებელი), რომლის წარმომადგენელსაც სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ეცნობა სხდომის დღის შესახებ. ამასთან, ამავე სხდომაზე, მეორე მხარის წარმომადგენელმა იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 215.3 მუხლზე (ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოცვეულია ავადმყოფობით, ახლო წათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე) და აღნიშნა, რომ აპელანტს ან მის წარმომადგენელს გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზი სასამართლოსათვის არ უცნობებია. აქედან გამომდინარე, არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

4. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე აპელანტმა საჩივარი შეიტანა, მან ამ გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა მოითხოვა, შემდეგი ორი საფუძვლით: არც მოპასუხეს და არც მის წარმომადგენელს სასამართლო უწყება კანონით დაგენილი წესით არ ჩაპარებია; სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სარჩელის მოთხოვნას.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

5.1. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომ 2017 წლის 5 ოქტომბრის სხდომის შესახებ კანონით დადგენილი წესით არ ეცნობა, რადგან საქმის მასალებით აღნიშნული არ დასტურდებოდა. პირიქით, საფოსტო უკუგზავნილებით დგინდებოდა, რომ 2017 წლის 7 ივნისს აპელანტის წარმომადგენელს შესაბამისი უწყებით ეცნობა 2017 წლის 5 ოქტომბრის სხდომისა და მასზე არა-

საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე.

6. ზემოაღნიშნული განჩინება მოპასუხებ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სადაცო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა, შემდეგი დასაბუთებით:

6.1. აპელანტს სასამართლო უწყებას სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით არ ჩაპარებია;

6.2. უკანონოა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილი, კერძოდ, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარგებლის მსესხებლისათვის დაკისრება სესხის ძირითადი თანხის 3%-ით, სასამართლოში სარჩელის აღდვრიდან 2018 წლის 27 ივნისამდე. აქ გასათვალისწინებელია ის, რომ სარჩელის აღდვრამდე მოპასუხეს მოსარჩელესთან ცალმხრივად შეწყვეტილი ჰქონდა ხელშეკრულება, შესაბამისად, მსესხებელს სარგებელი ხელშეკრულებს შეწყვეტის დღემდე უნდა დაჰკისრებოდა და არა – ხელშეკრულების მოქმედების ბოლო ვადამდე. გარდა ამისა, სესხზე დარიცხული სარგებელი შეუსაბამოდ მაღალი და არაგონიერულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 თებერვლის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამონმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაემაყოფილდეს, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კი – დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

7. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანია სააპელაციო პალატის სხდომაზე მოპასუხის/აპელანტის გამოუცხადებლობის გამო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების კანონიერება.

8. საკასაციო სასამართლო უარყოფს კასატორის პრეტენზიას და განმარტავს, რომ სააპელაციო პალატის მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოსატანად ვლინდებოდა ყველა კანონისმიერი წინაპირობა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წესსა და წინაპირობებს სსსკ-ის 387-ე მუხლი განსაზღვრავს. აღნიშნული ნორმით გაუთვალისწინებულ შემთხვევებში კი, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შე-

სახებ ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები გამოიყენება. სსსკ-ის 387.1 მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგებელი მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

9. კანონის ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ: აპელანტი, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სხდომაზე და არც გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე არ აცნობა სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში, მოწინააღმდეგებელი მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს. ამავდროულად, ზემოაღნიშნული საპროცესო ღონისძიება ერთგვარი სანქციაა ისეთი მხარისათვის, რომელიც არასაპატიოდ არ ცხადდება საქმის განხილვაზე. ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა არსებობდეს 387.1 მუხლის შემადგენლობის ყველა ელემენტი: ა) აპელანტის გამოუცხადებლობა; ბ) გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზი; გ) მოწინააღმდეგებელის შესაბამის შემადგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ (ძლ. სუსგ. №ას-1555-2018, 7.06.2019).

10. განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას საფუძვლად ვერ დაედება კასატორის მიერ იმ გარემოებაზე მითითება, რომ აპელანტის სასამართლო უწყება სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით არ ჩაპარებია. საქმეში არსებობს აპელანტის წარმომადგენლისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება და უკუგზავნილი ამ უწყების წარმომადგენლის ოჯახის წევრისათვის (ბაბუა) ჩაპარების შესახებ. სსსკ-ის 70.1 მუხლის მიხედვით, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაპარებება ერთერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 74.1 მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩაბარებულმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზებლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩაბა-

როს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. აქედან გამომდინარე, თუკი მხარე სასამართლოში საქმეს წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოობს, სასამართლო არ არის ვალდებული, უწყება ორივე მათგანს გაუგზავნოს, ამასთან, საკმარისია უწყება ერთ-ერთ მათგანს ან სულაც მათი ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს ჩაპარდეს, ასეთ პირობებში უწყება მხარისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა.

11. ამდენად, რაკი საქმის მასალებით ნათლად დასტურდება სასამართლო უწყების აპელანტის წარმომადგენლის ოჯახის წევრისათვის ჩაბარების ფაქტი, საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია უწყების ჩაუბარებლობის თაობაზე მოპასუხის პრეტენზია. კასატორი რაიმე ისეთ არგუმენტზე ვერ მიუთითებს, რაც საქმეში არსებული სასამართლო უწყების ჩაბარების დამადასტურებელ მტკიცებულებას გააქარწყლებდა, ამ მტკიცებულებით კი, დადასტურებულია მისთვის უწყების კანონით დადგენილი წესით ჩაბარება.

12. კასატორის მეორე პრეტენზია ისაა, რომ სააპელაციო სასამართლოს მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ უნდა გამოეტანა, რადგან სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა მოსარჩელის მოთხოვნას. საკასაციო პალატას კასატორის ეს პრეტენზიაც დაუსაბუთებლად მიაჩნია შემდეგ გარემოებათა გამო: კასატორის მიერ მოხმობილი სსსკ-ის 230-ე მუხლი მოცემულ შემთხვევაში არ გამოიყენება. იგი სხვა შემთხვევას აწესრიგებს, კერძოდ, ამ ნორმის თანამად, თუ მოპასუხე არ გამოცხადდება საქმის განხილვაზე და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამასთან, სასამართლო ვალდებულია შეამონმოს, დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნას. ამ შემონმების მიზანი ისაა, რომ, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო გამოტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ (სსსკ-ის 229-ე მუხლი). ასეთივე შენაარსის დანაწესს შეიცავს სსსკ-ის 387.1 მუხლი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი (ანუ სააპელაციო მო-

სარჩელე) არ გამოცხადდება საქმის განხილვაზე, მოწინააღმდეგი მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. არც მოსარჩელის და არც აპელანტის გამოცხადებლობისას, მათ ზინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს, სასამართლო არ შეაფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და არც მთლიანად საქმეს სამართლებრივი თვალსაზრისით. მას გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მოსარჩელის (აპელანტის) გამოუცხადებლობის გამო და არა – საქმის მასალების მიხედვით.

13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ისინი უცვლელად უნდა დარჩეს.

14. სსს-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: а) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 7.2, 257.1, 264.3, 408.3, 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2018 წლის 8 თებერვლის განჩინება და ამავე სასამართლოს 2017 წლის 5 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 2 98 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)